პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დად. მთავრობ) ქ. № 65, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 24, ტელეფონი № 3—81

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის— 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; [illegible], გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საზღვაო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

სამშაბათი, 25 ივნისი 1929 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5 კაპ. № 143 (2489)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— 21 ივლისისათვის აახენში (გერმანია) დანიშნულია საერთაშორისო დემონსტრაცია იმპერიალ. ომის წინააღმდეგ.
— „როტე ფანე“ ისევ გამოვიდა.—დააპატიმრეს „როტე ფანე“-ს მთავარი რედაქტორი ვერნერ გირში.
— სამხრეთ-უელსის მემაღაროეთა სარაიონო კონფერენცია.
— სპარსეთში აღმოაჩინეს შეთქმულება.
— შახტელი მემაღაროები მოსკოვში.
— უძველესი კედლის აღმოჩენა აზერბეიჯანში.

ოთხშაბათს, ა.-წ. 26 ივნისს საღამოს 6 საათზე, თბილისის მუშათა თეატრის შენობაში (ჟორესის ქ.)

გაიხსნება

თბილისის მე-10 პარტიული კონფერენცია

დღის წესრიგში: 1) სოფლის მეურნეობის განვითარების გზები და მუშაობა სოფლად (ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენება)
2. კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა (ამხ. ქანდელაკის მოხსენება).
3. დელეგატების არჩევა პარტიის მეექვსე სრულიად საქართველოს ყრილობისათვის.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

სამშაბათს, ივნისის 25-ს, დღის 12 საათზე
მთავრობის სასახლეში

შესდგება

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს გაერთიანებული სხდომა

საქ. სსრ. სახკომსაბჭოს და ეკონომიური საბ.საქმ. მმართველი პრ. მეგრელიშვილი

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოწინავე წერილის სათაურში კორექტორების დაუდევრობით გაიპარა შემდეგი შეცდომა: სწერია „პარტიის წმენდის პრაქტიკული საკითხები“, უნდა იყოს—„აპარატის წმენდის პრაქტიკული საკითხები“.

ყურადღება მრეწველობის მუშაობას

მრეწველობის მორიგ საჭირბოროტო ამოცანებს წარმოადგენს პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, არსებულ ტექნიკურ მოწყობილობათა მაქსიმალური მიზანშეწონილობით გამოყენება და ენერგიული მუშაობა ამ მოწყობილობის გაუმჯობესება-გადაახალისებისათვის. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენში? რამდენად წარმატებით ასრულებს საქართველოს მრეწველობა იმ დავალებებს, რომელთაც ამ ამოცანებთან დაკავშირებით აძლევს მას პარტია და ხელისუფლება?

ამ კითხვაზე გარდა თითო-ოროლა დამახასიათებელ ფაქტებისა, რომელნიც გამოაშკარავებულია მრეწველობის ცალკე დარგების მუშაობაში, ამომწურავ პასუხს იძლევა 1928-29 სამეურნეო წლის განვლილ პირველი ნახევრის შედეგები. ირკვევა, რომ საქართველოს მრეწველობამ ხსენებული დროის განმავლობაში ვერ შესძლო ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოების მთელი რიგი მნიშვნელოვან სამეურნეო დირექტივების განხორციელება. გეგმით დასახულ მიღწევათა ნაცვლად, მრეწველობის მუშაობის ზოგიერთ დარგში მდგომარეობა წინანდელთან შედარებით გაუარესდა.

პარტიამ მისცა მრეწველობის ხელმძღვანელ ორგანოებს გარკვეული დირექტივა პროდუქციის თვითღირებულების არა ნაკლებ 8 პროცენტით შემცირების შესახებ. ეს დირექტივა ჯერ კიდევ არ არის მთლიანად შესრულებული. ასე მაგალითად, მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში საფაბრიკო-საქარხნო თვითღირებულებამ დაიკლო მხოლოდ 6,9 პროცენტით, ხოლო კომერციულ თვითღირებულებამ, ესე იგი ხარჯებმა, რომელიც ედება საქონელს ქარხნიდან გამოსვლის შემდეგ მომხმარებლის ხელში მოხვედრამდი, დაიკლო 6,4 %. სამეურნეო ორგანოები სათანადო გულმოდგინეობით და ყურადღებით არ ეკიდებიან თვითღირებულების შემცირების საქმეს. არის შემთხვევები, როცა ფაბრიკა-ქარხნები სრული დატვირთვით ვერ ამუშავებენ მანქანებს, არ აქცევენ ყურადღებას მუშათა საქმიან წინადადებებს და არ ღებულობენ ზომებს იმისათვის, რომ თვითღირებულების შემცირების საკითხის ირგვლივ შექმნან სათანადო საზოგადოებრივი აზრი.

საკითხისადმი ასეთ უყურადღებობას უნდა მიეწეროს ის არანორმალური მდგომარეობაც, რომელსაც ადგილი აქვს თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის საქმეში, ცალკე ტრესტებისა და საწარმოების მიხედვით. არის შემთხვევები, როცა საწარმოო ერთეული მნიშვნელოვან შედეგებს აღწევს თვითღირებულების შემცირების დარგში, მაგრამ ამ მიღწევებს ნთქავს კომერციული თვითღირებულების ზრდა. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ტყავის, სამთო-მადნო და პოლიგრაფიული მრეწველობის ტრესტები. არაფერს ვიტყვით საკმაოდ გავრცელებულ სენის შესახებ, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი სამრეწველო ორგანო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში მიდის ნაკლებ წინააღმდეგობათა გზით; თვითღირებულების შემცირებასთან ერთად აუარესებს პროდუქციის ხარისხსაც. ასეთი მოვლენებიც გამონაკლისს არ შეადგენენ საქართველოს მრეწველობის მუშაობაში.

დაახლოებით ამნაირივე სურათია შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგში, მაგრამ ამ მიღწევებს ნთქავს ლად განხორციელებული. პარტიის დავალება გულისხმობს შრომის ნაყოფიერების ზრდას 15 პროცენტით, სინამდვილეში კი, როგორც მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი ნახევრის შედეგები მოწმობენ, შრომის ნაყოფიერება საქართველოს მრეწველობაში გაიზარდა 10,2 პროც. ამავე დროს ნომინალური ხელფასის ზრდა წინ უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა ნორმალურად არ ჩაითვლება. შრომის ნაყოფიერების ზრდა ერთ-ერთი მთავარი და საჭირბოროტო მოთხოვნილებაა, რომელსაც უყენებს მრეწველობას სახალხო მეურნეობის საერთო მდგომარეობა. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა უშუალოდ არის დაკავშირებული მუშა-ხელის მატერიალური პირობების შემდგომი გაუმჯობესებასთან. ხელფასის ზრდა ნორმალური და მტკიცე იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დამყარებულია შრომის ნაყოფიერების ზრდაზე. ეს თავისთავად გასაგები და აუცილებელი პირობა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ შეგნებული. უმთავრესად ამით უნდა აიხსნას ის დაუშვებელი მოვლენა, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა თავის ტემპით ჩამორჩება ხელფასის ზრდას.

ხსენებულ ნაკლოვანებათა გარდა მრეწველობის მუშაობაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა თვითშემოწმებას. დადგენილებათა განხორციელების კონტროლი, არსებულ მიღწევათა თუ დეფექტების სისტემატიური აღრიცხვა ძალიან სუსტად ტარდება. ეს კი, აღუნებს სამეურნეო ორგანოების მუშათა საზოგადოებრიობის თვითმოქმედებას წარმოების გაუმჯობესების დარგში, ართულებს დეფექტებს, რომელთა აღკვეთაც, თუ ისინი დროზე იქნებიან გამოაშკარავებული, გაცილებით ადვილ საქმეს წარმოადგენს.

დასკვნა ასეთ მდგომარეობიდან თავისთავად გამომდინარეობს. საჭიროა კვლავ მთელი თავისი სიმწვავით დაისვას საკითხი მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შესახებ, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შრომის ნაყოფიერების ზრდას და დასახულ ღონისძიებათა განხორციელების სისტემატიურ შემოწმებას. ყველა ეს საკითხი პირველ რიგში უნდა იქნას წამოყენებული სოციალისტურ შეჯიბრების იმ მასიურ მოძრაობაში, რომლის მოწამენიც ჩვენ დღეს ვართ. მუშათა შემოქმედებითი ინიციატივის მაქსიმალურად გამოყენება და საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია აღნიშნულ საკითხების გარშემო ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს იმისათვის, რომ ჩვენმა მრეწველობამ წარმატებითი ბრძოლა აწარმოოს შემჩნეულ დეფექტების აღმოსაფხვრელად და სრულად განახორციელოს პარტიის დირექტივები.

ახლო მომავალი გვიჩვენებს, რამდენად ენერგიულად გაშლიან ამ მიმართულებით მუშაობას მრეწველობის ხელმძღვანელი პერსონალი, პროფესიონალური კავშირები და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები.

ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელოვანი რგოლი

ჩვენ მოვალენი ვართ ისევ და ისევ დაუბრუნდეთ საგარეო ვაჭრობის პრობლემებს, გულდასმით შევისწავლოთ ის კონკრეტული ამოცანები, რომლებსაც თვითეული მომენტი გვიკარნახებს, და ამ ამოცანების გადასაჭრელად ავამოძრაოთ მთელი ჩვენი ქვეყნის ძალები. საგარეო ვაჭრობა ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელოვანი რგოლია. ჩვენი ინდუსტრიალიზაციის მსვლელობა მრავალმხრივ დამოკიდებულია ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისაგან კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ამ მხრივ მთავარი საკითხია მანქანებისა და მოწყობილობის შემოტანა მრეწველობისა და სასოფლო-მეურნეობისათვის. თუმცა სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის, უდიდესი, შეიძლება ითქვას გადამწყვეტი, მნიშვნელობა აქვს საკუთარი მანქანათმშენებლობის - მაქსიმალურად განვითარებას, საწარმოო საშუალებათა წარმოების მაქსიმალურად განვითარებას, მაგრამ ხუთი წლის დამლევისათვის, (რომ არაფერი ვსთქვათ ხუთწლედის პირველ წლებზე) ჩვენ მაინც საგრძნობლად დამოკიდებული ვიქნებით საზღვარგარეთისაგან, მაგალითად, დაზგების მშენებლობის დარგში. აი რატომ ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა საგარეო ვაჭრობის განვითარებას, რომლის საშუალებით ჩვენ დავაკმაყოფილებთ მრეწველობას და სოფლის მეურნეობას მანქანებით და მოწყობილობით.

საგარეო ვაჭრობის ყოველმხრივად გაშლა-განვითარების ამოცანა ისმება ამჟამად მით უფრო მწვავედ, რაც უფრო ფართოდ და ღრმად ებმება სოფლის მეურნეობა რეკონსტრუქციაში და რაც უფრო ახალსა და ახალ მოთხოვნებს გვიდგენს იგი ტრაქტორებზე და რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე.

ჩვენმა პარტიამ და საბჭოების ყრილობამ დაამტკიცა სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ეგრედწოდებული ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიური ურთიერთობის საგრძნობლად განვითარებას კაპიტალისტურ მსოფლიოსთან. და ვინაიდან ეს განვითარება პირველ ყოვლისა და უმთავრესად დამოკიდებულია ექსპორტისაგან, ამიტომ უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ექსპორტის ყოველმხრივ გაძლიერებას და გაფართოებას. ეს ამოცანა ხუთწლედის მეორე წელში განსაკუთრებით მწვავე იქნება, რადგან ამ მეორე წლის განმავლობაშიც პურს ჩვენ ვერ გავიტანთ საზღვარგარეთ. საგარეო ვაჭრობის ყოველმხრივი გაფართოებისა და განვითარების ამოცანა, ექსპორტის ყოველმხრივი გაძლიერების ამოცანა ხუთწლედის მეორე წლის განმავლობაში მეტად რთულ სახალხო-სამეურნეო პირობებში უნდა იქნას გადაჭრილი.

თუ შევეხებით ჩვენი საგარეო-სავაჭრო ურთიერთობის ეხლანდელ მდგომარეობას, სრული უფლება გვაქვს აღვნიშნოთ მთელი რიგი მიღწევები. უნდა ვიფიქროთ, რომ საქონლის გატანისა და შემოტანის გეგმა მიმდინარე წელს შესრულებული იქნება. ექსპორტი, გასულ წელთან შედარებით, გაიზრდება, დაახლოებით, 8 პროცენტით. ზრდის ასეთი ციფრი არ არის უმნიშვნელო. განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როცა იძულებული ვართ დროებით ხელი ავიღოთ პურის ექსპორტზე და როცა შინაურ ბაზარზე გამწვავებული მდგომარეობაა ერბოს, კვერცხის და სხვ. პროდუქტების მხრივ.

ასეთ პირობებში მეტად მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს სამრეწველო ექსპორტმა და იგი თამაშობს კიდეც ამ როლს. სამრეწველო ექსპორტის საერთო ჯამი მიმდინარე წელს შარშანდელზე მეტი იქნება 87 88 პროცენტით. სამრეწველო ექსპორტში მთავარ როლს თამაშობს ხე-ტყე და ნავთი. ერთი სიტყვით, ჩვენი საგარეო ვაჭრობის მთელ ფრონტს ახასიათებს განვითარების სწრაფი ტემპი, ისეთი ტემპი, რომელიც მიუღწეველია კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის. ჩვენი ექსპორტის განვითარებაზე უკვე აშკარა ხდება იმ ტემპის გავლენა, რომელიც ჩვენ შარშან ავიღეთ.

მომავალი წლისათვის განზრახულია განვითარების ტემპის შემდგომი გაძლიერება. მომავალი წლის საკონტროლო ციფრების წინასწარი დამუშავება გვიჩვენებს, რომ სახალხო მეურნეობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგებში, მათ შორის, საგარეო ვაჭრობაში, ჩვენ გადავაჭარბებთ კიდეც ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ციფრებს. ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა კი აუარებელი მელანი დახარჯეს იმისათვის, რომ დაემტკიცებინათ ხუთწლიანი გეგმის სრული ფანტასტიურობა. მათ უამრავი ქაღალდი გააფუჭეს იმის დასამტკიცებლად, რომ საბჭოთა კავშირის ვალიუტის მდგომარეობა კატასტროფიულია, რომ მის გადამხდელუნარიანობას კრახი მოელისო.

ამგვარად, ჩვენი ქვეყნის მშრომელმა მასებმა უნდა ნათლად შეიგნონ, თუ რა ფართო სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ექსპორტის განვითარებას, განსაკუთრებით ეხლანდელ პირობებში. როგორია უმნიშვნელოვანესი ამოცანები ამ სფეროში?

პირველ ყოვლისა, კაპიტალურ ხარჯების შესახებ. საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ის კაპიტალური ხარჯები, რომლებიც აქამდის ხმარდებოდა საექსპორტო დარგებს, სრულიად უმნიშვნელო და არასაკმაო იყო. ექსპორტის განსაფართოებლად აუცილებელი პირობაა კაპიტალური ხარჯების გაფართოება საექსპორტო დარგებში. უამისოდ ექსპორტს ჩვენ საგრძნობლად ვერ გავაფართოვებთ. რასაკვირველია, კაპიტალურ ხარჯების მთავარი ნაწილი ხმარდება და მომავალშიაც მოხმარდება მძიმე ინდუსტრიას, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, საექსპორტო დარგებს გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ამას მოითხოვენ იმავე მძიმე ინდუსტრიის ინტერესებიც, ვინაიდან პირველ ყოვლისა მას სჭირდება ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილობების შემოტანა საზღვარგარეთიდან. უნდა ითქვას, რომ აქამდის კაპიტალური ხარჯები უმნიშვნელოვანეს საექსპორტო დარგში ხე-ტყის მრეწველობაში მეტად მცირე იყო, ამიტომ მომავალი წლის საკონტროლო ციფრების შედგენის დროს გაცილებით მეტად უნდა იქნას დაკმაყოფილებული საექსპორტო დარგების კაპიტალური მშენებლობის საჭიროებანი. აქ ხშირად უმნიშვნელო თანხა უდიდეს სამეურნეო ეფექტს იძლევა.

საჭიროა გადაუხრელად განხორციელებულ იქნას დირექტივა ექსპორტზე მომუშავე საწარმოთა გამოყოფის შესახებ. ამ საწარმოთა მუშაობა სავსებით და მთლიანად უნდა შეუფარდოთ უცხოეთის ბაზრის საჭიროებებს. საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ამ საწარმოებს კონკურენციას უწევენ უცხოეთის საწარმონი, რომელთა პროდუქციის თვითღირებულება ჩვენი პროდუქციის თვითღირებულებაზე გაცილებით ნაკლებია, ამიტომ საექსპორტო მუშაობის სფეროში, კერძოდ, სპეციალურ საექსპორტო საწარმოებში, საჭიროა გავაძლიეროთ მუშათა მასის აქტივობა, ჩავაბათ მასები სოციალურ შეჯიბრებაში და გადაჭრით წინ წავსწიოთ რაციონალიზაციის საქმე. მხოლოდ ამ გზით მუშათა მასის შეგნებული მონაწილეობით და რაციონალიზაციის პროცესების ენერგიულად განვითარებით შევძლებთ ჩვენ არაჩვეულებრივად მაღალი თვითღირებულების შემცირებას.

როგორც ექსპორტის, ისე საერთოდ საგარეო ვაჭრობის სფეროში უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ჩვენი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება. ამ მხრივ ჩვენი მუშაობა საგარეო ვაჭრობის სფეროში ჯერ კიდევ მოიკოჭლებს. იგი მოიკოჭლებს დახარისხების და ჩალაგების, მომხმარებლის მოთხოვნილებათა უფრო კარგად გათვალისწინების, ხელსაყრელ პირობებში საქონლის ყიდვა-გაყიდვის და სხ. საქმეში. უნდა გვახსოვდეს, რომ ეხლანდელი საგარეო-სავაჭრო ურთიერთობის დროს მუშაობის ხარისხის მცირე გაუმჯობესებასაც კი შეუძლია მოგვცეს ჩვენ ათეული და ასეული მილიონი მანეთი დამატებით. ამ მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება პირდაპირ და უშუალოდ დაკავშირებულია სამრეწველო მოწყობილობის და სასოფლო-სამეურნეო მანქანების იმპორტის გაფართოებასთან.

სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის სფეროში მნიშვნელოვანი ამოცანაა სტიმულის შექმნა რაც შეიძლება მეტი საბაზრო საქონლის დამზადებისათვის და მეორეხარისხოვანი ექსპორტის გადიდება. თუმცა სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის უმნიშვნელოვანესი ელემენტი—პური გამორიცხა ექსპორტიდან, მაგრამ ენერგიული მუშაობა სხვა სასოფლო-სამეურნეო დარგებში მოგვცემს ახალ დამატებით საექსპორტო კონტინგენტებს.

ექსპორტის ყოველმხრივი განვითარების ამოცანა მოითხოვს როგორც ცენტრის, ისე ადგილების შეთანხმებულ მუშაობას. საბჭოთა კავშირის დარაიონება, რომელიც უკვე ჩატარდა, საშუალებას მოგვცემს ჩვენ უკეთ გამოვიყენოთ ექსპორტის საქმეში ადგილობრივი რესურსები. საჭიროა აგრეთვე საორგანიზაციო ფორმების გაუმჯობესება, დამამზადებელ ორგანოების მუშაობის მეტი შეთანხმება. საჭიროა, დაბოლოს, შეთანხმებული გამოსვლა საგარეო ბაზარზე, წინააღმდეგ შემთხვევაში საგრძნობ ვალიუტას დავკარგავთ.

იმპორტის დარგშიც ჩვენ მთელი რიგი მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ პურის ექსპორტი შეწყდა, მრეწველობისათვის ჩვენ დიდძალი მოწყობილობა შემოგვაქვს უცხოეთიდან. მაგრამ მუშაობის ამ ფრონტზე მაინც დაჭიმული მდგომარეობაა, ამიტომ შემოტანილი მოწყობილობა საუკეთესოდ უნდა იქნას გამოყენებული მთელი 10 პროცენტით. აღარ უნდა განმეორდეს ის სისაძაგლე, რომელსაც ადგილი ჰქონდა უცხოეთიდან მოწყობილობის შემოტანის საქმეში. სავსებით რეალურად და გარკვევით უნდა დაწესდეს პასუხისმგებლობა იმ დაკვეთების შედგენისათვის, რომლების მიხედვითაც საზღვარგარეთიდან შემოტანილი უნდა იქნას მოწყობილობა. შემოტანილი მოწყობილობის გამოყენებას უნდა გაეწიოს სასტიკი კონტროლი.

აგრეთვე დაჭიმული მდგომარეობაა ნედლეულის შემოზიდვის დარგში. აქაც საჭიროა მაქსიმალური მომჭირნეობის, მოქნილობის და გეგმაშეწონილობის გამოჩენა.

არა ერთხელ შევეხებივართ ზედნადები ხარჯების პრობლემას საგარეო ვაჭრობაში. საგარეო ვაჭრობის პრობლემასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა მოვაქციოთ ბრძოლას ზედნადები ხარჯების შემცირებისათვის.

ჩვენ მოვალენი ვართ ბოლშევიკური ენერგიითა და სიმტკიცით შეუდგეთ საგარეო ვაჭრობის განვითარებისა და გაუმჯობესების ამოცანების გადაჭრას. ეს ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის სავალიუტო პოზიციების განმტკიცებას და უფრო მნიშვნელოვანი სავალიუტო რეზერვის დაგროვებას, რაც აუცილებელია სამეურნეო განვითარების უზრუნველსაყოფად. მიუხედავად მემარჯვენე ოპორტუნისტების ყვირილისა, ჩვენ უკვე დავაგროვეთ ცოტა რამ და მომავალ წელს, ეჭვს გარეშეა, კიდევ მეტს დავაგროვებთ. ჩვენ უზრუნველვყოფთ აქტიურ სავაჭრო ბალანსს და ამით განვახორციელებთ პარტიის მე-15 ყრილობის დირექტივას. ჩვენ მოვალენი ვართ ენერგიულად ვიმუშაოთ საგარეო ვაჭრობის ინდუსტრიალიზაციის ამ უმნიშვნელოვანესი რგოლის გაფართოების და განმტკიცების ამოცანის გადასაჭრელად. პარტიულმა, მუშათა, საზოგადოებრივმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ საგარეო ვაჭრობის ამოცანებს. წარმატებითი წინსვლა საგარეო ვაჭრობის ფრონტზე ჩვენ ხელთ მოგვცემს უძლიერეს იარაღს ხუთწლედის საუკეთესოდ განხორციელებისათვის, გაადიდებს საბჭოთა კავშირის სამეურნეო ძალას და განამტკიცებს მის დამოუკიდებულებას კაპიტალისტურ მსოფლიოსაგან.

„პრავდა“, 23 ივნისი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის კომპარტიის შეკითხვა მაროკოს ამბების შესახებ

ამხ. კაშენი ამხელს „მაროკოში მშვიდობიანი შესვლის“ პოლიტიკის სიყალბეს

კომპარტია მოითხოვს მაროკოს ევაკუაციას

გერმანიის რეიხსტაგმა ერთნახევარი წლით გააგრძელა „რესპუბლიკის დაცვის კანონის“ მოქმედება

კომპარტიის შეკითხვა დეპუტატთა პალატაში

კაშენი მაროკოში „მშვიდობიანი შეჭრის“ შესახებ

პარიზი, 23 ივნისი. დეპუტატთა პალატაში კაშენმა დაასაბუთა კომფრაქციის შეკითხვა მაროკოში მომხდარი ამბების შესახებ. კაშენმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის ეგრედწოდებული „მშვიდობიანი შეჭრა“ მაროკოში, რომელიც დაიწყო 1904 წელს, **საფრანგეთს დაუჯდა რამდენიმე ათი ათასი ადამიანის სიცოცხლედ, ხოლო ადგილობრივმა მოსახლეობამ უფრო დიდი მსხვერპლი გაიღო.**

კაშენმა აღნიშნა, რომ ეხლანდელი სამხედრო ოპერაციები მაროკოში „შემთხვევით შეტაკებებს“ არ წარმოადგენენ; ამით ხორციელდება სამხრეთ მაროკოს დაპყრობის გეგმა, რომელიც დამუშავებულია დეტალურად და გულდასმით.

„ამ მიზნის მიღწევა,—განაცხადა კაშენმა, — მოითხოვს აუარებელ მსხვერპლს ხალხითა და ფულით, რადგან იმ ტომებს, რომელთა წინააღმდეგაც მიმართულია სამხედრო ოპერაციები. ჰყავთ 100.000-მდე მებრძოლი, ამასთან მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან თავიანთი დამოუკიდებლობა და თავიანთი მიწები, რომლების ჩამორთმევასაც მათ უპირებენ ისევე, როგორც ჩამოართვეს მიწები ალჟირისა და მაროკოს დანარჩენი ნაწილის მოსახლეობას“.

კაშენმა განაცხადა, რომ ომის მიზეზია **საფრანგეთის კოლონიალური კაპიტალის მისწრაფება—ხელში ჩაიგდოს თუნუქის, ტყვიის და ქვა-ნახშირის მადანი, აგრეთვე წყლის ენერგიის წყაროები სამხრეთ მაროკოში.** ამაში განსაკუთრებით დაინტერესებულია ნიდერლანდის ბანკი.

დასასრულ, კაშენმა განაცხადა, რომ **„მხოლოდ მაროკოს ევაკუაციას შეუძლია მშვიდობიანობის უზრუნველყოფაო“.** (ადს).

განსაკუთრებული კანონი მუშების წინააღმდეგ

ბერლინი, 23 ივნისი. 8 ხმის უმრავლესობით რეიხსტაგმა რესპუბლიკის დაცვის კანონი წლი-ნახევრით გააახანგრძლივა. კენჭის ყრამდე კომუნისტების დეპუტატმა მასლოვსკიმ დაამტკიცა, რომ რესპუბლიკის დაცვის კანონი წარმოადგენს განსაკუთრებულ კანონს მუშების წინააღმდეგ. (ადს).

მღელვარება სათადარიგო ჯარისკაცთა შორის

პარიზი, 23 ივნისი. „ლიუმანიტე“-ს ცნობით, საფრანგეთის სხვადასხვა პუნქტებში კვლავ ხდება მღელვარება სათადარიგო ჯარისკაცთა შორის. **მარსელის მახლობლად ბანაკში 350 სათადარიგო ჯარისკაცთა კადრის სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად გამართა დემონსტრაცია. დემონსტრანტები მღეროდნენ ინტერნაციონალს და აცხადებდნენ პროტესტს ოფიცერთა მხრივ ცუდი მოპყრობის წინააღმდეგ. ისმოდა ხმები: „ძირს სათადარიგო ჯარისკაცთა გაწვევა“.**

წესრიგი ბანაკში აღდგენილ იქნა მხოლოდ დილით. ტულის გარნიზონში გაგზავნილი 109 სათადარიგო ჯარისკაცი ცუდი საჭმლის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად შემოწმებაზე არ გამოცხადდა.

17 დემონსტრანტი დაპატიმრებულია, დანარჩენებს წაართვეს შვებულება. სენტრმის სადგურზე დაპატიმრებულია სამი სათადარიგო ჯარის კაცი იმ ეშელონიდან, რომელიც ინტერნაციონალს მღეროდა. (ადს).

საერთაშორისო დემონსტრაცია იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ

ბერლინი, 23 ივნისი. გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის და ლიუქსემბურგის კომპარტიებმა გამოაქვეყნეს საერთო მოწოდება იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგო საერთაშორისო დემონსტრაციის შესახებ, რომელიც დანიშნულია 21 ივლისისათვის აახენში. დემონსტრაციაში მონაწილეობას მიიღებენ აღნიშნული ხუთი ქვეყნის მუშები. (ადს).

„როტე ფანე“ ისევ გამოვიდა

ბერლინი, 23 ივნისი. შვიდი კვირის დუმილის შემდეგ, „როტე ფანე“ ისევ გამოვიდა. ნომერი შეიცავს მუშკორების წერილებს და კრებების რეზოლიუციებს, რომლებშიაც მუშები ერთგულებას უცხადებენ კომპარტიას და მის ცენტრალურ ორგანოს. გაზეთის მთავარი რედაქტორის **გირშის** დაპატიმრების შემდეგ დააპატიმრეს აგრეთვე გაზეთის მეორე რედაქტორი **სლანგი.**

„როტე ფანე“ სწერს, რომ ასეთივე ბედი მოელის კიდევ რამდენსამე რედაქტორს.

გირში და სლანგი დააპატიმრეს უზენაესი პროკურორის განკარგულებით. მათ ჰბრალდებათ „სახელმწიფოს ღალატის ცდა“. ეს „ცდა“ პროკურორმა დაინახა იმ წერილებში, რომლებიც „როტე ფანე“-მ 1 მაისის წინა დღეებში მოათავსა. (ადს).

ბერლინი, 23 ივნისი. როგორც კომპარტიის ბრანდენბურგის ორგანო „ფოლკს ეხო“ იუწყება, დააპატიმრეს „როტე ფანე“-ს მთავარი რედაქტორი **ვერნერ გირში.** (ადს).

კომუნისტების გამარჯვება არჩევნებში

ბერლინი, 23 ივნისი. მეკლენბურგ-შვერინში მოხდა ლანდტაგის არჩევნები. წინასწარი ცნობებით, **კომუნისტებს შეემატათ 1.000 ხმა. მათ სულ მიიღეს 16.000 ხმა.** სოციალ-დემოკრატებმა დაჰკარგეს 9.000 ხმა, მიიღეს 118.000 ხმა. დანარჩენი პარტიებიდან ხმები შეემატათ მხოლოდ ნაციონალ-სოციალისტებს. მანდატები ყველა პარტიას დააკლდა, გარდა კომუნისტებისა, რომლებმაც შეინარჩუნეს თავიანთი სამი მანდატი. (ადს).

სამხრეთ-უელსის მემაღაროეთა სარაიონო კონფერენცია

ლონდონი, 23 ივნისი. კარდიფში გაიხსნა სამხრეთ უელსის მემაღაროეთა მორიგი წლიური კონფერენცია. შეტანილ იქნა რამდენიმე წინადადება მიწის ქვეშ მომუშავეთა სამუშაო დღის შემოღების შესახებ. წინადადებანი მოითხოვენ ბოლდუინის მთავრობის მიერ 8 საათის სამუშაო დღის შესახებ გამოცემული კანონის გაუქმებას და მიწის ქვეშ შვიდი (და ექვსისაც კი) საათის სამუშაო დღის შემოღებას. შეტანილ იქნა აგრეთვე წინადადება მაღაროების ნაციონალიზაციის შესახებ უსასყიდლოდ. (ადს).

ლონდონი, 23 ივნისი. სამხრეთ-უელსის მაღაროს მუშათა მორიგი წლიური სარაიონო კონფერენციის გახსნის დროს, ფედერაციის თავმჯდომარემ მორელმა თავის სიტყვაში ოპორტუნისტული ხაზი გაატარა. იგი აშკარად ცდილობდა მუშათა პარტიის მთავრობისთვის უხერხული მდგომარეობის შექმნის თავიდან აცილებას. მორელს კრინტიც არ დაუძრავს ბოლდუინის მთავრობის მიერ გამოცემული იმ კანონის შეცვლაზე, რომელმაც მიწისქვეშ მომუშავეთათვის 8 საათის სამუშაო დღე დააწესა. კონფერენციის ბევრი დელეგატი შეეხო ამ კანონის შეცვლას, მაგრამ, ფედერაციის აღმასკომის რჩევით, კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მხოლოდ მოითხოვს „1926 წლის ლოკაუტამდე არსებული პირობების“ სასწრაფო აღდგენას.

გაცხოველებული კამათი გამოიწვია იმ წინადადებამ, რომელიც მოითხოვდა მაღაროების ნაციონალიზაციას გამოუსყიდავად და რომელსაც მხარი დაუჭირა რვა ორგანიზაციამ. ამ საკითხის შესახებ **კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ფაქტიურად არაფერს ავალებს მაკდონალდის მთავრობას.** (ადს).

გაფიცვები საფრანგეთში

პარიზის მეავეჯეთა გამარჯვება

პარიზი. 23 ივნისი. დამთავრდა პარიზის მეავეჯეთა გაფიცვა, რომელმაც ორ თვეს გასტანა, **თითქმის ყველგან მუშებმა მიაღწიეს სამუშაო ხელფასის მომატებას.** გაფიცვას ხელმძღვანელობდა ხის დამმუშავებელთა უნიტარული კავშირი. (ადს).

მშენებელ მუშათა გაფიცვა მარსელში

პარიზი, 23 ივნისი. 6 დღეა მარსელში გრძელდება 3.000 მშენებელი მუშის გაფიცვა. გაფიცვა გამოიწვია დამქირავებელთა შეურიგებელმა პოლიტიკამ. დამქირავებლებმა უარი განაცხადეს მოლაპარაკებაზე, რომელნიც მოითხოვდნენ სამუშაო ხელფასის გადიდებას და 8 საათის სამუშაო დღის დაცვას. დამქირავებლებს სასტიკი იერიში მიაქვთ უნიტარულ კავშირზე, რომელმაც შესძლო მშენებელ მუშათა დიდი უმრავლესობის გაერთიანება თავის ირგვლივ. (ადს).

ინგლისის მრეწველთა დელეგაციის მოხსენების დამტკიცება

ლონდონი, 23 ივნისი. როგორც „დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება, ინგლის - რუსეთის კომიტეტმა, რომელმაც მოაწყო ინგლისის მრეწველთა დელეგაციის მგზავრობა საბჭოთა კავშირში, დაამტკიცა დელეგაციის მოხსენება მოგზაურობის შესახებ. მოხსენება მთავრობას წარედგინა. (ადს)

საფრანგეთ-თურქეთის შეთანხმება

ანგორა, 23 ივნისი. საფრანგეთის ელჩმა თურქეთში **შამბრენმა** და თურქეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა **ტევფიკ რუშდი ბეიმ** ხელი მოაწერეს საფრანგეთ-თურქეთის შეთანხმებას. (ადს).

ლაყბობა საზღვაო შეიარაღებათა შემცირებაზე

ტოკიო, 23 ივნისი. ამერიკის რწმუნებულმა ტოკიოში ნევილმა ამერიკულ გაზეთში გამოაქვეყნა საუბარი პრემიერ ტანაკასთან.

ტანაკამ განაცხადა: „იაპონია ესალმება ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების თაოსნობას საზღვაო შეიარაღებათა შემცირების საქმეში“. ტანაკას ეს განცხადება ნევილმა ვაშინგტონს გადასცა.

გაზეთების აზრით, ტოკიოში ფიქრობენ, ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატები და ინგლისი პრინციპიალურად რომ შეთანხმდნენ კიდეც საზღვაო შეიარაღებათა შემცირების შესახებ, საერთო შეთანხმება მაინც ადვილი საქმე არ იქნება, ვინაიდან დამხმარე საზღვაო ძალების მხრით საფრანგეთი, იტალია და იაპონია „დელიკატურ მდგომარეობაში“ იმყოფებიან. (ადს).

როსის გამართლება

პარიზი, 23 ივნისი. ბეზანსონის სასამართლომ გაამართლა ელზასელი ავტონომისტი როსი, რომელსაც ბრალდებოდა შეთქმულება სახელმწიფოს უშიშროების წინააღმდეგ. სასამართლოში როსმა განაცხადა, რომ ავტონომიზმი და სეპარატიზმი შეუთავსებელია ერთმანეთთან და დაუფიცა სასამართლოს, რომ იგი საფრანგეთის ერთგულია.

ელზასელი ავტონომისტების შარშანდელ პროცესზე სასამართლომ როსს დაუსწრებლად მიუსაჯა მრავალი წლის პატიმრობა. როსი შემდეგ თავისი ნებით დაბრუნდა საფრანგეთში.

შეთქმულების აღმოჩენა სპარსეთში

თეირანი, 23 ივნისი. გაზეთების ცნობით, სათანადო ორგანოებმა შეთქმულება აღმოაჩინეს. ამ საქმის გამო დააპატიმრეს ფინანსთა მინისტრი **ფირუზი,** ფარსის გენერალ - გუბერნატორი და ჟანდარმერიის უფროსი. ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობა დროებით პრემიერს დაეკისრა. (ადს)

კომუნისტების დევნა

კამპანია კომუნისტების წინააღმდეგ

სტოკჰოლმი, 23 ივნისი. კომპარტიის მიერ სტოკჰოლმის ქუჩებში გამოკრული პლაკატები, მიძღვნილი საერთაშორისო წითელი დღისათვის, დიდ მღელვარებას იწვევენ ბურჟუაზიულ წრეებში. ბურჟუაზიული პრესა გააფთრებულ კამპანიას ეწევა კომუნისტების წინააღმდეგ და მოუწოდებს მთავრობას ენერგიული ზომებისაკენ. ამავე დროს ბურჟუაზიული გაზეთები სრულიად არაფერს ამბობენ იმ პაციფისტურ დემონსტრაციებზე, რომლებიც განზრახული აქვთ სოციალ - დემოკრატებს 4 აგვისტოსათვის. (ადს)

თავდასხმა მუშა - კომუნისტებზე

ნიუ-იორკი, 23 ივნისი. როგორც ლიბერალური ორგანო (მექსიკაში) „ელ უნივერსალი“ იუწყება, ქალაქ მეტეპეკსა და ელიონში შრომის რეფორმისტული კონფედერაციის მომხრეები თავს დაესხნენ ადგილობრივ ფაბრიკა - ქარხნების მუშა - კომუნისტებს. **შეტაკების დროს მოჰკლეს 4, დასჭრეს 20, დააპატიმრეს 28 კაცი.** (ადს)

შახტელი მემაღაროები მოსკოვში

მოსკოვი, 24 ივნისი. შახტელ მემაღაროეთა დელეგაციის ჩამოსვლის გამო, მოსკოვში გაიმართა მიტინგი.

რაზმის კომისარმა **გონტამ** ილაპარაკა დელეგაციის მოგზაურობის მიზნების შესახებ.

„შახტის რაიონი, საბჭოთა კავშირის ეს ანტრაციტის გული,—სთქვა ამხ. გონტამ,—წარმოადგენდა გამწვავებული სამოქალაქო ომის ასპარეზს. მაღაროები დანგრეული იყო. მემაღაროეთა გმირული მუშაობით ეს მაღაროები კვლავ აღსდგენ. ერთი წლის წინად გამოაშკარავდა შახტის მავნებელთა საქმე. მათ მიზნად დასახული ჰქონდათ ნახშირის მაღაროების დანგრევა. შახტელი მემაღაროები ამ მეორე კონტრრევოლიუციასაც გაუსწორდნენ. ახლა ჩვენ გამოვიარეთ 1500 ვერსზე მეტი. გზადაგზა ვნახეთ ახალი ქარხნების და ელექტრო-სადგურების უდიდესი მშენებლობა. მაგრამ ისინი ვერ იმუშავებენ, თუ ჩვენ მათ სათბობად არ მივსცემთ „შავ პურს“. ამიტომ დონბასმა მიმდინარე წლის განმავლობაში ორჯერ უნდა გაადიდოს ნახშირის ამოღება. შახტის რაიონში კი ნახშირის ამოღება ხუთ წელიწადში სამჯერ უნდა გადიდდეს. ამისთვის ჩვენ ეხლა საფუძველი ჩავუყარეთ ახალ მაღაროს იმ ორგანოს სახელობაზე, რომელმაც აღმოაჩინა შახტის მავნებლები—სახელმწიფო პოლიტსამმართველოს სახელობაზე. იგი ყოველწლიურად მოგვცემს 500 ათას ტონა ქვა-ნახშირს. ამავე მიზნისთვის შახტის მემაღაროები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. შახტელმა მუშებმა ეს არ იკმარეს. მათ **თავიანთ დელეგაციას მიანდეს—დაუდასტუროს პარტიას და მთავრობას, რომ შახტელები ასწევენ თავიანთ წარმოებას 2 მილიონიდან 2.200.000 ტონამდე, მოსპობენ გაცდენას და შეამცირებენ ქვა-ნახშირის თვითღირებულებას“.**

ამხ. გონტას სიტყვას მიტინგი ტაშით შეხვდა. შემდეგ მემაღაროებმა **კოვალენკომ და კუშნარევმა** პარტიის ც. კ. და მთავრობას გადასცეს 19.000 მემაღაროეს ვალდებულებანი. (ადს).

კოლმეურნეობათა სრულიად საკავშირო საბჭოს სესიის შედეგები

მოსკოვი, 24 ივნისი. დაიხურა კოლექტიურ მეურნეობათა სრულიად საკავშირო საბჭოს სესია. სესიამ აღიარა, რომ ჩვენი ქვეყნის პურით უზრუნველყოფის საქმეში კოლექტიური მეურნეობანი სერიოზულ ფაქტორად გადაიქცნენ. **მიმდინარე წელს მათ 656.000 ტონა პური მისცეს სახელმწიფოს. დათესილ სივრცის მიხედვით, 1929-30 წელს კოლმეურნეობანი მისცემენ სახელმწიფოს 1.639.000 ტონა პურს.** 1929-30 წელს კოლმეურნეობებში გაერთიანებულ გლეხთა რიცხვი საბჭოთა კავშირში უნდა ავიდეს 7 ნახ. მილიონ კაცამდე 8 მილიონი ჰექტარი სათესი მოედნით. კოლმეურნეობების საერთო მასაში მსხვილ კოლექტიურ მეურნეობათა ხვედრითი წონა საგრძნობლად უნდა გაიზარდოს, ხოლო სათესი სივრცე 3 მილიონ ჰექტარამდე უნდა ავიდეს.

სესიამ შეიმუშავა კულტურათა 1929 წლის შემოდგომის თესვის გეგმა საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობებში, რომლის მიხედვითაც უნდა დაითესოს ერთნახევარი მილიონი ჰექტარი, რაც კოლმეურნეობათა საშემოდგომო ზონას, წარსულ წელთან შედარებით, საშუალოდ ადიდებს 90 პროცენტით. სესიამ საჭიროდ სცნო—მოაწყოს კოლექტიური მიწათმოქმედების ფაკულტეტი და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ახალი წარმოებანი.

სესია გადაჭრით მოითხოვს, რათა მრეწველობამ მიიღოს საჭირო ზომები საფოსფორო სასუქების და აზოტოვანი მარილების წარმოების მაქსიმალური განვითარებისათვის. სესიამ აღიარა, რომ მომავალი ხუთი წლის განმავლობაში კოლექტიურ მეურნეობათა მიწათმოწყობა უნდა ჩატარდეს 22 მილიონ ჰექტარ სათეს სივრცეზე, ხოლო 1929-30 წელს—5-დან 7 მილიონ ჰექტარზე.

აღნიშნა რა, რომ კოლმეურნეობათა შექმნა ბევრად უსწრებს წინ გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას, ვინაიდან ღარიბესი და საშუალო გლეხობის მასა ფართო ფრონტით გაეშურა კოლექტიური მეურნეობისაკენ, სესიამ საჭიროდ სცნო შეიქმნას მიწათმოწყობის ისეთი პირობები, რომ ღარიბებს და საშუალო გლეხობას გაუადვილდეს კოლმეურნეობებში შესვლა.

დასავლეთის სავაჭრო პალატის ამერიკული სექციის კრება

მოსკოვი, 24 ივნისი. შესდგა სრულიად საკავშირო დასავლეთის სავაჭრო პალატის ამერიკული სექციის კრება საბჭოთა კავშირში მომუშავე ამერიკულ ფირმათა წარმომადგენლების, მოსკოვში მყოფ ამერიკელ მეცნიერთა, ამერიკული გაზეთების კორესპონდენტთა, საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელთა და სხვათა მონაწილეობით.

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს უცხოეთის განყოფილების გამგის ამხ. გურევიჩის შესავალი სიტყვის შემდეგ (გურევიჩი შეეხო ამერიკა - საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის საკითხს, კერძოდ, ამერიკის ფირმების ტექნიკურ დახმარებას საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციებისათვის), ბევრმა ამერიკელმა მოღვაწემ ილაპარაკა ორივე ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის პრაქტიკულ საკითხებზე. მათ აღნიშნეს, აგრეთვე, რომ ამერიკელი საქმიანი წრეებისათვის საჭიროა გაძლიერდეს ინფორმაცია საბჭოთა კავშირის შესახებ. (ადს)

ტექნიკური განათლებისათვის ამიერ-კავკასიაში

მოსკოვი, 24 ივნისი. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს იმ საუწყებათაშორისო კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს მრეწველობის მოგებიდან გადადებული 3 პროცენტის განაწილება ტექნიკური განათლების საქმეზე, **საკავშირო ფონდიდან გამოჰყო 1.886.000 მანეთი ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებისათვის. რესპუბლიკები, გარდა ამისა, მიიღებენ იმავე მიზნისათვის 160.000 მანეთს** ამიერ - კავკასიის ადგილობრივი და რესპუბლიკანური მრეწველობის მოგებიდან.

საკავშირო ს. მ. უ. საბჭო სთხოვს ამიერკავკასიის ორგანოებს — სასწრაფოდ გაანაწილონ ეს თანხები რესპუბლიკების უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებს შორის და პირველ რიგში უზრუნველჰყონ ის სასწავლებლები, რომლებიც ახალ სპეციალისტებს ამზადებენ. (ადს)

თათბირი ტურიზმის განვითარების შესახებ

სოხუმი, 24 ივნისი. აფხაზეთის კურორტთა მთავარ სამმართველოში გაიმართა თათბირი ტურიზმის განვითარების საკითხის შესახებ. თათბირი გამოწვეულ იქნა საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს იმ დადგენილების თანახმად, რომელიც შეეხება ადგილობრივი და უცხოეთის ტურიზმის განვითარებას შავი ზღვის ნაპირებზე. თათბირზე განხილულ იქნა აფხაზეთის მთებში კურორტების, მთის სასტუმროების და თავშესაფრების აგების გეგმა. შემუშავებულ იქნა ზემო - სვანეთში მოგზაურობის მარშრუტები.

თათბირმა გადასწყვიტა—აფხაზეთის მთიან ნაწილში გაგზავნოს ექსპედიცია მხარის მცოდნეთა, ექიმისა და ინჟენერის შემადგენლობით.

ექსპედიციის დაბრუნების შემდეგ კურორტთა მთავარი სამმართველო მოიწვევს მეორე თათბირს საბოლოო გადაწყვეტილებათა მისაღებად. (ადს)

ძველი კედლის აღმოჩენა

ბაქო, 24 ივნისი. არქეოლოგმა **პახომოვმა** დაამთავრა კავკასიის ძველი კედლის შესწავლა, რომელიც თავის დროზე სპარსეთის სამფლობელოებს იცავდა ხაზართა და ჰუნთა შევისაგან. პახომოვმა ამ.-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში თავისი მუშაობის შედეგების შესახებ განაცხადა:

კედელი იწყება დერბენტიდან და მიდის დასავლეთისაკენ 50 კილომეტრის მანძილზე. პახომოვმა გამოიკვლია საერთო სისტემაში შემავალი კედლის და მთელი ფორტების საკმაოდ კარგად შენახული ნაშთები სოფელ იახდიმდე და მდინარე რუსასამდე. კედელი მიდის კლაკნილი ხაზით ნაწილობრივ მთებისაკენ, ნაწილობრივ ხეობებისაკენ და ჰფარგლავს ძველი სპარსელებისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პუნქტებს.

კედლის ნაშთებიდან სჩანს, რომ მისი სისქე აღწევდა სამ მეტრს, ხოლო სიმაღლე —15 მეტრს. ადგილობრივი მოსახლეობა კედელს ბარბაროსულად ანგრევდა მრავალი ხნის განმავლობაში.

პახომოვის მიერ შეგროვილი წარწერებიდან სჩანს, რომ კედელი აგებულია სასანიდების ეპოქის მე-5 ან მე-6 საუკუნეში. ასეთი წარწერების საგრძნობი რიცხვი აღმოჩენილ იქნა დერბენტის მიდამოებში.

ყველაზე უფრო საგულისხმო აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს წარწერა: „აზერბეიჯანი“, რომელიც ხშირად გვხვდება კედლებზე. დერბენტის წარწერები მოწმობენ, რომ სასანიდის კულტურა გავრცელებული იყო შორს ჩრდილოეთით. ეს წარწერები მოწმობენ აგრეთვე იმას, რომ ამ კულტურის წარმომადგენელი იყო არა ადგილობრივი მმართველი ჯგუფი, არამედ მოსახლეობის ცოტად თუ ბევრად ფართო ფენა.

აღმოჩენილი წარწერები საგრძნობლად ადიდებენ სასანიდების ეპიგრაფიკის ძეგლების დღემდე ცნობილ ნაშთებს; მეტიც. ეს წარწერები გვაძლევენ ენის ნიმუშებს, და იმ დროის ნაწერს, რომლიდანაც დღემდე არ დარჩენილა ეპიგრაფიული ძეგლები.

დღემდე ირანის მიდამოებში აღმოჩენილ იქნა სულ 15 წარწერა, რომლებიც სასანიდების ხანას ეკუთვნიან. არქეოლოგმა პახომოვმა კავკასიის კედელზე აღმოაჩინა 20 წარწერა, დიდი და პატარა ზომისა.

აზერბეიჯანის შემსწავლელ საზოგადოებაში ვერ წაიკითხეს არქეოლოგ პახომოვის მიერ აღმოჩენილი სასანიდის დროის (პეხლევის) წარწერები და ამიტომ უპრალის უნივერსიტეტის (შვეცია) პროფესორს ნიუბერგს (რომელიც ამ საქმეს კარგად იცნობს) მიმართა თხოვნით — წაეკითხა აღნიშნული წარწერები. ნიუბერგმა წაიკითხა წარწერების ნაწილი, ამასთან პროფესორმა ყურადღება მიაქცია იმ აღწერას, რომელიც რამდენჯერმე მეორდება: „ეს და აქედან ზევით გააკეთა ბარზონისმა, აზერბეიჯანის ხარკთ ამკრეფმა“.

მიმდინარე წლის ზაფხულს არქეოლოგ პახომოვს განზრახვა აქვს გამოიკვლიოს კავკასიის მცირე კედლების ნაშთები, რომლებიც სპარსელების მიერ არის აგებული ჰუნთა შემოსევისაგან დასაცავად. ამ კედლების ნაშთები გვხვდება ყუბის და ზაქათალის მაზრებში. (ადს)

აზერბაიჯანის მემაღაროეთა მე-12 ყრილობა

რეზოლიუცია „აზნეფტ“-ის მოხსენების გამო

ბაქო, 24 ივნისი. დამთავრდა მემაღაროეთა მე-12 ყრილობა. მოსმენილ იქნა „აზნეფტი“-ს მოხსენება ნავთის მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ „აზნეფტ“-მა რამდენიმედ შეამცირა ნავთის ამოღების შესაძლებლობანი.

ყრილობა გადაჭრით ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ ნავთის ამოღების ხუთწლიანი გეგმაში პირობითად იყოს შეტანილი ახალი რაიონები. ყრილობა შესაძლოდ სცნობს ბურღვის სიჩქარის გადიდებას ერთი ორად, ხოლო ნავთის გადამუშავების საქმეში ყრილობა საკმაოდ არა სცნობს 19 კრეკინგის დადგმას ხუთი წლის განმავლობაში.

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია, რომ ინჟენერ-ტექნიკურ ძალთა რაოდენობა ხუთი წლის დამლევისათვის გადიდებულ იქნას ერთი ორად. ხუთწლიანი გეგმა სამუშაო ხელფასის ზრდას ითვალისწინებს 30,7 პროცენტით. ყრილობას არასაკმაოდ მიაჩნია ეს ზრდა. საბინაო მშენებლობის დარგში ყრილობა არასაკმაოდ სთვლის 414.000 კვ. მეტრის საცხოვრებელი ფართობის აგებას ხუთი წლის განმავლობაში. ეს ციფრი გადიდებულ უნდა იქნას 145.000 კვ.-მეტრით. ყრილობა ფიქრობს, რომ უშიშროების ტექნიკისათვის გადადებული თანხა—8 მილიონი მანეთი — საკმაო არ არის. (ადს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამის ცნობები

დარბაზობა იაპონია-საბჭოთა საზოგადოების ახალი თავმჯდომარის პატივსაცემად

ტოკიო, 23 ივნისი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ტროიანოვსკიმ იაპონია-საბჭოთა საზოგადოების ახალი თავმჯდომარის საიტოს პატივსაცემად დარბაზობა გამართა, დარბაზობას დაესწრნენ საზღვაო შტაბის უფროსი, გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ანიკიევი და საქმიანი წრეების წარმომადგენელნი. (ადს).

ჩან-კაი-ში პეკინში

პეკინი, 23 ივნისი. ამ დღეებში პეკინში ჩავა ჩან-კაი-ში. შოვენის სააგენტოს ცნობით, მისი ჩასვლის მიზანს შეადგენს დაითანხმოს ენ-სი-შანი — არ გადადგეს და ფინთან ერთად არ გაემგზავროს საზღვარგარედ. (ადს).

სესხი სარკინიგზო მშენებლობისათვის

პეკინი, 23 ივნისი. ნანკინის მთავრობამ ამერიკის ფინანსიურ ჯგუფთან დაიწყო მოლაპარაკება სესხის შესახებ სარკინიგზო მშენებლობისათვის. (ადს)

კაპიტალისტების ბრძოლა ხელფასის წინააღმდეგ

ლონდონი, 23 ივნისი. ბამბეულის მრეწველთა ასოციაციის კონფერენციამ მანჩესტერში დაადგინა — აცნობოს ფეიქართა პროფკავშირს, რომ ერთი თვის შემდეგ გაუქმდება ამჟამად მომქმედი სატარიფო შეთანხმება. ასოციაცია მოითხოვს ხელფასის შემცირებას 12 ნახ. პროცენტით. ხელფასის განზრახული შემცირება შეეხება 500.000 ფეიქარს. (ადს)

ჯებირის გამაგრება

ხალიანი, 24 ივნისი. 23 ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზე შეჰკრეს მიურსალის გარღვეული ჯებირი. ჯებირის გარღვევით დაიღუპა 6.000 ჰექტარი ბამბა და 10.000 ჰექტარი პურეულის კულტურა. გლეხებს შორის ნაწილდება 16 ტონა კუნჟუტის თესლი, იმ ადგილებში დასათესად, რომლებიც წყალისაგან თავისუფლდებიან. (ადს)

თავდაცვა-ავიაქიმის მესამე საკავშირო ლატარიის ტირაჟი

ლენინგრადი, 24 ივნისი. მოსკოვის კულტურის სახლში დღეს საღამოთი დაიწყო საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის მესამე საკავშირო ლატარიის ტირაჟი. მოგებათა ტირაჟში მონაწილეობას იღებს 4 მილიონი ბილეთი. გათამაშებული იქნება 16.000 მოგება. მოგებათა საერთო თანხა უდრის 300.000 მანეთს. დღეს გათამაშებული იქნა 5-დან 75 მანეთამდე. ტირაჟი გაგრძელდება 23 და 24 ივნისს. უკანასკნელ დღეს გათამაშებული იქნება დიდი მოგებები. (ადს).

ა. ლ. კ. კ. საკ. ყრილობა

მოსკოვი, 24 ივნისი. კომკავშირის მე-6 სრულიად საკ. ყრილობაზე კომკავშ. ცკას სოფლად მუშაობის განყოფილების გამგემ ამხ. ოვჩინიკოვმა წარმოსთქვა სიტყვა კომკავშირის მონაწილეობაზე სოფლის სოციალისტურ გარდაქმნაში და აღნიშნა, რომ ძალიან ხშირად კომკავშირის უჯრედები კოლმეურნეობის კუდში არიან მოქცეულნი. ზოგან ჩნდება თეორიები იმის შესახებ, ვითომ კომკავშირს შეუძლია გარდაქმნას ახალგაზრდა კულაკები. ასეთი თეორიები თავიანთი ფესვებით გადაბმულნი არიან „სოციალიზმში კულაკების მშვიდობიანი შეზრდის“ თეორიასთან. კომკავშირელებს უნდა ახსოვდეთ, რომ შემდგომი წინსვლელობა შეუძლებელია, თუ კლასობრივ ბრძოლაში არ იქნება, დაძლეული პასივობა, პოლიტიკისადმი გულგრილობა, პრაქტიკაში კლასობრივი ხაზის არა საკმაოდ გატარება, კულაკისადმი შემარიგებელი მოპყრობა და სხვ.

ამავე დროს კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მშენებლობამ არ უნდა ჩაჰკლას ინდივიდუალურ მეურნეობათა განვითარების ამოცანები.

დასასრულ მომხსენებელი შეჩერდა კომკავშირის სასოფლო კადრების მომზადებაზე და აგრონომიულ განათლებაზე, აგრეთვე სოფლისა და ქალაქის დაახლოვების ახალ ფორმებზე, როგორიც არის ლაშქრობა მოსავლისათვის, მუშათა ბრიგადება სასოფლო სამეურნეო იარაღის შესაკეთებლად და სხვ.

კონფერენციამ ერთხმად აღიარა, რომ საკავშირო კომკავშირის ცკას პოლიტიკური ხაზი სწორია, ხოლო მუშაობა დამაკმაყოფილებელი.

აგიტპროპგანყოფილებათა გამგეების და კომკავშირის გაზეთების რედაქტორების შემდგომმა თათბირმა, დელეგატების მონაწილეობით, მოისმინა მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკას აგიტპროპგანყოფილების გამგის ამხ. კრინიცკის მოხსენება: „პრაქტიკულად როგორ უნდა მოეწყოს ლაშქრობა რევოლუციონური თეორიის შესასწავლად“. (ადს)

დამცველთა კოლეგიის მაგიერ—კოლექტივი

დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციის საკითხმა ორ ბანაკად გაჰყო დამცველთა კოლეგიის წევრები. რეორგანიზაციის მოწინააღმდეგე ძველმა ვექილებმა შ. მესხიშვილის, პ. ქავთარაძის, ი. ბარათაშვილის და სხვების სახით აამოქმედეს მთელი არტილერია, სცადეს რეორგანიზაციის ჩაშლა, გამოდიოდნენ უბადრუკი „არგუმენტებით“ იმის დასამტკიცებლად, რომ დამცველთა კოლეგიის ეხლანდელი დრომოჭმული ფორმა უნაკლოა, რომ ამის უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებს ადამიანის გონება.

ამ საკითხის განხილვას დამცველთა კოლეგიის წევრთა შორის მოუნდა რამოდენიმე სხდომა.

კვირას, 23 ივნისს, საღამოს 6 საათზე შესდგა უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც სიტყვებით გამოვიდნენ იუსტიციის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელი ამხანაგები. პირველად გამოვიდა ამხ. ტალახაძე.

ამხ. ტალახაძის სიტყვა

— „მთავრობა, პარტია, მუშები, გლეხები, — ლაპარაკობს ორატორი, — გრძნობენ, რომ დამცველთა ეხლანდელი ორგანიზაცია დაძველებული და დრომოჭმულია.

ოქტომბრის რევოლუციამ ყველაფერი შესცვალა, მთელს საბჭოთა კავშირში ყველაფერი გარდაიქმნა, ყველაფერი დაადგა ახალი ცხოვრების გზას, ძირიან-ფესვიანად შეიცვალა მთელი სასამართლო სისტემა, მაგრამ რატომღაც უცვლელი დარჩა დამცველთა კოლეგია, რომელიც ძველ ფორმაში არის გაყინული.

ყველაფერი, რაც ბერდება, უნდა მოკვდეს, თუ მან არ შეიცვალა ფორმა, თუ ის არ შეეგუა ახალ ვითარებას. ასეთია ბუნების კანონი.

კოლექტიური ფორმა ჩვენმა ცხოვრებამ წარმოშვა, კოლექტივი გზაა სოციალიზმისაკენ. ეს წვრილი ბურჟუა — დღევანდელი ადვოკატი უნდა მოექცეს კოლექტივში, რომ ის საცვსებით გარდაიქმნეს, რომ ის სავსებით შეეგუოს თანამდებობას.

ჩვენ გვაქვს პროლეტარული სასამართლო. ჩვენი მოსამართლეები დაწინაურებული მუშები არიან.

მათ ჯერ სათანადო გამოცდილება არა აქვთ, ჩვენ საბჭ. სასამართლოში საჭიროა დამცველი, მაგრამ ისეთი, რომელიც დახმარებას გაუწევს პროლეტარულ სასამართლოს ჭეშმარიტების გამორკვევაში“.

ორატორი ეხება პროლეტარული სასამართლოს დამახასიათებელ მხარეებს, მის ბუნებას და ეხლანდელი დამცველის შეუსაბამობას ამ ბუნებასთან.

„ძველი დამცველი,—ლაპარაკობს ორატორი,—იყო ბრალდებულის თანაშემწე, ჩვენს საზოგადოებაში კი ის უნდა იყოს არა ბრალდებულის, არამედ სასამართლოს თანაშემწე. შეუძლია თუ არა ჰონორარზე დამოკიდებულ დამცველს არ უღალატოს ობიექტივობას სასამართლოში? ცხადია არ შეუძლია. მე არ ვიზიარებ იმ აზრს, რომელიც აქ ზოგიერთებმა გამოსთქვეს, რომ თქვენ შეგნებულად ატყუებთ სასამართლოს. არა თქვენი სინდისიც ისეთია, როგორც ჩვენი, მაგრამ თქვენ ძალაუნებურად ექცევით კლიენტის გავლენის ქვეშ. თქვენს სინიდისს აწვება კლიენტი თავისი ფულით და გაქვეითებს, სცემს თქვენს პრესტიჟს.

კოლექტივი კი იქნება თქვენი სინიდისის თავდაცვა, ის გაანთავისუფლებს დამცველებს კერძო კლიენტის გავლენისაგან“.

ამხ. ტალახაძეს მოჰყავს ციფრები იმის საილუსტრაციოთ, თუ ვის ემსახურებიან დღევანდელ პირობებში დამცველები.

1928 წლის განმავლობაში სასამართლოში გაირჩა 180.000 საქმე. აქედან—2—4 პროცენტამდე ნეპმანის, დანარჩენი კი მშრომელ ელემენტების. 100 ნეპმანის საქმეზე გამოვიდა 100 ვექილი, 100 მშრომელის საქმეზე კი სულ 15 დამცველი. დანარჩენი 84 პროცენტმა დაუცველად გაირჩა.

აქედან ნათლად სჩანს, რომ ნეპმანის სამსახურშია დღევანდელი დამცველი, მაშინ, როდესაც დახმარება და დაცვა მშრომელებს, ჩამორჩენილ მუშებს და გლეხებს ესაჭიროებათ.

კოლექტიურ მუშაობაზე გადასვლა გააუმჯობესებს დამცველის მატერიალურ დახმარებასაც, და რაც მთავარია, აამაღლებს მის პრესტიჟს საზოგადოების თვალში, უზრუნველჰყოფს მის ობიექტივობას სასამართლოში, ჩააბამს მას საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ამხ. ტალახაძის შემდეგ ილაპარაკა იუსტიციის სახალხო კომისარმა ამხ. მათიკაშვილმა.

ამხ. მათიკაშვილის სიტყვა

ზოგიერთი თქვენთაგანი — ლაპარაკობს ამხ. მათიკაშვილი, — ფიქრობს თითქოს ჩვენ მათ ძალით ვახვევდეთ თავზე რამეს. ჩვენ გვინდა თქვენი აზრი გავიგოთ, მოვისმინოთ თქვენი მოსაზრებები, არის თუ არა საჭირო რეორგანიზაცია და თუ საჭიროა რა სახით? ამას ჩვენ ერთგვარ თათბირის, აზრთა-გაცვლა-გამოცვლის ხასიათს ვაძლევთ.

დაცვა, როგორც ინსტიტუტი, შემოღებულია ძველ ბურჟუაზიულ წესწყობილების დროს. შეეფერება თუ არა ის დღევანდელ სახელმწიფოებრივ წესწყობილებას? რამდენადაც ვიცი, ბევრი თქვენთაგანის აზრია, რომ დამცველთა ორგანიზაციის დღევანდელი ფორმა საუკეთესოა. უნდა მოგახსენოთ, რომ მუშათა მასებს თქვენ არ უყვარხართ, მეტსაც ვიტყვი სძულხართ კიდეც, იყო დრო, როცა თქვენმა ინსტიტუტმა დიდი როლი ითამაშა, როცა რევოლიუციონერებს იცავდა, როცა საზოგადოებას იცავდა სახელმწიფოსაგან, ეხლა კი სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესი ერთი და იგივეა და ეს როლი თქვენ აღარ გეკუთვნისთ. თქვენ კი მაინც ებღაუჭებით ძველს და წარსულს.

8 წლის განმავლობაში ლაპარაკია თქვენი ორგანიზაციის შეცვლის შესახებ. დღემდე კოლექტივზე უკეთესი ფორმა ვერავინ ვერ წამოაყენა. დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რა სახეს მიიღებს, როგორ ჩამოყალიბდება ეს კოლექტივი. ეს არის ცდა. თუ ის მიზანშეწონილი აღმოჩნდა, ჩვენ კოლექტივს დავაკანონებთ.

სახელმწიფო დაცვის ინსტიტუტის შექმნა, რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ საამისო რესურსები არ მოგვეპოვება“.

ამხ. მათიკაშვილი ილაშქრებს დამცველთა კოლეგიის ეხლანდელი პრეზიდიუმის წევრების წინააღმდეგ და აღნიშნავს:

„მე რომ თქვენს ადგილას ვყოფილიყავი ასეთ პრეზიდიუმს ერთს წუთსაც არ გავაჩერებდი. თქვენმა პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე მიიღო დადგენილება კოლექტიურ მუშაობაზე გადასვლის შესახებ. ერთად-ერთი კაცი აღმოჩნდა, რომელმაც თავი შეიკავა კენჭის ყრის დროს. იქ პ. ქავთარაძეც მოხერხებულად იცავდა კოლექტივს. აქ კი პრეზიდიუმის იგივე წევრები, რომლებსაც პრეზიდიუმის სხდომაზე ხმა მისცეს კოლექტივს, გამოდიან და სასტიკად ილაშქრებენ მის წინააღმდეგ, ზოგიერთი მათგანი განზე სდგას, ზოგიც სდუმს“.

ამხ. მათიკაშვილს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი, რომელიც ახასიათებს ზოგიერთ დამცველის გახრწნას და ზნეობრივ დაცემას.

„მთელის პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, — ლაპარაკობს დასასრულ ორატორი, — რომ მთავრობა, ყველა ხელმძღვანელი ორგანო, ემხრობა კოლექტივის ნებაყოფლობით ჩამოყალიბებას. ვსცადოთ, და თუ ცხოველმყოფელი აღმოჩნდა კოლექტივი — დავაკანონებთ. აქ კი საკითხი ისმება მხოლოდ დისკუსიის წესით.

ამხ. სიჭინავას საბოლოო სიტყვა

დასასრულ საბოლოო სიტყვით გამოვიდა მომხსენებელი, დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. სიჭინავა, რომელმაც პასუხი გასცა კამათში გამოსულ ორატორებს და გააკრიტიკა კოლექტივის წინააღმდეგ გამოსულ ვექილების მოსაზრებები.

„კოლექტივის დაარსება, ლაპარაკობს ორატორი,—მოსპობს უსინდისო კონკურენციას, კლიენტებზე ნადირობას, ბრმა დამოკიდებულებას კლიენტისაგან, აამაღლებს დამცველის პრესტიჟს საზოგადოების თვალში, გააუმჯობესებს მის ზნეობრივ, მატერიალურ და გონებრივ მდგომარეობას.

— ჩვენ უკვე ჩამოვაყალიბეთ კოლექტივი. უკვე გვყავს 72 წევრი. ჩვენ ვიმუშავებთ და ვნახოთ, როგორ მეტოქეობას გაგვიწევენ კერძო კაბინეტები“.

კამათის დასასრულ მოხდა კენჭის ყრა. კოლექტიურ მუშაობაზე გადასვლას ხმა მისცა დიდმა უმრავლესობამ—84 კაცმა—9 კაცის წინააღმდეგ. თავი შეიკავა — 5.

კრებამ აირჩია 9 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა არა უგვიანეს ერთი თვისა წარმოადგინოს დამუშავებული პროექტი ერთი მთლიანი, კოლექტივის ჩამოსაყალიბებლად.

პროფ. ჰერჰარტ ვალდენი თბილისში

კვირას გერმანელმა პროფესორმა ჰერჰარტ ვალდენმა, რომელიც ამჟამად სტუმრადაა თბილისში, დაათვალიერა თბილისის სხვადასხვა მუზეუმები და ხელოვნების დაწესებულებები. სამხატვრო გალერეისა და რევოლუციის მუზეუმის დათვალიერების შემდეგ სტუმარი მიიწვიეს საქ. სამხატვრო აკადემიის მუშაობასთან გასაცნობათ. სამხატვრო აკადემიაში პროფ. ვალდენის ყურადღება მიიქცია კერამიკულმა განყოფილებამ და ახალგაზრდა მხატვრის ვარძანიშვილის მიერ შესრულებულმა ამხ სტალინის სურათმა.

გუშინ პროფესორმა ვალდენმა ინახულა საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ ფ. მახარაძე, რომელსაც ესაუბრა ნახევარი საათის განმავლობაში. შემდეგ პროფ. ვალდენი გაემგზავრა გამასწორებელ სახლში და ესაუბრა პატიმრებს.

შემდეგ სტუმარს აჩვენეს თბილისის მაუდის ფაბრიკის სამუშაოები და გერმანელთა ახალშენი. გერმანელთა ახალშენში პროფ. ვალდენი ესაუბრა ადგილობრივ მცხოვრებ გერმანელ გლეხებს.

უკან დაბრუნებისას სტუმარი მიიწვიეს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის საზაფხულო მუშათა კლუბში, პარტიის წმენდაზე დასასწრებათ. პროფ. ვალდენს, როგორც კომუნისტს დიდათ აინტერესებს პარტიის წმენდის საქმე და ხშირად ესწრება მსგავს კრებებს.

დღეს დილით პროფ. ვალდენი გაემგზავრება წინანდალში სახ. მამულების დასათვალიერებლად.

საღამოს პროფ. ვალდენი მოხსენებით გამოვა ხელოვნების სასახლეში. მისი მოხსენების თემაა: „თანამედროვე ევროპის მხატვრული კულტურა“.

როგორ ვებრძოლოთ მალარიას

(თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის სექციაში)

ტრამვაის მუშათა კლუბში გუშინ საღამოს შესდგა თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის სექციის სხდომა, რომელზედაც სამალარიო დისპანსერის გამგე ექიმმა კანდელაკმა გააკეთა მოხსენება სამალარიო დისპანსერის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თბილისში მალარიით დაავადება გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე სხვა სოციალური ავადმყოფობის შემთხვევები, მაგრამ მალარიის მკურნალობას უკანასკნელ ხანებამდე გაცილებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა და ამ საქმეზე ჯერ კიდევ უმნიშვნელო თანხები იხარჯება.

შემდეგ მომხსენებელი იხილავს თბილისში მალარიის გავრცელების მიზეზებს, ცალკე დაავადებულ რაიონებს და აღნიშნავს იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიღებულია მალარიის წინააღმდეგ.

საბურთალოს ჭაობების დასაშრობათ 1922 წელს გაწეულ იქნა დიდძალი შრომა და დაიხარჯა დიდი თანხა, მაგრამ შემდეგ ეს ნაშრომი მიტოვებული იქნა უპატრონოთ. ამჟამად იქ უკვე დაჭაობებულია საგრძნობი სივრცე, რომელიც ავრცელებს მალარიას. საკმაოდ დაჭაობებულია აგრეთვე ორთაჭალა, სადაც გავრცელებულია ციებცხელება „პაპატაჩი“. დაჭაობების მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღებია დიდუბე და მტკვრის მარცხენა ნაპირი, სადაც მოქმედობს გერმანელების ცნობილი არხი. ეს არხი სრულიად უგეგმოთ და უსწორმასწოროდ მოდის კოლონიის თავიდან ქალაქისაკენ, სადაც იგი იყოფა რამოდენიმე შტოთ და მიდის კამოს, პლეხანოვის და კლარა ცეტკინის ქუჩების ქვეშ. რამოდენიმე ხნის წინად ეს არხი ცნობილ იქნა მალარიის ბუდეთ, რის გამოც იგი გააუქმეს, მაგრამ კერძო პირების (ბაღების მოიჯარადრეების) მოხერხებით არხი ისევ აღდგენილ იქნა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სამალარიო დისპანსერის მუშაობა ჯერ-ჯერობით ფართო ხასიათს არ ატარებს.

მოხსენების გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღო 7 კაცმა. ორატორები უმთავრესად ყურადღებას აქცევდნენ გერმანელების არხს, რომელსაც მცირე სარგებელი მოაქვს მხოლოდ რამოდენიმე მებაღისათვის და მალარიით კი ნახევარ ქალაქს, განსაკუთრებით მის ახალ საწარმოო და დიდ მუშათა რაიონს ავადებს. აღნიშნავენ, რომ არხი ქალაქში კამოს, პლეხანოვის და კლარა ცეტხინის ქუჩების, ქვეშ კალაპოტიდან ჟონავს, რითაც ახლო-მახლო მიწებს უკარგავს სიმკვრივეს და აქცევს ამ მიწებზე აგებულ სახლებს. სექციის წევრები საჭიროდ სცნობენ არხის დაუყოვნებლივ გაუქმებას. გარდა ამისა, ორატორებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ მაუდის ფაბრიკის და ანძების ქარხნის წყალსადენიდან წამოსულ წყალს მიეცეს გარკვეული გზა, რომ მან არ დააჭაობინოს მიდამო. რკინის გზის სახლებში, ნაცვლად არსებულისა, გაყვანილ უნდა იქნეს ავჭალის წყალსადენის წყალი.

დასასრულ, მიღებულ იქნა რეზოლიუცია და პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც მიზნათ ისახავენ დაავადებული რაიონების გაჯანსაღებას და მალარიასთან ბრძოლის გაძლიერებას.

თბილისის საბჭოს სექციებში

სავაჭრო-კოოპერატიული სექცია

გუშინ, საღამოს ამხ. ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბში სავაჭრო-კოოპერატიულ სექციის სხდომაზე ვაჭრობის მომწესრიგებელ განყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა იმავე განყოფილების გამგემ ამხ. გრ. ლასკარმა.

მომხსენებელი შეეხო განყოფილების მიერ ჩატარებულ მუშაობას და იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიღებული იქნა თბილისისა და მისი ბაზრების მოსაწესრიგებლად.

განყოფილებამ აღმოაჩინა მთელი რიგი დეფექტები ბაზარზე.

მაგალითად, „მიასოპროდუქტს“ სამომხმარებლო კოოპერაციისათვის მე-2 კვარტალში უნდა ჩაებარებია 103.950 ფუთი ძროხის ხორცი, ჩააბარა 69.567 ფ., ე. ი. გეგმა შესრულდა 65,9 პროც., ცხვრის ხორცის მიწოდების გეგმა შესრულდა 15,9 პრ. ღორის ხორცის — 32,8 პრ.

ხორცის დამზადების გეგმა შედარებით დამაკმაყოფილებლად შესრულდა „მწყემსმა“.

რძის პროდუქტების მიწოდების გეგმა შესრულებული იქნა გადამეტებით, მიუხედავათ ამისა, რძის პროდუქტების სიმცირე საგრძნობი იყო, რაც აიხსნება იმით, რომ რძის პროდუქტების მოთხოვნილების დამაკმაყოფილების გეგმა არ იყო შედგენილი რეალურად.

გარდა ამისა, ვაჭრობის მომწესრიგებელმა განყოფილებამ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებები ფართლეულის და პურის ბაზრის მოსაწესრიგებლად. ფართლეულით სპეკულიაციისათვის შედგენილი იქნა 40 აქტი და დამნაშავენი გადაეცა სასამართლოს. ასეთივე ზომები იქნა მიღებული პურით ვაჭრობის წესების დამრღვეველთა წინააღმდეგ. განყოფილებამ აგრეთვე გამოიკვლია სხვადასხვა სავაჭრო და პროდუქტების დამამზადებელ ორგანიზაციების მუშაობა და ყარაიის, საგარეჯოს, სართიჭალის, გომბორის და მარტყოფის ბაზრები; შემჩნეული დეფექტები გამოსწორებული იქნა.

კამათის შემდეგ მიღებული იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

კრედიტები სოფლის მეურნეობას

უმაღლესმა ორგანოებმა დაამტკიცეს ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის 1928 — 29 წლის მე-4 კვარტალის ხარჯთ-აღრიცხვა 5.712.000 მანეთის რაოდენობით.

მეოთხე კვარტალში სასოფლო-მეურნეობის საჭიროებისათვის კრედიტის სახით გაიცემა 2.643.000 მანეთი. აქედან გრძელვადიან სესხის სახით დასარიგებლად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს მიეცა 703.000 მანეთი, მოკლევადიან სესხის გასაცემად — 429.000 მანეთი, სულ 1.132.000 მანეთი.

აზერბეიჯანს გრძელვადიან სესხის დასარიგებლად მიეცა 792.000 მ., მოკლევად. — 213.000, სულ 1.005.000 მ., სომხეთს გრძელვადიან სესხის გასაცემად მიეცა 431.000 მ. და მოკლევადიან სესხის დასარიგებლად — 75.000 მ., სულ 506.000 მ.

ამ სესხებიდან 40 პროცენტი გაცემული იქნება ინდივიდუალურ მეურნეობებზე და მიეცემათ ღარიბეს გლეხებს, ხოლო დანარჩენი თანხა — 60 პროცენტი მოხმარდება არსებულ სასოფლო სამეურნეო კოლექტივების მუშაობის გაძლიერების საქმეს და ახალი კოლექტივების მოწყობას.

კოლექტივებს შორის სესხის განაწილება მოხდება კოლმეურნეობათა ცენტრებთან შეთანხმებით.

ყარაიის მელიორაციისათვის ა.-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დამატებით გადასდო 10.000 მანეთი.

პ ა რ ტ ი ა შ ი

„გამწმენდმა კომისიებმა კომუნისტების პირადი შემოწმება არ უნდა გადააქციონ პოლიტიკური მომზადების გამოცდად. განსაკუთრებით დაუშვებელია შესამოწმებელთათვის დახლართული, თავსამტვრევი შეკითხვების მიცემა“ (საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის ინსტრუქციიდან)

შემოწმება პოლიტგამოცდად არ უნდა გადაიქცეს

„შემოწმებამ ხელი უნდა შეუწყოს კომუნისტის პოლიტიკური დონის ამაღლებას, მაგრამ კომისიებმა შემოწმება არ უნდა გადააქციონ პოლიტგამოცდათ. განსაკუთრებით დაუშვებელია შესამოწმებელ პირისათვის გაურკვეველი, მძიმე შეკითხვების მიცემა“.—ლაპარაკობს ინსტრუქცია პარტიის რიგების შემოწმებისა და წმენდის შესახებ. ეს ადვილი გასაგებიცაა, თუ რატომ. გენერალური წმენდის ძირითად ამოცანას შეადგენს კომუნისტური პარტიის გაწმენდა არაკომუნისტურ, მიტმასნებულ, ბიუროკრატიულ, კლასობრივად უცხო, გახრწნილ და გადაგვარებულ ელემენტებისაგან. ჩვენს პარტიაში მრავლად მოიპოვებიან ე. წ. „პოლიტიკოსები“, რომლებიც მარჯვნივ და მარცხნივ „აფრქვევენ“ მარქსისა და ლენინის ციტატებს, დიდ „თეორეტიკოსებად“ მოაქვთ თავი, მაგრამ როცა მათ წინაშე დადგება გადასაჭრელად რაიმე პრაქტიკული საკითხი ისინი ხშირად არამც თუ არ აყენებენ ამ თეორიებს, არამედ ამახინჯებენ კიდევაც პარტიის ხაზს. ასეთებისაგან პარტია უნდა განთავისუფლდეს მიუხედავათ მათი „პოლიტიკური მომზადებისა“.

სამაგიეროდ პარტია მეტად აფასებს ისეთ კომუნისტებს, რომლებიც შეიძლება „ნაკლებ თეორეტიკოსებად“ სჩანან, მაგრამ თავისი პრაქტიკული მუშაობით ხელს უწყობენ პარტიის წინაშე დასმულ ამოცანების გადაჭრას. ამიტომ როგორც ზემოდ აღვნიშნე, შემმოწმებელმა კომისიებმა ნაკლები მნიშვნელობა უნდა მისცენ პოლიტგამოცდას და თავისი ყურადღების ცენტრი გადაიტანონ იმის გამორკვევაზე, თუ რამდენად გამოსადეგი და მტკიცეა ესა თუ ის ამხანაგი პარტიისათვის. რასაკვირველია, საკითხის ასე დასმა სრულებითაც არ ნიშნავს კომუნისტების წაქეზებას იქითკენ, რომ მან არ ისწავლოს. თუ კი შემმოწმებელ კომისიას მოეპოვება მასალები, რომლიდანაც სჩანს, რომ პარტიის წევრი შეგნებულად გაურბის თავისი პოლიტიკური მომზადების ამაღლებას, ამ შემთხვევაში მან შესაფერი სასჯელი უნდა დაადოს ასეთ კომუნისტს. როგორ შეიძლება იმის გამორკვევა, თუ რამდენად დაინტერესებულია ესა, თუ ის კომუნისტი პოლიტიკური ცოდნის მიღებაში, პოლიტიკური ცხოვრებით? ამის გამორკვევა ადვილია უჯრედის დახასიათებიდან (ესწრებოდა, თუ არა ამხანაგი პოლიტსკოლების მეცადინეობას და სხვ).

მაშასადამე შემმოწმებ. კომისიებმა უნდა მიაქციონ ყურადღება არა ამხანაგის პოლიტცოდნას, არამედ იმის გამორკვევას, თუ რამდენად იყო დაინტერესებული ეს ამხანაგი თავისი პოლიტიკური დონის ამაღლებით. თუ ასე დავსვამთ საკითხს, მაშინ უადგილოთ უნდა ჩაითვალოს ის მეთოდი, რომელსაც ზოგიერთი შემმოწმებელი კომისიები მიმართავენ, სახელდობრ, როცა ისინი შემოწმებას „პოლიტგამოცდის“ სახეს აძლევენ. ასეთ შემთხვევას კი ბევრგან აქვს ადგილი. მაგალითისათვის მოვიყვან ამიერ-კავკასიის და საქართველოს სას.-სამეურნ. ბანკის უჯრედის წმენდას.

კომისიამ შემოწმება დაიწყო უჯრედის მდივნიდან—ამხ. კარახანიანიდან. კარახანიანი ძალზე აგრძელებს თავისი, ბიოგრაფიის გადმოცემას. შემმოწმებელი კომისიის წევრებიც მას არ ეწინააღმდეგებიან, რის გამოც შემოწმებამ „მოგონების საღამოს“ ხასიათი მიიღო.

ბევრი შესამოწმებელი ამხანაგი ჩერდებოდა ისეთ დეტალებზე, რომლებსაც საქმისათვის არსებითად მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაგალითად ეხებოდნენ იმას, თუ რამდენჯერ დააცემია რევოლვერის „მაგრამ რევოლვერი არ გავარდა“ და სხვ.

შეკითხვები, რომლებიც შესამოწმებელ პირებს ეძლეოდა, პოლიტგამოცდის ხასიათს უფრო ატარებდა.

—„როგორია საბჭოთა მთავრობის ეროვნული პოლიტიკა? რითი განსხვავდება ჩვენი აგრარული პოლიტიკა სხვა პარტიების აგრარულ პოლიტიკისაგან? რა მოვლენებს აქვს ადგილი სოფლად? (!) აი შეკითხვები, რომლებიც ეძლეოდა ბევრ შესამოწმებელ ამხანაგს. იყო შემთხვევა, როცა ამხანაგი სწორად ვერ უპასუხებდა ამ შეკითხვებზე, რაც დამსწრეებში ღიმილს (და ზოგჯერ სიცილსაც) იწვევდა. ეს კიდევ უფრო აბნევდა ამხანაგს.

ასეთ შეკითხვებს შედეგად მოჰყვა ისიც, რომ ზოგიერთმა „გამოსაცდელმა“ პირმა „ლექციების კითხვა“ დაიწყო და ერთმა მათგანმა კი (ამხ. შენგელიამ) ამ გამოცდის წინააღმდეგ პროტესტიც განაცხადა, მაგრამ შეკითხვის მიმცემთა დაჟინებით მოთხოვნის შემდეგ, გასცა პასუხი და თან დაუმატა: „მართალია, აქ პოლიტგამოცდა კი არა, წმენდა არის, მაგრამ მაინც გიპასუხებთ ამ შეკითხვებზე იმიტომ, რომ არ იფიქროთ, თითქოს პოლიტიკურ საკითხებში ვერ ვერკვევი“-ო.

ეს პასუხი მოწმობს იმას, რომ ზოგიერთ შესამოწმებელ პირებს უკეთ შეუგნია ინსტრუქცია პარტიის რიგების შემოწმების და წმენდის შესახებ, ვინემ ზოგიერთ შემმოწმებელ კომისიებს.

შემმოწმებელმა კომისიებმა უნდა გამოასწორონ აღნიშნული ნაკლი.

ან.

წ მ ე ნ დ ა დ ა ი წ ყ ო

ჩოხატაური, 24 ივნისი. 22 ივნისს დაიწყო ჩოხატაურის ორგანიზაციის წმენდა. გამწმენდ კომისიას თავმჯდომარეობს ამხ. სიმონ ჯუღელი. პირველად შემოწმდა 4 ამხანაგი, რომლებიც დასახელებულნი იყვნენ გამწმენდ კომისიაში სამუშაოდ. 23 ივნისს შემოწმებულ იქნა სოფ. ზემოფარცხმის კომუჯრედის 29 წევრი.

წმენდასთან დაკავშირებით თემში ამოძრავდნენ ანტისაბჭოთა ელემენტები, რომლებიც ავრცელებენ ჭორებს პარტიის ავტორიტეტის დასაცემად.

წმენდის დროს ადგილი ჰქონდა ზოგიერთების პირადი ანგარიშით გამოსვლას შესამოწმებელ ამხანაგების მიმართ.

პ. ცინცაძე.

ვის უნდა შეეხოს პარტიის წმენდა

თურქია კომუნისტის სახელის გამტეხია

(სენაკი)

პარტიამ გადაჭრით უნდა გასწმინდოს თავისი რიგები ისეთი პირებისაგან, რომლებიც „ბოროტად იყენებენ თავიანთ უფლებებს“.

ასეთ, „კომუნისტთა“ კატეგორიას ეკუთვნის, სენაკის ორგანიზაციის წევრი სანდრო თურქია. თურქია 1921 წლიდან სცდილობს პარტიის წევრობა პირადი სარგებლობისათვის გამოიყენოს. ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს:

1924—25 წ. წ. თურქია საბჭოთა მუშაკების კავშირის მაზრგანყოფილების მდივნად იყო, ამ სამუშაოდან ის მოხსნეს ბიუროკრატობისა და მასებისადმი უხეშად მოპყრობისათვის. თურქიას კავშირიდან მოხსნის დროს 350 მანეთამდე ვალი დაედვა. რომელიც მას დღემდე არ გადაუხდია.

თურქია საბინაო კოოპერაციის წევრი გახდა. მან სავალდებულოდ გაუხადა კოოპერაციას პირველ რიგში მისთვის აეშენებია სახლი, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ კოოპერაციაში უფრო მცირე ხელფასიანი წევრებიც ირიცხებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ თურქიამ არ ინება კოოპერაციის სხვა წევრებთან მეზობლად დასახლება და სულ სხვა უბანში ცალკე გამოყოფილ ეზოში 6 ოთახიანი სახლი ააგებინა.

თურქია საბინაო კოოპერაციის წევრი გახბა „მეჯოგე“-შიაც მუშაობდა. მან აქაც არ დაივიწყებია პირადი ოჯახური საჭიროებანი. „მეჯოგე“-ში მუშაობის დროს მან სპეციალურად ჩამოაყვანია ოჯახისათვის 350 მან. ღირებული ძროხა, „მეჯოგე“-ს სალაროში კი მას 50 მანეთის მეტი არ შეუტანია. ამავე დროს ამ ძროხის რძით თურქია სპეკულიაციას ეწევა. ის ყოველდღიურად აწვდიდა საავადმყოფოს 10—15 ბოთლ უვარგის წყალშერეულ რძეს, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ავადმყოფებს შორის.

ერთეული შემთხვევა არაა, როცა თურქია კერძო დუქანში შედის, 3—5 მან. საქონელს წაიღებს და ფულზე კი სიტყვასაც არ ამბობს; თუ „გაახსენდა“ გადიხდის ნისიას, თუ არა და ვინ გაბედავს ასეთ „პატარა“ საქმეზე აწყენინოს „დიდ კომუნისტს“.

ამჟამად თურქია დამზღ. სალაროში მუშაობს. იქაც ის თავისი უხეში და ბიუროკრატიული საქციელით უკმაყოფილებას იწვევს დაზღვეულებს შორის. თუ ინება გასცემს ფულს, მხოლოდ თუ კი ხასიათზე არაა ყვირილით და გინებით გამოაგდებს 5—10 მანეთისათვის ათეულ ვერსიდან ჩამოსულ დაზღვეულს; მის თანამშრომლებსაც ის გინებითა და ყვირილით ასწავლის ჭკუას. თვითონ სამუშაოზე ხშირად არ ცხადდება, დაზღვეულები კი მას უცდიან. იყო შემთხვევა, როცა თურქია 2—3 დღე სულ არ გამოცხადებულა სამუშაოდ, რადგან თავის სოფელში პირად საქმეებს აჭახრაკებდა.

თურქია თავისი ყოველდღიური საქმიანობით სახელს უტეხს, ავტორიტეტს უკარგავს პარტიას. დასკვნა ერთია: პარტია უნდა გაიწმინდოს თურქიებისაგან.

კავალერისტი.

ბოროტმოქმედი ყოფ. „თბილისის ვაჭრობიდან“

წარმოება-დაწესებულებაში მომუშავე ზოგიერთი კომუნისტი ბოროტად იყენებს თანამდებობრივ მდგომარეობას. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ყოფილ საზ-ბა „თბილისის ვაჭრობი“-ს ერთ-ერთი საწყობის გამგის მოქმედება. ამ საწყობის გამგე გიორგი კანდელაკი, პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, შეუდგა სხვადასხვა საქონლის გატანას. ერთ მეგობარ ქალს კანდელაკმა მისცა უბრალო ბარათი საწყობის დარაჯის სახელზე, რომელმაც ამ ბარათით გასცა 160 მანეთის ხე-ტყის მასალა, ფული კანდელაკმა აიღო. ეს ამბავი მოხდა 1928 წ. იანვრის თვეში. რამოდენიმე დღის შემდეგ კანდელაკს შეაქვს გატანილი ხე-ტყის ანგარიშში ჯერ 60 მან.. და შემდეგ 20 მან. სულ 80 მან. ასეთი ბარათების საფუძველზე მასალა ბევრჯერ გაცემულა. კანდელაკს, როგორც ეტყობა დაენანა 80 მან. „დაკარგვა“ და მან მიმართა სავაჭრო აგენტ ამხ. ცხოვრებოვს: „ეს 80 მან. ხე-ტყის ანგარიშიდან სარკის ანგარიშში გადარიცხეო“. სარკე მან თავის ოჯახის საჭიროებისათვის გაიტანა და ამით ხე-ტყის ანგარიშს სრულიად წაუშალა კვალი.

კანდელაკი ამის შემდეგ დაადგა ბოროტმოქმედების გზას. ის გზავნის თავის ცოლს საწყობში ჩვეულებრივი ბარათით და მიაქვს სახლში სამი ურემი ბოძი შეშათ. თითქოს საწყობის საჭიროებისათვის კანდელაკი იწერს სახურავ თუნუქს და მიაქვს თავისთვის ღუმელის გასაკეთებლად. შემდეგ იწერს 2 ბოჭკა ცემენტს, ერთს საწყობს ახმარს ხოლო მეორე ბოჭკას ჰყიდის დურგალზე და მიღებულ ფულს ჯიბეში იდებს. აგრეთვე იდებს ჯიბეში საწყობიდან თავის ნათესავის შეღავათიან ფასებში გაცემულ შაბიამნის ფულს.

ყველა ეს ბოროტმოქმედება დაამტკიცა კომისიამ, რომელიც გამოყოფილი იყო საქართველოს კომუნალურ ბანკის და ყოფ. „თბილისის ვაჭრობის“ უჯრედის მიერ. კანდელაკი კომისიის დასკვნით უნდა მოეხსნათ „თბილისის ვაჭრობიდან“, მაგრამ დღეს კანდელაკს, თითქოს ბოროტმოქმედების წახალისებისათვის, ხელფასიც კი მოუმატეს, და ის არხეინად განაგრძობს სამსახურს.

საჭიროა კანდელაკის მფარველი გამომჟღავნდეს და მოეთხოვოს მას სათანადო პასუხი, ხოლო თვით კანდელაკის მიმართ გამწმენდმა კომისიამ, უნდა მიიღოს საჭირო ზომები და გაასუფთაოს პარტია ასეთი წვრილი ქურდისაგან.

კლდისუბნელი.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის ფორმები

(პრაქტიკული წინადადებანი)

მოკლე დროის განმავლობაში სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ყველა საწარმოს მუშები. უმაგალითო ენტუზიაზმს იჩენს მუშათა კლასი სოციალისტურ მეურნეობის მშენებლობაში. სამეურნეო დაბრკოლებათა გადალახვისათვის და პარტიის მიერ დამტკიცებულ 5 წლიან გეგმის შესრულებისათვის ხდება მუშათა მასების შემოქმედებითი ძალების მობილიზაცია. მხოლოდ მეორე თვეა, რაც შეჯიბრება ფართოდ გაიშალა, მაგრამ პირველი ცნობები იმის დამამტკიცებელია, რომ მასების თვითმოქმედება და საწარმოო ინიციატივა პირდაპირ განსაცვიფრებელ შედეგებს მოგვცემს: არა თუ მთლიანად შევძლებთ 5 წლიან გეგმის შესრულებას, არამედ მას საგრძნობლად გადავაჭარბებთ. პარტიის ლოზუნგი მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნების დაწევის და გასწრების შესახებ გადაიქცა მუშების ნამდვილ პრაქტიკულ მოქმედების პროგრამად. მასების ეს აღფრთოვანება საუკეთესო პასუხია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხებში მერყეობის წინააღმდეგ. არ დარჩენილა არც ერთი საწარმოო, რომ არ ჩაბმულიყოს სოციალისტურ შეჯიბრებაში: ქარხნებში, მაღაროებში, რკინის გზაზე, მშენებლობაში, სასოფლო მეურნეობაში, კოოპერაციაში, სახელმწიფო დაწესებულებები, თითქმის ყველგან, მუშაობის ხასიათის განურჩევლად, მასები მხურვალე მონაწილეობას იღებენ შეჯიბრებაში.

ეს ფართო მოძრაობა ისეთ ფორმებში უნდა ჩამოყალიბდეს, რომ მან მოგვცეს მაქსიმალური ეფექტი. არ არის საკმარისი მარტო ენტუზიაზმი, საჭიროა მისი პრაქტიკულად გამოყენება. სხვადასხვა საწარმოთა მუშები ერთმანეთს იწვევენ შეჯიბრებაში მხოლოდ იმიტომ, რომ ამით მიიღონ განსაზღვრული საწარმოო შედეგები, ხელი შეუწყონ ნაწარმოების თვითღირებულების შემცირებას და 5 წლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებას. ყველაფერი ეს მოითხოვს განსაზღვრულ მიდგომას, შეჯიბრების საქმიან ფარგლებში ჩამოყალიბებას და არა მარტო საზეიმო გამოძახილს და ხელშეკრულებათა დადებას.

შეჯიბრების ორი თვის პრაქტიკა გვაძლევს საშუალებას ამ დარგში დაგროვილი გამოცდილება და დეფექტები გამოვაშკარავოთ. ეს ხელს შეუწყობს შეჯიბრების შემდეგში განვითარებას და უფრო უკეთესად დაყენებას.

ვის შორის უნდა ხდებოდეს შეჯიბრება?

შეჯიბრების პრაქტიკული შედეგები ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვის შორის ხდება ის.

უპირველესად ყოვლისა შეჯიბრება უნდა იქნეს ჩამოყალიბებული შიგნით საწარმოში. იქ, სადაც ცვლებითი მუშაობა სწარმოებს, უნდა მოეწყოს **შეჯიბრება ცვლებს შორის.** ყველაზე უფრო შედეგიანი და ადვილად ჩამოსაყალიბებელი არის ცვლებს შორის შეჯიბრება, ვინაიდან მათ სრულიად ერთნაირ პირობებში უხდებათ მუშაობა და ძლიერ ადვილია იმის გამორკვევა, თუ რომელი ცვლა სჯობნის.

შეჯიბრება შეიძლება მოხდეს მთლიანად ცვლებს შორის (საერთოდ) და ამას გარდა კიდევ სხვადასხვა ცვლების ერთი და იგივე საამქროებსა და სამუშაოთა ჯგუფებს შორის. ასეთი ორმაგი შეჯიბრება უკეთესია, მეტ ინტერესს გამოიწვევს და შედეგსაც მეტს მოიტანს.

ცვლების გარდა შეიძლება შეჯიბრება საამქროებს შორისაც. ეს უფრო ძნელია, ვინაიდან სხვადასხვა საამქროთა მუშაობა უმეტეს ნაწილად ერთნაირი არ არის და ადვილი არ არის იმის განსაზღვრა, თუ რაში უნდა დაეჯიბროს ერთი საამქრო მეორეს; ძნელია აგრეთვე შედეგების შემოწმებაც და იმის გამორკვევა, თუ რომელმა საამქრომ აჯობა. მაგრამ მაინც შეიძლება სხვადასხვა საამქროებს შორის შეჯიბრების მოწყობა. ამისათვის საჭიროა დაკვირვებით იქნეს გამონახული შესაჯიბრებელი მაჩვენებლები. როგორც წესი, შეჯიბრება უნდა მოხდეს იმ საამქროებს შორის, რომელნიც ერთმანეთთან წარმოების პროცესით არიან დაკავშირებული. შესაძლებელია, რომ ერთი საწარმოს საამქრო მეორე საწარმოს ამავე ხასიათის საამქროს ცალკე შეეჯიბროს.

იქ, სადაც არ არსებობს საამქროები და ამის მაგივრად სამუშაოს განაწილება სხვა რაიმე ერთეულებადაა ჩამოყალიბებული, როგორიცაა, მაგალითად, განყოფილებები, ბრიგადები, სექციები, მაღაროები და სხ. შეჯიბრება იმავე წესით შეიძლება მოხდეს, როგორც საამქროებში.

ცვლებისა და საამქროების გარდა, შეჯიბრება უნდა ტარდებოდეს **ინდივიდუალურად ცალკე მუშებს შორის.** შეიძლება ასეთმა შეჯიბრებამ მიიღოს მასიური ხასიათი, შეიძლება ის განისაზღვროს მცირე რიცხვითაც, როცა ცალკე მუშები ერთი მეორეს იწვევენ პირადათ. მასიური ხასიათის ინდივიდუალური შეჯიბრება ტარდება შიგნით საწარმოში რაიმე ერთნაირ სამუშაოზე (ერთი და იგივე დაზგა და სხვა) ყველა მომუშავესა და არა მარტო განსაზღვრულ პირებს შორის.

შეიძლება შიგნით საწარმოში ჩატარდეს შეჯიბრება ახალგაზრდათა და მოზრდილ მუშებს შორის.

საწარმოთა შორის შეჯიბრება უნდა ტარდებოდეს, როგორც წესი, ერთნაირი ხასიათის ქარხნებს შორის, მაგალითად, ტყავის ქარხანა უნდა შეეჯიბროს ტყავის ქარხანას, თამბაქოსი თამბაქოს ქარხანას, ჰიდრო-სადგურის მშენებლობა — ასეთივე მშენებლობას და სხ. ერთგვარ საწარმოთა შეჯიბრება გაცილებით მეტ დადებით შედეგებს მოგვცემს, ვინაიდან შეჯიბრების მაჩვენებლების ჩამოყალიბება ძალიან ადვილია. ადვილია აგრეთვე იმის შემოწმებაც, თუ რომელი საწარმო სჯობნის. შეჯიბრების პროცესში ამ საწარმოთა შორის მოხდება გამოცდილების და მიღწევების გაცვლა-გამოცვლა, რაც ხელს შეუწყობს წარმოების გაუმჯობესებას და თვითღირებულების შემცირებას.

შეცდომად უნდა ჩაითვალოს, როცა შეჯიბრება ხდება სხვადასხვა ხასიათის საწარმო დაწესებულებათა შორის, რომელნიც ერთმანეთთან დაკავშირებული არ არიან. მაგალითად, ბორჯომის საკასრე და მარელისის სკამების ქარხნები ერთმანეთს შეეჯიბრნენ, მაშინ, როცა მათ შორის არაფერი საერთო არ არის. ამის მაგივრად უკეთესი იქნებოდა, რომ ბორჯომის საკასრე ქარხანას გამოეწვია სხვა საკასრე ქარხანა (მაგალითად, ნალჩიკში) და მარელისის ვენის სკამების ქარხანას პენზის ან სხვა სკამების ქარხანა.

შეიძლება შეჯიბრება სხვადასხვა ხასიათის საწარმოთა შორისაც მოხდეს, თუ ისინი დაკავშირებული არიან წარმოების მხრივ (ნახევრად ფაბრიკატის დამზადება ან სხვა რაიმე დამოკიდებულება), მაგრამ ასეთ საწარმოთა შორის შეჯიბრება უნდა ჩამოყალიბდეს განსაზღვრული საკითხების ირგვლივ.

არის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ხასიათის საწარმოებს შორის შეჯიბრებას არ აწყობენ მხოლოდ იმიტომ, რომ ტეხნიკურად და ორგანიზაციულად ერთი მეორეს სჯობია. ამ მოსაზრებით შეჯიბრების მოწყობაზე უარის თქმა არ არის სწორი, ვინაიდან შეჯიბრების მიზანი არის კარგ საწარმოების მაგალითზე, არსებულ მიღწევების და გამოცდილების გადმოღებით, გამოვასწოროთ ცუდათ დაყენებულ საწარმოს მუშაობა. შეჯიბრებამ უნდა მოგვცეს ისეთი შედეგი, რომ ცუდი მუშაობა კარგ მუშაობის დანახვით გამოკეთდეს.

აქვს ადგილი ისეთ შემთხვევებსაც, რომ ესა თუ ის საწარმო უარს ამბობს შეჯიბრებაზე იმიტომ, რომ მის მუშაობას აფერხებს სხვადასხვა მიზეზები (ნედლი და დამხმარე მასალის დროზე მოუმარაგებლობა, ცუდი მასალა, დაზგების სიმცირე და სხ.). ასეთი შეფერხების დროს შეჯიბრებას სდებენ იმ დრომდე, როცა ხელის შემშლელი მიზეზები მოისპობა. ესეც არ არის სწორი და სოციალისტური შეჯიბრების მიზანს ეწინააღმდეგება. სოციალისტური შეჯიბრება ხდება იმიტომ, რომ ჩვენი მუშაობა გაუმჯობესდეს და არსებულ პირობებში მაქსიმალური შედეგები მივიღოთ. თუ ჩვენი საწარმოები ისე იქნა დაყენებული, რომ არავითარი დეფექტები არ გვექნა და ყველა საწარმო ტეხნიკურად კარგად იქნა მოწყობილი (საუკეთესო დაზგები, მასალის დროზე მიწოდება და სხ.),—მაშინ სოციალისტური შეჯიბრებაც არ დაგვჭირდება.

შეჯიბრება უნდა ხდებოდეს ყველა დარგში — მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაში, კოოპერაციაში, დაწესებულებებში, სოფლის მეურნეობაში და სხ. შეჯიბრება უნდა იქნეს შიგნით საწარმოში ინდივიდუალურ ცალკე მუშებს შორის, საამქროებს და ცვლებს შორის და შემდეგ სხვადასხვა საწარმოებს შორის. **მარტო საწარმოთა შორის შეჯიბრება დიდ შედეგებს არ მოგვცემს, თუ ის არ იქნა დაკავშირებული შიგნით საწარმოში ცალკე მუშებსა, საამქროებსა და ცვლებს შორის შეჯიბრებასთან.**

რა საკითხებზე უნდა ხდებოდეს შეჯიბრება?

სოციალისტური შეჯიბრება, როგორც საწარმოებს შორის, ისე შიგნით საწარმოში საამქროებსა და ცალკე მუშებს შორის უნდა ისახავდეს კონკრეტულ ამოცანებს. ის არ უნდა ისაზღვრებოდეს მხოლოდ შრომის დისციპლინის და შრომის ნაყოფიერების საკითხებით, არამედ უნდა ეხებოდეს ჩვენს მშენებლობის ყველა მხარეს.

შეჯიბრების საგნად უმთავრესად უნდა იქნეს ნაწარმოების თვითღირებულების შემცირება, საწარმოო გეგმების გადაჭარბებულად შესრულება, ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესება, მანკიანი საქონლის შემცირება, ზედნადი ხარჯების შემცირება, შრომის ნაყოფიერების (გამომუშავება ერთ კაცდღეზე) აწევა, უმიზეზო გაცდენების და დაგვიანებათა შემცირება, სამუშაო დღის დატვირთვა, შეჩერებათა მოსპობა და სხვა.

ცხადია, ამით არ შეიძლება ამოიწუროს შეჯიბრების შინაარსი. თვითეულ საწარმო-დაწესებულებაში თავისი სპეციფიური პირობები არის და ამის დამიხედვით უნდა ხდებოდეს შესაჯიბრებელი საკითხების შერჩევა, მაგალითად, ნაწარმოების თვითღირებულების შემცირების მაგივრად მშენებლობაში უნდა დაისახოს მშენებლობის ღირებულების გაიაფება (მიმდინარე წელში ნაწარმოების თვითღირებულების შემცირება დასახულია 8 პროცენტით., მშენებლობის კი 15 პროც.). მშენებლობას აქვს კიდევ მთელი რიგი თავისი სპეციალური საკითხები, რომლებიც უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში შეჯიბრების დროს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაშიც შეჯიბრებისათვის თავის სპეციალური საკითხები არის (მოსავლიანობა, განაყოფიერება, მანქანების მაქსიმალური გამოყენება, ნათეს მიწების გაფართოება და სხ.) უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში არა მარტო საერთოდ სოფლის მეურნეობის თავისებურება, არამედ თვითეულ საბჭოთა მეურნეობის მუშაობის თავისებურებაც.

ყოვლად დაუშვებელია ტრაფარეტით და შაბლონით ყველგან ერთიდაიმავე საკითხზე შეჯიბრება. ყოველ საწარმოში საერთო საკითხების გარდა არის კიდევ თავისი განსაკუთრებული საკითხები. მაგალითად, სტამბაში ასეთ განსაკუთრებულ საკითხად ამჟამად უნდა ჩაითვალოს ქაღალდის ეკონომია, ეს უნდა გახდეს სტამბებს შორის შეჯიბრების ერთ-ერთ მუხლად. აბრეშუმის ძაფის ამოღების დარგში არის რანდემო (ნედლი მასალის ხარჯვის ნორმა) და დენიე (ძაფის განსაზღვრული ხარისხი). ასეთივე განსაკუთრებული საკითხები არის აგრეთვე სხვა საწარმოებშიაც და შეჯიბრების დროს ისინი უნდა იქნან აღებული და არა ტრაფარეტულად „შევამციროთ თვითღირებულება, ავსწიოთ შრომის ნაყოფიერება და განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა“. ეს ლოზუნგები ფრიად კარგია, მაგრამ თვითეულ საწარმოს მიხედვით, საჭიროა მათი კონკრეტული ჩამოყალიბება. თუ სად როგორი საკითხები უნდა იქნას აღებული შეჯიბრებისათვის, ეს შეიძლება მხოლოდ თვითონ ადგილზე საწარმოში გამოინახოს და შეუძლებელია ამ საკითხების ზევიდან დირექტივებით და ცირკულიარებით ჩვენება.

წარმოების საკითხების გარდა შეიძლება შეჯიბრების ერთ-ერთ მუხლად იქნეს საწარმოო თათბირების უკეთესი მუშაობა და გამოგონებათა და საქმიან წინადადებათა ზრდა. ესეც უშუალოდ წარმოების საკითხებს წარმოადგენს: საწარმოო თათბირების კარგი მუშაობა წარმოებას დიდ სარგებლობას აძლევს, ხოლო გამოგონებათა ზრდა იმის დამამტკიცებელია, რომ ამ საწარმოში მუშების შემოქმედებით ინიციატივას ყურადღებას აქცევენ. გამოგონებათა და მუშების საქმიან წინადადებათა რიცხვის ირგვლივ შეჯიბრება ფრიად სასურველია. იქ, სადაც გამოგონებათა რიცხვი მცირეა, უეჭველად ადგილი აქვს ამ საკითხისადმი უყურადღებობას. ორი საწარმოს ერთმანეთს შორის შეჯიბრების შედეგების გამოკვლევის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო საწარმოო ხასიათის მიღწევები, არამედ ამასთან ერთად ისიც, თუ რამდენად ჩაბმული იყვნენ მუშები მართვა-გამგეობის საქმეში (საწარმოო თათბირების საშუალებით) და რამდენად კარგი პირობები არსებობდა მუშების შემოქმედებითი ინიციატივის გასაშლელად.

სამეურნეო-პოლიტიკურ ხელშეკრულებათა დადება და მათი შესრულება

შეჯიბრება საწარმოებს შორის უნდა ჩამოყალიბებულ იქნას განსაზღვრულ წერილობითი აქტით. პრაქტიკაში შემოღებულია საწარმოთა შორის სამეურნეო-პოლიტიკური ხელშეკრულებათა დადება. ამ ხელშეკრულებათა დადებამდე შესაჯიბრებელ საწარმოთა შორის ადგილი აქვს სპეციალურ წერილობით მიმართვას, სადაც ერთი საწარმო მეორეს აცნობებს თავის მდგომარეობას, არსებულ მიღწევებს და დეფექტებს და მომავლისათვის დასახულ მუშაობას. მაგალითად, თვითღირებულების შესახებ სწერს, თუ რამდენი ჯდება ნაწარმოების ერთეული ამჟამად, როგორი იყო თვითღირებულება გასულ წლებში, რა უშლის ხელს თვითღირებულების შემცირებას და შემდეგში რა არის ამ მხრივ დასახული. ასევეა მანკიანი საქონლის და სხვა საკითხების შესახებაც. ერთი მეორისათვის ასეთი საქმიანი ცნობების მიწოდებას დიდი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ეს გაცნობა მოხდეს წერილობითი მიმართვის გარდა სპეციალური მუშათა დელეგაციის გაგზავნით (დელეგაცია მოხსენებას გააკეთებს საწარმოო თათბირზე).

ხელშეკრულებები უნდა შედგენილ იქნან საქმიანად და კონკრეტიულად. ხელშეკრულება ისეთი უნდა იყოს, რომ ორივე მხარემ იცოდეს, თუ რა ვალდებულებას ღებულობენ თავის თავზე და როგორ უნდა გაატარონ ეს ვალდებულებები ცხოვრებაში. თუ ხელშეკრულება არ იქნა საქმიანი, მისი შესრულებაც და შესრულების შემოწმებაც შეუძლებელი იქნება და შეჯიბრების დადება გადაიქცევა უბრალო ზეიმად.

უნდა ითქვას, რომ ბევრი ხელშეკრულება, რომელნიც აქამდე დაიდვა, მოკლებულია კონკრეტულობას და საქმიანობას. ისინი იმდენად ტრაფარეტული არიან, იმდენად ნაკლებ შეეფარდებიან აღებულ საწარმოს კონკრეტულ პირობებთან, რომ სხვადასხვა საწარმოთა განსხვავება ხელშეკრულებაში გამოიხატება მხოლოდ შესავალში, სადაც ნათქვამია, თუ ვის შორის იდება ხელშეკრულება; დანარჩენი კი თითქმის ერთი და იგივეა. საქმიანად შედგენილ ხელშეკრულებაში კი ყოველი მუხლიდან ნათლად უნდა მოსჩანდეს, თუ ვის ეკუთვნის ეს ხელშეკრულება—თამბაქოს წარმოებას, საპნის, ჩაის, აბრეშუმის, სკამის, ლითონის, თუ სხვა წარმოებას. ეს კი მაშინ შეიძლება, როცა ხელშეკრულების შინაარსი შეფარდებული იქნება წარმოების ხასიათთან.

ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებანი ისეთი უნდა იყოს, რომ შეიძლებოდეს მისი შესრულების შემოწმება. ზოგიერთ ხელშეკრულებაში ასეთი ვალდებულებებს ვხვდებით: „გაჯანსაღდეს წარმოება 80 პროც.“ (რატომ 80 პროც. და არა ასით, ან როგორ შეიძლება საერთოდ გაჯანსაღების პროცენტებით გამოანგარიშება), „გაუმჯობესდეს ნაწარმოების ხარისხი 80 პროც.“, „აწეული იქნას შრომის დისციპლინა 70 პროც.“, „ინვენტარის წახდენის ხარჯები შემცირდეს 10 პროც.“. (რატომ 10 პროც.?) და სხ. ცხადია, აქ ჩამოთვლილი მუხლები კონკრეტულობას სრულიად მოკლებულია და მათი შესრულების შემოწმებაც შეუძლებელია.

თითქმის ყველა ხელშეკრულებაში თვითღირებულების შემცირების შესახებ აღნიშნულია მხოლოდ პროცენტები (შემცირდეს ამდენი და ამდენი პროცენტით). არსებითად ეს სწორია, მაგრამ მარტო პროცენტებში ჩვენება არ არის საკმარისი. ხელშეკრულების დამდებ მხარეებმა უნდა იცოდნენ, თუ რას ისახავენ მიზნად. ვთქვათ, ნაწარმოების თვითღირებულება უდრის ხელშეკრულების დადების დროს 10 მანეთს. ხელშეკრულებაში უნდა ჩაიწეროს, რომ მხარეები იღებენ ვალდებულებას დაიყვანონ თვითღირებულება, ვთქვათ, 10 მანეთიდან 8 მანეთამდე. მარტო პროცენტით ჩვენება კი გაუგებარი იქნება და შესრულების შემოწმებას გააძნელებს.

ასევე შეიძლება ითქვას ხელშეკრულების სხვა მუხლებზედაც, როგორიცაა, მაგალითად, საწარმოო გეგმის შესრულება, შრომის ნაყოფიერების აწევა და სხვ. აქაც საჭიროა, გარდა პროცენტებისა, ვალდებულება კონკრეტულად იქნეს ნაჩვენები. (ციფრებში —რამდენი უნდა იქნას გამოშვებული პროდუქცია, რამდენი უნდა მოიმატოს ნაყოფიერებამ ერთ კაც-დღეზე და სხ.)

ხელშეკრულებათა დადების დროს ცალკე ვალდებულებათა საზომი უნდა შეფარდებულ იქნას საწარმოს გეგმებთან. დაუშვებელია შეჯიბრებაში იმაზე ნაკლების დასახვა, რაც აღებულ საწარმოსათვის გეგმით არის გათვალისწინებული. თუ გეგმაში არის გათვალისწინებული თვითღირებულების 10 პროცენტით შემცირება, შეჯიბრებითაც იმაზე ნაკლები არ შეიძლება დავისახოთ, მეტი კი შესაძლებელია და სასურველიც. იმიტომ ვალდებულებათა გამომუშავების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ საწარმოო გეგმებით. და ამას გარდა კიდევ საწარმოში არსებულ პირობებით (გეგმაში) გათვალისწინებულზე მეტის დასახვისათვის).

დასაშვებია, რომ ორ საწარმოს შორის დადებულ ხელშეკრულებაში ერთისა და იმავე საკითხზე სხვადასხვა ვალდებულებით იქნას დათქმული; მაგალითად, თვითღირებულების მხრივ ერთგან 8 პროცენტით შემცირება, მეორეგან კი 12 პროცენტით, იმის მიხედვით, თუ რომელ საწარმოში როგორი მდგომარეობაა.

ხელშეკრულების დადების წინ საწარმოო თათბირების საშუალებით მუშები უნდა გაეცნონ წინასწარ იმ საკითხებს, რომელნიც ხელშეკრულებებში შევლენ. მაგალითად, თვითღირებულების საკითხი წინასწარ დაწვრილებით უნდა იქნეს განხილული საწარმოო თათბირზე (ცეხურ თათბირებზე ცეხური კალკულიაცია და საერთო საქარხნო თათბირზე მთლიანი კალკულიაცია), რომ მუშებმა იცოდნენ, თუ რა მდგომარეობა არის ამ მხრივ და რა შეიძლება გაკეთდეს შემდეგში. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ მათ მოაწერონ ხელი ხელშეკრულებას და აიღონ თავის თავზე განსაზღვრული ვალდებულება თვითღირებულების შემცირებაში. ასევე შეიძლება ითქვას საწარმოო გეგმის შესრულების შესახებაც და სხ. შეგნებულ შეჯიბრებად მხოლოდ ისეთი უნდა ჩაითვალოს, როცა ხელშეკრულებაში შეტანილ თვითეულ მუხლს მუშები იცნობენ და როცა მათ ნამდვილად შეუძლიათ აგონ პასუხი მის შესრულებაზე.

სამეურნეო ხელშეკრულებათა ხელახლად დადების დროს (უნდა განახლდეს ოქტომბერში) ეს უნდა იქნას მიღებული მხედველობაში და არ უნდა იქნას დაშვებული ხელშეკრულებათა ისეთი დადება, როცა მუშები არ არიან დაწვრილებით გაცნობილი ხელშეკრულებაში შესატან საკითხებს. კერძოდ, მომავალი შეჯიბრების განახლებისათვის, ყველა საწარმოში უნდა მოხდეს 1929—30 სამეურნეო წლის საწარმოო გეგმების წინასწარი განხილვა. (წლის დაწყებამდე და გეგმების უმაღლეს სამეურნეო ორგანოებში დამტკიცებამდე).

რომ ხელშეკრულება სრულდებოდეს მხარეების მიერ და ის არ გადაიქცეს უბრალო ქაღალდად, უსათუოდ უნდა იქნას გათვალისწინებული თვით ხელშეკრულებაში მისი გატარების შემოწმების ვადები და წესი და, ამას გარდა, კიდევ განსაზღვრული მატერიალური პასუხისმგებლობა ხელშეკრულების შესრულებისათვის. შეიძლება ასეთი მატერიალური პასუხისმგებლობა შემდეგში გამოიხატოს: დამარცხებულ საწარმოს ხარჯზე გამარჯვებულ საწარმოს საუკეთესო მუშების განსაზღვრულ რიცხვი (ორი, სამი ან ხუთი იმის მიხედვით, თუ რა სიდიდის არის საწარმო) გაიგზავნოს იმავე დარგის მსხვილ და კარგად დაყენებულ საწარმოში ექსკურსიაზე) მოსკოვში, ლენინგრადში ან სხვაგან). შეიძლება პასუხისმგებლობის სხვა ფორმებიც დაწესდეს. ამ ხარჯების გაწევა უნდა ხდებოდეს ადმინისტრაციის მიერ. ხელშეკრულების შესრულების ასეთი პასუხისმგებლობა დიდ ინტერესს გამოიწვევს და შეჯიბრება ფრიად ცხოვლად ჩატარდება.

(დასასრული იქნება)

ს. გოდაბრელიძე.

სოციალისტური შეჯიბრება

მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკაში ნედლი მასალის უქონლობა ზრდის თვითღირებულებას

ახალდაბის ხე-ტყის სახერხი ქარხნის ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევს მუშათა წინადადებებს

რა ზრდის თვითღირებულებას

(მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკა)

შრომის ნაყოფიერების ზრდა, ნაწარმოების თვითღირებულების შემცირება და საერთოდ წარმოების გაუმჯობესება, დიდად არის დამოკიდებული იმაზე თუ რამდენად უზრუნველყოფილია ფაბრიკა ან ქარხანა ნედლი მასალით. სოციალისტური შეჯიბრების მთავარი ამოცანაც იმაში მდგომარეობს, რომ ფაბრიკა-ქარხნების ადმინისტრაციამ ერთხელ და სამუდამოდ მოაგვარონ ნედლი მასალის მომარაგების საკითხი და თავის დროზე მიაწოდონ საწარმოს სამუშაო ხელსაწყო ყოველგვარი მასალა. უამისოდ შეუძლებელია წარმოებაში დგომების მოსპობა, შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულების მთელი ასი პროცენტით შესრულება.

სამწუხაროდ ბევრი ადმინისტრაცია, მუშაობის ამ მხარეს არ აქცევს შესაფერ ყურადღებას. მათ ხალისიანათ მოაწერეს ხელი სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებაზე, მაგრამ რომ ამ ხელშეკრულების ცხოვრებაში გასატარებლად აუცილებელი საჭიროა ნედლი მასალით უზრუნველყოფა ფაბრიკა-ქარხნებისა, ამაზე თავს არ იწუხებენ. ამის მაგალითები ძალიან ბევრია. მოვიყვანთ ერთ მათგანს:

მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკის მუშებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ბორჯომის სატკეჩე ფაბრიკისა და პეწხის ავეჯის ფაბრიკის მუშები. სატყეო ტრესტის წარმომადგენელმა აღფრთოვანებით მოაწერა ხელი ამ პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულებაზე, რომელიც დაიდო აღნიშნულ ფაბრიკის მუშებს შორის და რომელშიაც ნათქვამია, რომ ტრესტის ადმინისტრაციამ ყოველგვარი ღონისძიება უნდა იხმაროს ფაბრიკის ნედლი მასალით უზრუნველსაყოფად. სამწუხაროდ ეს ასე არ ხდება, ტრესტის ადმინისტრაცია არავითარ ზომებს არ ღებულობს ნედლი მასალის თავის დროზე მისაწოდებლად. ამის გამო ძალიან ხშირია მარელისის ფაბრიკაში უქმად დგომა, რაც ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას და ხელს უშლის საერთოდ წარმოების გაუმჯობესებას.

სატყეო ტრესტის ადმინისტრაციამ ანგარიში უნდა გაუწიოს ამ გარემოებას და მიიღოს ყოველგვარი ზომები მარელისის ფაბრიკის ნედლი მასალით უზრუნველსაყოფად.

მუშა.

პირველი ნაბიჯი

(შორაპნის მაზრა)

შორაპნის მაზრის (კიცხის თემი) გლეხობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია საზანოს თემი. ორივე თემის გლეხების წარმომადგენლებმა ხელი უკვე მოაწერეს სამეურნეო ხელშეკრულებას, რომელიც სავსებით უპასუხებს ჩვენი პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია: ნათესი ფართობის გაზრდა 8 პროცენტით, მოსავლიანობის გადიდება 8 პროცენტით, აგრომინიმუმის სრული გატარება, კოლმეურნეობათა რიცხვის გაზრდა, გლეხების კოოპერაციაში გაერთიანება, სასოფლო მეურნეობის საწარმოო თათბირების ჩამოყალიბება და მისი მუშაობის გაძლიერება, საბჭოს მუშაობაში წევრთა მაქსიმალური ჩაბმა და გლეხობის მიზიდვა, გზების შეკეთება, სამკითხველოების ქსელის გაშლა და მათი მუშაობის გაუმჯობესება, ორ სოფელზე ერთი რადიოს დადგმა, სკოლების ქსელის გაშლა იმ ვარაუდით, რომ მაქსიმალურად იქნეს შემცირებული სკოლის გარეშე დარჩენილთა რიცხვი, წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია და სხ.

შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია გლეხობაში, ხელშეკრულების განხილვის და დამტკიცების კრებები, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის და კოლექტივიზაციის ცენტრად გარდაიქცა. კრებებმა ნათელჰყო ის გარემოება, რომ ღარიბი და საშუალო გლეხობა სრულ ნდობას უცხადებენ ჩვენს პარტიას და ხელისუფლებას. თემებს შორის კავშირმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა გლეხობაზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თემის ყველა სოფლებში ვერ შევსძელით ჩაგვეტარებია წინასწარი განმარტებითი მუშაობა და შეჯიბრების ხელშეკრულების განხილვა. აქ მიღებული გამოცდილება გამოყენებული უნდა იქნეს სხვა თემებში.

ნ. გვანცალაძე.

ლოთი პროფმუშაკი და სუსტი ადმინისტრაცია

(ახალდაბის ხე-ტყის სახერხი ქარხანა)

ახალდაბის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშაობა ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ქარხნის ადმინისტრაცია ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევს მუშათა წინადადებებს და თითქმის არავითარ ზომებს არ ღებულობს სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად. ქარხნის მუშამ, ამხ. პეპოძემ რამდენიმე მნიშვნელოვანი გაუმჯობესებანი შეიტანა სამუშაო დაზგებში, მაგრამ ადმინისტრაციამ ყურადღებაც კი არ მიაქცია ამ გაუმჯობესებებს. ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ მუშათა ინიციატივა წარმოების რაციონალიზაციის საქმეში მოისუსტებდეს.

აღსანიშნავია, რომ არც ადგილობრივი პროფორგანო იწუხებს თავს მუშათა წინადადებების განსახორციელებლად. ქარხკომის მდივანი ასეთ „უმნიშვნელო“ საქმისათვის სრულებით ვერ იცლის, მას უფრო სხვა „დიდი“ საქმეები აქვს. ეს არის სამიკიტნოებში ქეიფი და შემდეგ კი ღვინით გალეშილი უსაქმო სიარული. რასაკვირველია ასეთ პირობებში ძნელია წარმოების გაუმჯობესება. ამის შესახებ ბევრი ილაპარაკეს მუშებმა, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა. ქარხკომის მდივანი მაინც განაგრძობს ლოთობას და ადმინისტრაციაც უყურადღებოდ სტოვებს მუშათა წინადადებებს.

ქარხანაში უკვე კარგა ხანია გამოცხადებულია სოციალისტური შეჯიბრება, მუშები დაინტერესებული არიან წარმოების გაჯანსაღებით, მაგრამ მათ ნაყოფიერ მუშაობას ხელს უშლის კიდევ ის გარემოება, რომ დღემდე ქარხანაში არ არის შემოღებული ნარდი სამუშაო, როგორც ეს არის სხვა ფაბრიკა-ქარხნებში, ადმინისტრაციის განცხადებით პირველ თვიდან უნდა დაწყებულიყო ნარდი მუშაობა, მაგრამ ჯერაც არაფერი ისმის ამის შესახებ. მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ საკითხს.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ დღეს, როდესაც ტარდება ადმინისტრატიული ხარჯების შემცირება, ახალდაბის ხეტყის ქარხანაში პირიქით ხდება. აქ კანტორის მოხელეთა შტატი, შემცირების მაგიერ თანდათან დიდდება. წინად ქარხანას ჰყავდა სამი კანტორის მოხელე, ამჟამად ჰყავს ათი, ამავე დროს კი მუშა მწარმოებელთა რიცხვი ქარხანაში შემცირდა. წინად თითო დაზგაზე მუშაობდა სამი მუშა და მუშაობაც ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა, დღეს თითო დაზგაზე მუშაობს ორი მუშა და ამიტომ მუშაობის ტემპიც შენელდა. ორი კაცის მუშაობა ერთ დაზგაზე ძალიან ძნელია. ადმინისტრაციამ აუცილებლივ უნდა დაუმატოს კიდევ თითო მუშა. უამისოთ შეუძლებელი იქნება შრომის ნაყოფიერების ზრდა.

გ. მუშკორი.

კოლოფების ფაბრიკა. ბანდეროლების დაკვრა კოლოფებზე.

ქრონიკა

შეჯიბრება მებაღეთა შორის. ბათომის ქალაქის ბაღ-ბულვარისა და ხანერგეების მუშებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს თბილისის ქალაქის ბაღების მუშები.

ახალი წყალსადენის მუშებში. თბილისის ახალი წყალსადენის მუშებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ქუთაისის წყალსადენის მშენებლობის მუშები. ამ დღეებში ორივე წყალსადენის მუშათა წარმომადგენლები ხელს მოაწერენ პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულებას.

გამოწვევა მივიღეთ. თბილისის აღმასკომის საადგილმამულო განყოფილებამ მიიღო ქუთაისის საადგილ-მამულო განყოფილების მიერ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევა და თავის მხრივ იწვევს კახეთის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებას.

შეჯიბრების მიზანია საკონტროლო ციფრებში დასახულ ამოცანების შესრულება და მთელ რიგ შემთხვევებში მასზედ გადაჭარბებაც კი. თავის მხრივ საადგილ-მამულო განყოფილებას განზრახული აქვს შეჯიბრის პირობის შესრულების მიზნით გამოიწვიოს შეჯიბრებაში რაიონულ-აგრონომიულ პუნქტებს შორისაც. შეჯიბრების ხელშეკრულების დადება მოხდება ამ დღეებში.

სახდაზღვევის ხაშურის სააგენტო შეჯიბრებაში იწვევს: დუშეთის, სამტრედიის სააგენტოებს შემდეგ საკითხებში: განაკვეთის და დანარჩენების სრული ასი პროცენტით აკრეფა, ნებაყოფლობით სას.-სამ. კულტურების დაზღვევა, ფიქტიური აქტების გამომჟღავნება და მათთან ბრძოლა და სხ.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია

სოფლად უკვე სწარმოებს 1929—30 წლის დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა. — სააღრიცხვო კომისიების მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ღარიბი გლეხობა. — კულაკები ცდილობენ დასაბეგრ ობიექტების გადამალვას და ამ გზით გადასახადის სიმძიმის შემსუბუქებას. —პარტიულ, საბჭოთა ორგანოებმა და კედლის გაზეთებმა ხელი უნდა შეუწყონ საგადასახადო კამპანიის უნაკლოდ გატარებას.

1929—30 წლის საგადასახადო კამპანია

ამჟამად სოფლად მიმდინარეობს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კამპანია. მაზრის საფინანსო ორგანოები უკვე შეუდგნენ 1929—30 წლის სასოფლო მეურნეობის ობიექტების აღრიცხვას, რომლის დამთავრების შემდეგ უნდა მოხდეს მომავალი საბიუჯეტო წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაწილება.

როგორც ვიცით, მიმდინარე წელს საბჭოთა ხელისუფლებამ გამოსცა ახალი სასოფლო-სამეურნეო კანონი, რომელიც მთელ რიგ შეღავათებს ანიჭებს საშუალო გლეხობას და კიდევ უფრო ზრდის გადასახადისაგან სავსებით განთავისუფლებულ ღარიბ გლეხობის პროცენტს.

ახალი სასოფლო-სამეურნეო კანონი წარმოადგენს კიდევ ერთ სტიმულს ჩვენი სასოფლო მეურნეობის სწრაფად განვითარების საქმეში და ამ კანონის მნიშვნელობის ფართედ გაცნობა მშრომელ გლეხობისათვის უნდა გახდეს მიმდინარე კამპანიის ერთ-ერთ ამოცანად.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო ობიექტების სისწორით აღრიცხვას. გასულ წლებში ჩვენ ამ ხრივ გვქონდა მნიშვნელოვანი დეფექტები. კულაკური ელემენტები ადვილად ახერხებდნენ სააღრიცხვო ობიექტების გადამალვას და ამით თავიდან იშორებდნენ კანონით გათვალისწინებულ გადასახადების შეწერას.

მეორეს მხრივ იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საშუალო გლეხობის ერთი ნაწილი იბეგრებოდა ზედმეტი რაოდენობით, რაც მათში იწვევდა კანონიერ უკმაყოფილებას. ზოგჯერ იბეგრებოდა ისეთი ღარიბი გლეხებიც, რომელნიც კანონით სავსებით განთავისუფლებული უნდა ყოფილიყვნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გლეხკორებისა და კედლის გაზეთების როლი სასოფლო-სამეურნეო ობიექტების სისწორით აღრიცხვის და გადასახადის გაწერის საქმეში. გლეხკორებმა კედლის გაზეთების საშუალებით უნდა გააჩაღონ პროპაგანდა-აგიტაცია, მათ უნდა გააშუქონ ახალ კანონის მნიშვნელობა და ის უპირატესობანი, რომელსაც ხსენებული კანონი ანიჭებს ღარიბ და საშუალო გლეხობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კულაკების ოინების გამომჟღავნებას, რომლებიც აუცილებლად შეეცდებიან აღსარიცხავ ობიექტების გადამალვას.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე, რომ ადგილი არ ექნეს ნათლიმამობის შემთხვევებს ობიექტების აღწერისა და გადასახადის განაწილების საქმეში სააღწერო კომისიების მიერ.

ასეთია მოკლედ ის მოვალეობანი, რომელიც ეკისრება როგორც პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, ისე გლეხკორებს და კედლის გაზეთებს საგადასახადო ობიექტების აღწერის საქმეში.

გ. ბ.

აღწერას წარმატებით ჩავატარებთ

(კახეთის მაზრა)

ბოდბის-ხევის თემში, მაზრის ხელისუფლების დირექტივის თანახმად სასოფლო-სამეურნეო აღწერისათვის მოსამზადებელი კამპანია დაიწყო ა.-წ. მაისიდან. უბნობრივ ჩატარდა ფართე მოხსენებები 1929—30 წლის სასოფლო-სამეურნეო ობიექტების აღწერის მნიშვნელობაზე და გადასახადში ღარიბ და საშუალო გლეხკაცობაზე შეღავათების მინიჭებაზე.

ხსენებულმა კრებებმა სასურველი ნაყოფი გამოიღო აღწერის უმტკივნეულოდ ჩატარების საქმეში. სააღრიცხვო კომისიაში დაცულია კლასიური პრინციპი და პარტიის ხაზი.

სააღწერო კომისია აღწერას შეუდგა 25 მაისიდან. აღწერა სწარმოებს უბნობრივ. გამოიძახებენ უბნიდან 20 კომლს და კომისიის თავმჯდომარე წინასწარ აცნობს აღწერის მნიშვნელობას და აფრთხილებს ობიექტების სწორად ჩვენებისათვის.

ასეთი საუბრები სასურველ ნაყოფს იძლევა. გლეხები შეგნებულად ხვდებიან აღწერას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კულაკები ველარ ახერხებენ მეურნეობის ობიექტების გადამალვას. მართალია ისინი ამას ცდილობენ, მაგრამ მათ წინააღმდეგ დარაზმულია მოჯამაგირე და ღარიბი გლეხები, რომლებიც დაუნდობლად ამჟღავნებენ კულაკის მეურნეობას. ეს გარემოება უზრუნველჰყოფს 1929—30 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის უშეცდომოთ ჩატარებას და კულაკების ყოველგვარ მავნე ოინების აღკვეთას.

გასულ წელთან შედარებით ნათესის სივრცე გაზრდილია 10 პროცენტით. წვრილფეხა საქონელი წარსულ წელთან შედარებით ნაკლებია, რაიც გამოწვეულია ხანგრძლივი და სუსხიანი ზამთრით. ვენახების სივრცე გაზრდილია 5 პროცენტით, ღარიბ მეურნეობებს ეტყობა საკმაო აღორძინება—განვითარება, რაც იმით აიხსნება, რომ ღარიბ და საშუალო გლეხობაზე მინიჭებული უფლებები სისწორითაა გამოყენებული. საგაზაფხულო თესვისათვის საკმაო სამეურნეო კრედიტებია დარიგებული.

საჭიროა მოჯამაგირე და ღარიბი გლეხობა დაირაზმოს სასოფლო-სამეურნეო სააღწერო კომისიებთან და ხელი შეუწყონ მის სწორად ჩატარებას, რითაც ადვილად დავსძლევთ კულაკების შავ ზრახვებს.

ი. გოზალიშვილი.

თავის დროზე მივიღეთ ზომები

(თბილისის მაზრა)

მაისის ბოლო რიცხვებიდან თბილისის მაზრის ყველა თემები შეუდგა საგადასახადო კამპანიის ჩატარებას და საგადასახადო ობიექტების აღწერას. თემებში ჩამოყალიბებულია სათემო-საგადასახადო და სათემო-სააღრიცხვო კომისიები, სათემო-სააღრიცხვო კომისიების გამოყოფამდე ეწყობოდა სოფლის საერთო კრებები, სადაც დაწვრილებით აცნობდენ ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონს და კანონში გათვალისწინებულ ყველა შეღავათებს, რომლებიც მინიჭებული აქვს საშუალო გლეხობას. აცნობდენ აგრეთვე ღარიბი გლეხობის გადასახადისაგან განთავისუფლების და კულაკურ მეურნეობების ინდივიდუალური დაბეგვრის წესს.

თბილისის მაზრაში აღნიშნულ კამპანიის და დასაბეგრ ობიექტების აღწერის სისწორით განხორციელების მიზნით, თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა გამოჰყო 12 პასუხისმგებელი ამხანაგი, რომლებიც მიმაგრებულ იქნენ რაიონებზე. გამოყოფილი ამხანაგები უკვე რაიონებში იმყოფებიან და უწევენ უშუალო ხელმძღვანელობას ადგილებს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ქვე-განყოფილებასთან მოწყობილ გადასამზადებელ კურსებმა, რომელიც გრძელდებოდა 6 დღე (ადგილებზე მოანგარიშეებისათვის) მოგვცა ნაყოფიერი შედეგი.

ყარაია-ავტაგლიას თემებში დაწყებულ აღწერებიდან მიღებული მასალები ადასტურებს ნათესების და კულტურულ მცენარეთა ფართობების გადიდებას.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კულაკები და შეძლებული გლეხობა ცდილობენ დასაბეგრ ობიექტების და განსაკუთრებით წვრილ რქოსან საქონლის გადამალვას, რომელთა წინააღმდეგ ღარიბთა ჯგუფები ღებულობენ ზომებს.

მიმდინარე კამპანიის დროს სასოფლო-სამეურნეო კანონის გადაუმახინჯებლად გატარებისათვის საჭიროა რაიონებზე მიმაგრებულ ამხანაგებმა ფართოდ ჩააბან და დააინტერესონ სოფლის ღარიბი გლეხობა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რაც თავდებაა პარტიის და ხელისუფლების ხაზის სისწორით გატარებისათვის.

ამრიგად მაზრის ყველა თემები შეუდგენ მუშაობას. განზრახულია აღწერები დამთავრდეს 6 ივლისისათვის.

ვ. კვირიკაძე.

ქელეხის მაგივრად—ხიდი

სოფ. ვაკიჯვარი, გურია

მიცვალებულის დაკრძალვის დროს ქელეხის გამართვა დიდძალ ზიანს აყენებს გლეხობას. მიუხედავად ამისა, ეს სენი კიდევ არ არის აღმოფხვრილი. ამ მხრივ უსათუოდ მისაბაძი მაგალითია სოფ. ვაკიჯვარში ამას წინად მომხდარი ფაქტი. ამხ. ერმალოზ თხილაიშვილმა გარდაცვალებულ მამის ხსოვნის აღსანიშნავად ვაკიჯვარის შრომის სკოლას აღუთქვა ცემენტის ბოგირის გაკეთება, რომლის აგება 80 მან. ჯდება. მოსახლეობა და სკოლის საამშენებლო კომიტეტი მადლობას უცხადებს ამხ. თხილაიშვილს.

სკოლის გამგე.

ვიწვევთ ზუგდიდის სამფინგანს

(გურია)

1929—30 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ობიექტების აღრიცხვისათვის წინასწარი სამზადისი და აღმრიცხველთა კადრის მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსები დამთავრებულია. მაზრაში დიდი გვალვით გამოწვეული ყანების დაუთესაობის გამო სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით აღრიცხვა დაიწყო 15 ივნისიდან.

მიუხედავად ოზურგეთის მაზრაში აღრიცხვის კამპანიის დაგვიანებით დაწყებისა, ოზურგეთის სამფინგანი სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევს ზუგდიდის მაზრას ამ კამპანიის წარმატებით და დროულად ჩატარებაში და აგრეთვე ყველა პირდაპირ გადასახადების ლიკვიდაციაში.

ოზურგეთის სამფინგანი.

რა ხდება ადგილებზე

მედსანშრომის მუშაკთა ზუგდიდის კონფერენცია

ზუგდიდი, 24 ივნისი. (საკ. კორესპ.) 24 ივნისს ზუგდიდში შესდგა მედსანშრომის მუშაკთა მე-8 სამაზრო კონფერენცია.

კონფერენციამ მოისმინა მედსანშრომის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის და სახმედვაჭრობის წარმომადგენლების მოხსენებები მათ მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

შემდეგ მოსმენილ იქნა ექიმ ანდრია დეუბუაძის ცნობა მენშევიკებისა და პოლონელი ფაშისტების უკანასკნელი პროვოკაციული გამოსვლის შესახებ. კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ზუგდიდის მაზრის მედსანშრომის მუშაკები გმობენ მენშევიკებისა და პოლონელი ფაშისტების საზიზღარ პროვოკაციულ გამოსვლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და აცხადებენ, რომ საჭირო მომენტში მზად იქნებიან წინააღმდეგობა გაუწიონ ყველას, ვინც მოისურვებს საბჭოთა კავშირის მშრომელთა მშვიდობიანი შრომისათვის ხელის შეშლას.

ა. კოდუა.

ზუგდიდის გლეხკომების სამაზრო თათბირი

ზუგდიდი, 24 ივნისი. (საკ. კორ.). 23 ივნისს გაიხსნა ზუგდიდის გლეხკომების წარმომადგენელთა გაფართოებული სამაზრო თათბირი, რომელსაც დაესწრო გლეხკომების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ქ. ხომერიკი. თათბირმა მოისმინა გლეხკომების წარმომადგენელთა მოხსენებები მათი მუშაობის შესახებ.

თათბირის დღის წესრიგში დასმულია აგრეთვე ამხ. ქ. ხომერიკის მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

ა. კოდუა.

მგლების თარეში

ზუგდიდი, 24 ივნისი. (საკ. კორ.). ზუგდიდის მაზრის მთელ რიგ სოფლებში ადგილი აქვს მგლების თარეშს. მგლები ღამღამობით იტაცებენ შინაურ საქონელს, რითაც გლეხობა დიდ ზარალში ჩავარდა. ზუგდიდის მონადირეთა კავშირმა გამართა მგლებზე სპეციალური ნადირობა, რომლის დროსაც მოკლული იქნა რამდენიმე მტაცებელი. დანარჩენი გაიფანტა მთებში.

ა. კოდუა.

თამბაქოს კონტრაქტაცია

სოხუმი, 24 ივნისი. დამთავრდა თამბაქოს კონტრაქტაციაქმნილ მეურნეობათათვის პირველი ავანსის მიცემა.

აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირის, გეგმის მიხედვით, საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები უნდა დაედო 12.000 ჰექტარ თამბაქოს ნათესზე, ნამდვილად კი ხელშეკრულებანი დაიდო 13.431 ჰექტარზე. ამ თამბაქოს მეურნეობებიდან 45 პროცენტს შეადგენენ ღარიბ გლეხთა მეურნეობანი.

საშუალო ავანსი ერთ ჰექტარ ნათესზე უდრის 265 მანეთს. ღარიბ გლეხებს ეძლევათ 10 პროცენტით, ხოლო კოლექტიურ მეურნეობებს—20 პროცენტით მეტი. პირველი დარიგების დროს განაწილებულ იქნა ავანსი 40 პროცენტი. ხელშეკრულებათა კამპანიის წარმატება აიხსნება დიდი წინასწარი მუშაობით, რომელიც აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირმა ჩაატარა სოფლის აქტივთან ერთად, აგრეთვე პურის პროდუქტების, მანუფაქტურის და სხვ. პირველი პარტიის თავის დროზე მიწოდებით. კამპანიის მსვლელობაზე უარყოფითი გავლენას ახდენდა ის, რომ არ იყო გამორკვეული ტრაპიზონის ჯიშის თამბაქოს ფასები, დაგვიანებით გადაჭრილ იქნა აგრეთვე დამატებითი კონტრაქტაციის საკითხი (ადს).

თამბაქოს მდგომარეობის შემოწმება

სოხუმი, 23 ივნისი. ხანგრძლივმა გვალვამ შეაფერხა თამბაქოს გადარგვა და მხოლოდ ივნისის შუა რიცხვებში მოსული წვიმის შემდეგ გახდა შესასრულებელი გადარგვის დაწყება. დაგვიანება აუცილებლად გავლენას მოახდენს თამბაქოს მოსავალსა და ხარისხზე. ზოგიერთ რაიონში თამბაქო დააზიანა სეტყვამ. ზარალი ირკვევა.

1 ივნისიდან აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირი შეუდგება დასარგავ მოედნების შემოწმებას მთელს აფხაზეთში.

მეთამბაქოეთა კოოპერაციის არჩევნები

სოხუმი, 23 ივნისი. მეთამბაქოეთა კოოპერაციის საანგარიშო-საარჩევნო კამპანია გაცხოველებით მიმდინარეობს. თამბაქოს სარაიონო კოოპერატივების გამგეობათა არჩევნები დამთავრდა 6 ადგილას. საარჩევნო კრებებს ესწრებოდა წევრების 60 პროცენტი. კამათის დროს გლეხები უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ თამბაქოს ზოგიერთი დახარისხების მუშაობის გამო და აღნიშნავდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სისუსტეს.

თამბაქოს სარაიონო კოოპერატივების ახლად არჩეულ გამგეობებში გაიზარდა ღარიბ გლეხთა პროცენტი (ადს).

ზემო-სვანეთის გზატკეცილის მშენებლობა

როგორც ვიცით, საკავშირო მთავრობამ სვანეთში გზის გასაყვანად გადადო სამი მილიონი მანეთი. თავიდანვე იქნა გათვალისწინებული, რომ ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა ზემო-სვანეთის გლეხობა, თვითეული მათგანი იმუშავებდა შვიდ-შვიდ დღეს. ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანიზაციებმა ჩაატარეს ამ საკითხზე გლეხობაში სათანადო კამპანია. უნდა ითქვას, რომ სვანი გლეხები ამ საქმეს სრული შეგნებით შეხვდნენ. ისინი დიდი სიხარულით გამოვიდნენ მონაწილეობის მისაღებად გზის მშენებლობაში. შვიდი დღის სამუშაო ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში შეასრულეს.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მტრებს აქაც არ სძინავთ. გამოერია ისეთი პირებიც, რომლებიც გლეხობას ჩუმათ მოუწოდებდნენ არ მიეღოთ მონაწილეობა გზის მშენებლობაში. ავრცელებდნენ ხმებს, თითქოს გზის გაყვანის შემდეგ უფრო დაბეგრავს მათ გადასახადით მთავრობა, მაგრამ ასეთ პროვოკატორებს და გაიძვერებს გლეხობა აღარ უჯერის. გლეხობა ეხლა თავისი თვალით ხედავს თუ როგორ ეხმარება მათ ხელისუფლება. კეთდება გზები, ხიდები, შენდება სკოლები, ძლიერდება კოოპერაცია, იზრდება სოფლის მეურნეობა და სხვ. ასეთ პირობებში ვის სცალია, ვინ დაუჯერებს მენშევიკებს და ეკლესიის მსახურთა ზღაპრებს. ჯერ კიდევ არ დავიწყებია გლეხებს მენშევიკებისა და მათი დამქაშების 1924 წლის ავანტიურა. მიუხედავად ამისა, არის გლეხობის მეტად ჩამორჩენილი ნაწილი, რომელთა შორის შავრაზმული პირები ზოგჯერ მაინც პოულობენ ნიადაგს. ამიტომ პარტიულ ორგანიზაციებმა, კომკავშირმა და პროფესიონალურმა ორგანოებმა უნდა გააცხოველონ აღმზრდელობითი მუშაობა მასებში, უნდა შეიტანონ მეტი თვითინიციატივა და მეტი აქტიობა ღარიბ და საშუალო გლეხობაში. მაშინ ჩვენ საბოლოოდ მოვსპობთ კონტრ-რევოლიუციონურ პროვოკაციის ნიადაგს და ზემო-სვანეთი საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით განაგრძობს წინსვლას მტკიცედ და შეუჩერებლივ.

იპოლიტე დოლიძე.

შრომის დაცვის და შრომის ნაყოფიერების საკითხები

რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში

თუ შრომის ნაყოფიერების აწევის საკითხი პარტიის და ხელისუფლებისათვის ამჟამად ერთ სერიოზულ და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, ამ მხრივ მნიშვნელობას მოკლებული არაა შრომის დაცვის საქმე, რადგან მასთან უშუალოთ დაკავშირებულია შრომის ნაყოფიერებაც. თუ ამ მხრივ ქალაქათ გადადგმულია შესაფერი ნაბიჯი და მიღებულია საჭირო ღონისძიებანი, სამაგიეროთ ამ მხრივ ძალზე ჩამორჩება სოფელი. იმის დასამტკიცებლად, რომ სოფლად ამ მხრივ ყველაფერი თავის რიგზე ვერაა, საკმარისია გავეცნოთ ორთავე ამ საკითხის მდგომარეობას რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში.

96 გამოკვლეულ დაწესებულებიდან შრომის კანონების დარღვევის შემთხვევა აღმოჩნდა 34-ში. აქედან პასუხისგებაში მიეცა 9 დაწესებულების გამგე. მარტო ეს ციფრი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ შრომის დაცვის საქმე ჩვენს მაზრაში მოუწესრიგებელია.

თუ დაწესებულებებში ასე ირღვევა შრომის კანონები, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ დაცული ვერ იქნება სოფლის მეურნეობაში დაქირავებულ მუშების (მოჯამაგირეთა) შრომის პირობები.

აღსანიშნავია, რომ შრომის პირობების დარღვევას ადგილი აქვს არა მარტო კერძო, არამედ სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებშიც—უმთავრესად ზედმეტი მუშაობის სახით (ამ მხრივ რეკორდი ფ.-ტ. კანტორებს ეკუთვნის), როდესაც ლაპარაკია სახელმწიფო დაწესებულებაში ზედმეტ მუშაობაზე, საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ ზედმეტი მუშაობის გამომწვევ მიზეზების შესწავლამ დაგვანახვა, რომ ზედმეტი მუშაობა გამოწვეულია არა შტატის სიმცირით, არამედ დაწესებულების უგეგმო მუშაობით და ხშირათ უდისციპლინობით. სპეციალურმა გამოკვლევამ გამოააშკარავა, რომ უმეტესობა იმ დაწესებულებებში, სადაც ადგილი ჰქონდა ზედმეტ მუშაობას (საღამოობით), სამუშაო საათებში ხშირათ თანამშრომლები თავის ადგილზე არ იყვნენ; იგვიანებდენ ნახევარ ან ერთ საათს, მიდიოდენ სამუშაო საათებში თავის კერძო საქმეებზე და სხვა. ბოლოს აღნიშნულია ისიც, რომ ზოგ დაწესებულებებში საღამოობით მუშაობენ მეფის დროის ყოფილი ჩინოვნიკები, რომლებსაც სურთ „საქმის ხალხათ“ მოაჩვენონ ქვეყანას თავი.

რაც შეეხება კერძო დაწესებულებებს, როგორიცაა სასადილოები, სახელოსნოები და სხვა, აქ კი შრომის პირობები ირღვევა დაქირავებულის წმინდა ექსპლოატაციის მიზნით. კერძოთ არაა დაცული ნოქარ-შეგირდების შრომის პირობები. ხელოსნებთან შეგირდების საკითხი მეტად მწვავეთ სდგას, კერძოთ რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში, სადაც ხელოსნებისაკენ ფართო მისწრაფებაა, ხელოსნები შეგირდისათვის კანონით გათვალისწინებულ შეღავათების მიცემის მოთხოვნის დროს, შეგირდების დათხოვნით იმუქრებიან; მიუხედავად ამისა, ყოვლად დაუშვებელია ის ფაქტი, რომელიც დაუშვია ყოფილ ლეჩხუმის მაზრის მიწა-ტყის კავშირს შრომის ხელშეკრულების დადების დროს და რომელიც ითვალისწინებს შეგირდის მიერ ხელობის შესწავლისათვის 100—150 მანეთის გადახდას დამქირავებლის სასარგებლოდ.

კიდევ უფრო დიდ მნიშვნელოვანია საკითხი ბარიტის და ხე-ტყის წარმოების მუშების პირობების დაცვის შესახებ, რაც გადამჭრელ გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე.

ბარიტის მაღაროების და ხე-ტყის წარმოების (მათში ხე-ტყის სახერხი ქარხანა) მეტისმეტათ კუსტარული მოწყობილობა ჰქმნის შესაძლებლობას უამრავი უბედური შემთხვევებისას, სულ რომ არაფერი ვთქვათ დაბალ შრომის ნაყოფიერებაზე. მარტო ერთი წლის განმავლობაში აღნიშნულია უბედური შემთხვევების რიცხვი: ხე-ტყის დამზადებაზე —12, ხე-ტყის სახერხ ქარხანაში 2 და დანარჩენ 5. ამავე დროს ტექნიკურ ინსპექტორს, ან კომისიას ერთხელაც არ გაუვლია ამ წარმოებაში (ალბათ მატარებლის გამოყვანას უცდიან. რადგან ცხენით ცუდი სამგზავროა.)

როგორც ცნობილია, რაჭა-ლეჩხუმის გლეხებს მიწის ძალზე სივიწროვე აიძულებს ეძებონ სხვა სამუშაო და თუ კი რამე სამუშაოს მაზრაში ნახავენ, ყოველგვარ პირობებზე თანხმდებიან, ასეთი სამუშაო კი არის ტყის წარმოება. გლეხები ამზადებენ ხე-ტყის მასალას, რომელსაც შემდეგ წარმოებას აბარებენ მოცულობით, მაგრამ წარმოების აგენტები გლეხებს ხშირად ატყუებენ ზომაში. მაგალითად ხონის აღმასკომის წარმომადგენლებს აღმოაჩნდათ ხის საზომი, რომელიც ოც ვერშოკიან ხეს 19 ვერშოკათ ზომავდა და სხვა.

ამჟამად ხე-ტყის წარმოებაში ჩაბმულია 2000 კაცზე მეტი და მათ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. კერძოთ მოსაგვარებელია მათი ბინის საკითხი, კულტურული და სხვა ახის მუშაობის დაყენება მათში და სხ.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ არც ხე-ტყის სახერხი და არც ბარიტის წარმოებაში არაა ისეთი შრომის ნაყოფიერება, როგორიც უნდა იყოს. საინტერესოა ისიც, რომ კარგ ამინდში შრომის ნაყოფიერება ნაკლებია, ვიდრე ცუდი ამინდის დროს. ეს იმით აიხსნება, რომ წარმოების ახლო მცხოვრები მუშები, წარმოებაში მოდიან თავის მეურნეობაში მუშაობით დაღლილი და ამის გამო შრომის ნაყოფიერებაც ეცემა. ეს საკითხი უნდა შესწავლილი იქნეს და მოგვარებული ვისგანაც ჯერ არს. აღსანიშნავია აგრეთვე წარმოებაში მანქანა-იარაღების უვარგისობა და ნედლი მასალის თავის დროზე მიუწოდებლობა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების დაცემას.

შრომის დაცვის კომისიები სრულ უმოქმედობას იჩენენ ყველა წარმოება -დაწესებულებებში. ისინი მარტო ქაღალდზე არსებობენ, მაზრაში შრომის ინსპექტორობა შეთავსებული აქვს დამზღვევ სალაროს გამგეს, რომელსაც ამ საქმისათვის არაფერი არ ეძლევა—არც ხელფასის და არც მიმოსვლის საჭიროებისათვის. ამასთან ერთად იგი თითონაც საკმაოდ დატვირთულია. ამიტომ შრომის დაცვის საქმის მოუგვარებლობა ბუნებრივათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ თუ ასეთი მდგომარეობა იყო დღემდე, მომავალში არ შეიძლება ასე დარჩეს. შრომის კომისარიატმა და პროფკავშირებმა ეს საკითხი კარდინალურად უნდა დააყენონ და დადებითათ გადასწყვიტონ.

მუშა-მოსამსახურეებზე ხელფასის თავის დროზე დარიგება აგრეთვე საკმაოთ სერიოზული საკითხია და სწორეთ ეს საკითხი რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთათვის ყველაზე მტკივნეული ადგილია. ადგილობრივი ბიუჯეტით ხელფასის დავალიანება 3 თვით, თითქმის სისტემატიურია, არის კიდევ შემთხვევა, როდესაც თემის ცალკე მუშაკებს მიუღებელი აქვთ ექვსი თვის ხელფასიც. განა ასეთ პირობებში შეიძლება ლაპარაკი კავშირის წევრთა შორის რაიმე პროფმუშაობაზე, იმ მუშა-მოსამსახურეებთან, რომლებსაც სამი თვის ხელფასი არ მიუღიათ? ეს გარემოება ძალზე აბრკოლებს პროფ-მუშაობასაც და შრომის ნაყოფიერებასაც. ხელფასის ასეთი დავალიანება გამოწვეულია იმით, რომ ადგილობრივი ბიუჯეტი დეფიციტიანია და გათვალისწინებული სახელმწიფო დახმარება მას თავის დროზე არ ეძლევა. ამ საკითხის მოგვარებაც უთუოთ დროულია და შესაძლებელიც.

ბოლოს აღვნიშნავთ თვით სოციალურ დაზღვევის დეფექტებსაც. იმ დროს, როცა მთელს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ეს საკითხი სრულიად მოგვარებულია, ჩვენს მაზრაში ესეც ძალზე მოიკოჭლებს. დაზღვეულები ხვედრ თანხას ექვს თვეობით და ზოგჯერ წლობით უცდიან და ვერ ღებულობენ. ხშირია შემთხვევა, როცა დაზღვეულს თხოვნა და დამზღვევ სალაროში სიარული ბეზრდება და სრულიად უარს ამბობს მასზე. ყველაფერი ეს აიხსნება სალაროში ფულის მარაგის უქონლობით და მისი ძალზე დეფიციტიანობით. ყველასათვის ცნობილია, რომ რაჭველი გლეხები უმთავრესად მაზრის გარეთ მიდიან სამუშაოთ (1926 წლის აღწერით, 12 დეკემბრისათვის სარეწაოზე გასული აღმოჩნდა მარტო რაჭიდან 19.500 კაცი, რაც შეადგენს მთელი მოსახლეობის 20 პროც.). ამათი დასაზღვევი თანხა შედის კავშირის სხვადასხვა კუთხის სალაროებში, ხოლო მათი ოჯახის წევრების და მათთვისაც საექიმო და სხვა დახმარების მიცემა უხდება რაჭის სალაროს. ამ მხრივ რაჭა-ლეჩხუმის დამზღვევი სალარო გამონაკლის მდგომარეობაშია მთელ საქართველოში.

ამნაირათ, სოცდაზღვევის საქმე რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში—მისი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, დაწვრილებით შესწავლას და განსაკუთრებულ ღონისძიებათა გატარებას საჭიროებს, რაც სოცდაზღვევის მთავარმა სამმართველომ უნდა იკისროს.

შ. ჭელიძე.

მოსკოვისა და თბილისის სამეცნიერო ძალების დაახლოვება

სამეცნიერო მუშაკთა თათბირი სახელმწიფო უნივერსიტეტში

გუშინ, დილით სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფ. ქ. კეკელიძის თავმჯდომარეობით შესდგა ადგილობრივ სამეცნიერო ძალთა თათბირი, რომელზედაც დასმული იყო საკითხი მოსკოვის ზოგიერთ სამეცნიერო ძალებთან მუდმივი კავშირის დამყარების შესახებ. თათბირმა მოისმინა საკავშირო ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის მსწავლული მდივნის ამხ. ს. ამაღლობელის საინფორმაციო მოხსენება ამავე აკადემიასთან არსებული ქართული განყოფილების მუშაობის შესახებ.

ამხ. ამაღლობელმა თათბირს აცნობა, რომ ივლისის პირველ რიცხვებში საქართველოში ჩამოვა სპეც. ეთნოგრაფ. ექსპედიცია. ექსპედიციას განზრახვა აქვს შეისწავლოს მთლიანად მთელი საქართველო, გაეცნოს მის კულტურულ ცხოვრებას, ხელოვნებას, ხალხის ზნე-ჩვეულებებს, ყოფა-ცხოვრებას და სხვ. აღნიშნული მუშაობის ჩასატარებლად ექსპედიციას დასჭირდება საქართველოს სამეცნიერო ძალების დახმარება და რჩევა.

მეორე საკითხი, რომელშიაც საჭირო იქნება საქართველოს სამეცნიერო ძალების დახმარება, არის—ქართული კულტურის კვირეულის ჩატარება მოსკოვში. ქართული კულტურის კვირეულის მოწყობის ინიციატორია ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის ქართული განყოფილება. კვირეული ჩატარებულ იქნება ოქტომბრის 1-ლი რიცხვებიდან. კვირეულის განმავლობაში გაიმართება, როგორც პოპულიარული, ისე მეცნიერული ხასიათის მოხსენებები საქართველოს კულტურული ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე. კვირეულის ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის მუშაკები და მოსკოვის ცნობილი სამეცნიერო ძალები.

კვირეულისათვის შესაფერი მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად უკვე გამოყოფილია კომისია ამხ. დ. კანდელაკის მეთაურობით. აღნიშნულ კომისიასთან ერთად მომხსენებელს წინადადება შემოაქვს სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსდეს სპეციალური ბიურო, რომელიც ერთის მხრივ მუდმივ კავშირს იქონიებს საკავშირო ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიასთან, ხოლო მეორის მხრივ მონაწილეობას მიიღებს ქართული კულტურის კვირეულის პროგრამის დამუშავებაში.

დასასრულ, ამხ. ამაღლობელმა აღნიშნა, რომ ხელოვნების მეცნიერებათა აკადემია ახლო ხანში შეუდგება საბჭოთა კავშირში მოსახლე ეროვნებათა კულტურული ცხოვრების შესახებ იაფ-ფასიანი ბიბლიოთეკის გამოცემას. კერძოდ, განზრახულია გამოიცეს წიგნები საქართველოს მწერლობაზე, ხელოვნებაზე და მეცნიერებაზე. გარდა პოპულიარული წიგნებისა, განზრახულია ღირსშესანიშნავ მეცნიერულ ნაშრომთა გამოცემაც.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს პროფ. გ. ახვლედიანმა, პროფ. კეკელიძემ და სხვ. რის შემდეგაც თათბირმა გამოყო მუდმივი ბიურო, რომელსაც დაევალა მუშაობა, როგორც მოსკოვის სამეცნიერო ძალებთან დასაკავშირებლად, ისე ყველა სხვა საკითხების მოსაგვარებლად.

ბიუროში შედიან: პროფ. ჩუბინიშვილი (თავმჯდომარე), პროფ. ქ. კეკელიძე, პროფ. შ. ნუცუბიძე, პროფ. ა. შანიძე და დოც. ს. ხუნდაძე. გარდა ამისა ბიუროში იმუშავებს პროფ. გ. ახვლედიანი, როგორც სამეცნიერო მუშაკთა სექციის წარმომადგენელი.

ა.-კ. ცაკში

ლატარიების აკრძალვა

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, აკრძალულია ყოველგვარი ლატარიების მოწყობა ცაკის განსაკუთრებული ნებართვის გარეშე.

საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ გაუქმებულ იქნეს 1925 წლიდან გაცემული ლატარიის მოწყობის ნებართვები.

ყოფილ უპატრონო ბავშვთა შრომითი კომუნები

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო, რომ ყოფილ უპატრონო ბავშვთათვის მოწყობილი იქნეს სახელმწიფო შრომითი კომუნები, რომლებიც ფინანსიურად უზრუნველყოფილი უნდა იქნან საკავშირო ბიუჯეტით, ხოლო ოპერატიულად უნდა ექვემდებარებოდნენ ადგილობრივ შრომის სახ. კომისარიატს.

საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ პირველი ასეთი კომუნა მოეწყოს ბაქოში, სადაც მოთავსებული უნდა იქნენ 16 წელზე უფრო ხნიერი უპატრონო ბავშვები.

საძოვრების საიჯარო გადასახადი

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, საზამთრო და საზაფხულო საძოვრებზე დატოვებულია საიჯარო გადასახადის ძველი ნორმები.

ხელფასი და შტატები 1928 წელში

საქართველოს სახელმწიფო საფინანსო კონტროლმა დაამთავრა ხელფასისა და შტატების მდგომარეობის გამოკვლევა სხვადასხვა საბჭოთა დაწესებულებებში. აღნიშნულ გამოკვლევას სახელმწიფო კონტროლი ატარებდა საქართველოს პროფსაბჭოს დავალების თანახმად.

გამოკვლევამ დაადასტურა, რომ 1928 წლის განმავლობაში საბიუჯეტო დისციპლინა ყველა საბჭოთა დაწესებულებებში და უწყებებში თვალსაჩინოდ განმტკიცდა.

ხელფასის მდგომარეობის გამოკვლევისას კი აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ დაწესებულებათა ხელმძღვანელები თავისი ნებასურვილით ადიდებენ შტატებს და არ იცავდნენ ე. წ. საწარმოო ნორმებს, ასე, მაგალითად, ადგილი ჰქონდა ზოგიერთ დაწესებულებებში ცალკე თანამშრომელთათვის ხელფასის მომატებას და პირიქით, ზოგიერთათვის დაკლებას. ხელფასისა და შტატების გადიდებას ადგილი ჰქონდა— მიწად - მოქმედების სახალხო კომისარიატში, საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში, ჯანმრთელობის კომისარიატში და სხვ. ხელფასის დაკლებას კი ადგილი ჰქონდა ფინანსთა კომისარიატში და სხვ. საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა გამოკვლევით შეგროვილი მასალები და დაადგინა:

სისტემატიურად სწარმოებდეს ხელფასის ფონდის ხარჯვის კონტროლი ყველა დაწესებულებებში და უწყებებში. ის პირები, ან იმ დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სადაც ადგილი ექნება საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევას და ე. წ. საწარმოო ნორმების დარღვევას, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში. ამასთანავე გადაწყვეტილია, რომ იმ დაწესებულებათა ხელმძღვანელები, რომლებიც თავისი განკარგულებით მოუკლებენ ან მოუმატებენ თანამშრომლებს ხელფასს, პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენი.

მშენებლობა ტყვარჩელში

სოხუმი, 23 ივნისი. აფხაზეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს აცნობეს, რომ მაისის დამლევს ტყვარჩელში ჩამოვიდა საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს „გლავგორტოპ“-ის კომისია, რომელიც გაეცნო ტყვარჩელის მშენებლობის საორგანიზაციო ბიუროს მუშაობას და მშენებლობის პროექტს. ეს უკანასკნელი კომისიამ დამაკმაყოფილებლად სცნო საესკიზო პროექტის შესადგენად. კომისიამ აღნიშნა აგრეთვე, რომ იმ კვლევაძიებამ, რომელსაც აწარმოებდნენ გეოლოგთა კომიტეტი, „იუგოსტალი“ და საორგანიზაციო ბიურო მეორე და მესამე უბანში, აშკარა გახადა, რომ ტყვარჩელის ქვა-ნახშირს სამრეწველო ხასიათი აქვს.

ცალკე მოედნების შესახებ დამატებითი ცნობების მისაღებად საჭიროდ იქნა ცნობილი სასწრაფოდ დაიწყოს სამი ახალი ჭაბურღილის თხრა.

გარდა ამისა, განზრახულია ფენების გამოსავალის გაწმენდა საექსპლოატაციო მღვიმეების ადგილების გამოსარკვევად. „გლავგორტოპ“-ის კომისიამ გადასწყვიტა — დაიჩქაროს ტყვარჩელის მშენებლობა. ამასთან დაკავშირებით, სასწრაფოდ მზადდება საიმპორტო მოწყობილება, რომელიც საჭიროა პირველ სამუშაოებისათვის. აკარმარის მინდორზე აგებული იქნება საცხოვრებელი ბინები, დროებითი ჰიდროსადგური, ხე-ტყის სახერხი ქარხანა და სახელოსნოები. პროექტის შესადგენად საჭირო ტოპოგრაფიული სამუშაოები დამთავრდება 15 აგვისტოსათვის. (ადს).

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმში

გუშინ. ამხ. ვ. ავაქოვის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც გაზაფხულის თესვის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გორდელაძემ.

გაზაფხულის ნათესების სივრცე, განაცხადა მან, დირექტივების თანახმად უნდა გაგვეფართოებია 8 პროცენტით, მაგრამ ამის შესრულება ვერ მოხერხდა. სივრცე გადიდებული იქნა 4 პროცენტით. ამის უმთავრესი მიზეზია ის გარემოება, რომ სათესლე მასალა დროზე და სამყოფი ვერ მივაწოდეთ ადგილებს და აგრეთვე ადგილობრივ ხელისუფლების სუსტი მუშაობა.

გეგმით მაზრისათვის უნდა მიგვეწოდებია 74.000 ფუთი თესლი, მივაწოდეთ მხოლოდ 14.000 ფუთი ხორბლეული გლეხებისათვის სათესლე მასალაზე გადასაცვლელად. მუშასაქონლის შესაძენად და სახვა საჭიროებისათვის ულარიბეს გლეხებს შორის განაწილებული იქნა 21.000 მანეთი, გეგმით კი გაცილებით მეტი იყო გათვალისწინებული. ვერც საქონლის საკვები მივაწოდეთ მაზრას.

რაც შეეხება სასოფლო - სამეურნეო მანქანებს, მაზრაში სულ განაწილებულია 219 გუთანი, 26 სათესი, 14 სარკვევი, 55 ფარცხი, 4 კულტივატორი, 3 ტრაქტორი და სხ. მაზრაში შეკეთებული იქნა ყველა სას.-სამ. იარაღები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მანქანების გამოყენება ბევრ ალაგას არ სწარმოებდა მიზანშეწონილად. მაგ.: სას.-სამ. საკრედიტო ამხ-ბები არა წევრებს არ ახმარდნენ მანქანებს.

გაზაფხულზე დაარსდა 58 ახალი კოლექტიური მეურნეობა. საერთოდ დახმარება თესვის დროს პირველ რიგში ეძლეოდა კოლმეურნეობებს და ულარიბეს გლეხებს.

გეგმით უნდა გაგვეწმინდა 50.000 ფუთი თესლი, გაწმენდილ იქნა 141.000 ფუთი. სამწუხაროდ, თესლის მოწამვლა ვერ იქნა ჩატარებული სათანადოთ, ფორმალინის თავის დროზე მიუღებლობის გამო.

კონტრაქტაცია ჩატარებულია 2.380 ჰექტარზე. აგრო-დახმარება დამაკმაყოფილებლად სწარმოებდა. მიუხედავათ ამ დეფექტებისა, მაზრაში წელს გაცილებით მეტი რაოდენობით დაითესა მიწები, ვიდრე გასულ წელს. ნათესები საუკეთესოა და მოსავალი საშუალოზე მეტი იქნება.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რის დროსაც აღნიშნული იქნა გაზაფხულის თესვის დეფექტები. კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ თესვის გეგმის რეალურ საფუძვლების გარეშე შედგენას, სუსტ ხელმძღვანელობას ადგილებისათვის, თავის დროზე ზომების მიუღებლობას და სხ.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებული იქნა შესაფერისი რეზოლუცია.

საზოგადოებრივი კვება

საზოგადოებრივ კვების შესახებ მოხსენება გააკეთა პროფ. ამირეჯიბმა.

მომხსენებელმა ვრცლად შეეხო საზოგადოებრივი კვების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ამ მხრივ თბილისში ყოვლად უვარგისი პირობებია. სანიტპროფილაქტიურ ინსტიტუტის გამოკვლევით თბ. არსებული სასადილოები, წყალი, ხელოვნური სასმელები, ბაზრები და სხ. ანტი-სანიტარულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

188 გამოკვლეულ სასადილოდან ერთიც არ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელ პირობებში. გარდა იმისა, რომ მათი უმრავლესობა მოთავსებულია შეუფერებელ ბინებში, კერძებიც ცუდი ღირსებისაა. შედარებით სუფთათ და კარგ ბინებშია მოთავსებული კოოპერ. სასადილოები. მაგრამ სამზარეულოები არც მათ უვარგათ, საჭმელები მოკლებულია ნოყიერებას.

როგორც კერძო, ისე კოოპერ. სასადილოებში სადილების სიძვირის გამო მშრომელთა დიდი ნაწილი სადილობს სახაშეებში, ხაში ორგანიზმს ვერ კვებავს საჭირო რაოდენობის კალორიით.

თბილისის ბაზრებიც პირველყოფილ მდგომარეობაშია, საშინელ უსუფთაო პირობებში იყიდება საკვები პროდუქტები. ხელოვნური წყლები მზადდება სახარინით და ამასთანავე ინახავენ ცუდ ჭურჭლებში.

საერთოდ მომხსენებელმა მოიყვანა მთელი რიგი დეფექტების, რომლებიც ახასიათებს საზოგადოებრივ კვებას, რის გამო გავრცელებულია კუჭ-ნაწლავებით დაავადების შემთხვევები.

საზოგადოებრივ კვების მოსაწესრიგებლად პრეზიდიუმმა დაადგინა: დაწესდეს საკავშირო კვების საქმის რწმუნებულის თანამდებობა, დაარსდეს კვების ერთი დიდი საპაიო საზ-ბა, კვების დარგის მუშაკთათვის მოეწყოს სანიტ ჰიგიენური პირობების შემსწავლელი კურსები, ამავე დარგის მუშაკთა ახალი კადრის მოსამზადებლად გაიხსნება რამდენიმე სპეციალური სკოლები, სასადილოები თანდათანობით მოთავსებული იქნება შესაფერ ბინებში. გარდა ამისა, პრეზიდიუმმა დაადგინა მიღებული იქნას სასტიკი ზომები სამზარეულოებში სანიტპირობების დასაცავად, საღი კერძების დასამზადებლად და მათ გასაიაფებლად, წარმოებებთან გაიხსნება სპეციალური სასადილოები, ამასთანავე მიღებული იქნება ზომები ბაზრების კეთილმოსაწყობათ, ცუდი პროდუქტების გაყიდვის წინააღმდეგ, კუჭ-ნაწლავების სენით შეპყრობილთა სამკურნალოს დასაარსებლად და სხ.

ნორვეგიის სამთამადნო მუშათა დელეგაცია თბილისში

24 ივნისს დილით თბილისში ჩამოვიდა ნორვეგიის სამთამადნო მუშათა დელეგაცია.

დელეგაცია ამ ერთი კვირის წინეთ ჩამოვიდა ლენინგრადში. თბილისში დელეგაციამ ინახულა საქართველოს სამთამადნო მუშათა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა, რომლის ხელმძღვანელებთან დელეგაციის წევრებს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ სამთამადნო მუშების პროფესიონალური ცხოვრების საკითხებზე. თბილისიდან დელეგაცია მიემგზავრება უკრაინაში და შემდეგ ურალის მხარეში.



დელეგაციის წევრები: 1. ალფრედ ბენიამინსენ, 2. იოჰანეს ტურსტად, 3. ინგვალდ კნუდსენ.

დელეგაციაში შედიან ნორვეგიის თუჯის მადნეულობის სამრეწველო რაიონის მუშათა წარმომადგენელი აფრედ ბენიამინსენ; თუთიის სამრეწველო რაიონის მუშათა წარმომადგენელი ინგვალდ კნუდსენი და სხვა დარგების შავი მუშების დელეგატი იოჰანეს ტურსტადი.

საუბარი დელეგაციის წევრებთან

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში დელეგატებმა განაცხადეს:

— განსხვავება საბჭოთა კავშირის სამთამადნო მუშების მდგომარეობასა და ნორვეგიის სამთამადნო მუშების მდგომარეობას შორის ჩვენის დაკვირვებით ძალიან დიდია. ნორვეგიის სამთამადნო მრეწველობაში ამჟამად ადგილი აქვს მწვავე უმუშევრობას. მარტო შავ მუშა-უმუშევრების რიცხვი აღემატება 50 ათას კაცს, რაც თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ნორ. მოსახლეობის საერთო რიცხვი ძლივს აღწევს 3 მილ-დე, ძალიან დიდი ციფრია. უმუშევრებს დახმარებას აძლევენ მხოლოდ კომუნალური დაწესებულებები, მაგრამ ეს დახმარება ფაქტიურად არაფერს არ ნიშნავს. საბჭოთა კავშირში კი ამ მხრივ სამთამადნო მუშების მდგომარეობა გაცილებით უკეთესია. გარდა ამისა, რამდენადაც ჩვენ გავეცანით საბჭოთა კავშირს, სამთამადნო მრეწველობაში აქ უმუშევრობას არა აქვს ისეთი ხასიათი, როგორც ჩვენში.

ნორვეგიაში დაბრუნებისას ჩვენ ვაცნობებთ ნორვეგიელ მუშებს ყველაფერ იმას, რაც ვიხილეთ საბჭოთა კავშირში და გადავსცემთ თუ როგორ იბრძვის და მუშაობს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ახალი ცხოვრების შესაქმნელად.

დღეს დილით ნორვეგიის მუშათა დელეგაცია საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრება უკრაინისაკენ.

ა.-კ. სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზ-ბის რწმუნებულთა მე-9 ყრილობა

პირველი სხდომა

23 ივნისს, საღამოს ახალგაზრდა მაყურებელთა რუსულ სექტორის თეატრში გაიხსნა ა.-კ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების რწმუნებულთა მე-9 ყრილობა.

პრეზიდიუმის არჩევის და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ყრილობამ მოისმინა მისალმებები.

ა.-კ. მთავრობის სახელით ყრილობას მიესალმა ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბეგზადიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაცია დღითი-დღე ფართოვდება და საცალო ბაზრიდან თითქმის სავსებით განდევნა კერძო კაპიტალი. ამასთანავე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქონლის განაწილების საქმე სამომხმარებლო კოოპერაციას ჯერ-ჯერობით ვერა აქვს დაყენებული სათანადო სიმაღლეზე მართალია ჩვენი სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის პროდუქცია დღითი-დღე იზრდება, მაგრამ უფრო სწრაფად იზრდება მოსახლეობის მყიდველობითი უნარიანობა, და ამ ორ მომენტს შორის სრული წონასწორობა დამყარებული იქნება მხოლოდ ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის შესრულების შემდეგ. ამ პერიოდში კი სანამ ჩვენს ბაზრაზე ადგილი აქვს ზოგიერთ სამომხმარებლო საქონლის ნაკლებობას, სამომხმარებლო კოოპერაცია ვალდებულია საქონლის არსებული მარაგი მიზანშეწონილად გაანაწილოს მოსახლეობის შორის და ამრიგად ხელი შეუწყოს მთლიან სახალხო მეურნეობის ნორმალურ განვითარებას.

ლენრაიონის პიონერ ორგანიზაციათა სახელით ყრილობას მიესალმა პიონერი ინაშვილი.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა საკავშირო სატრანსპორტო სექციის წარმომადგენელ ამხ. ჟიტკოვის მოხსენება საკავშირო სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებათა მუშაობის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მიუხედავად სამომხმარებლო საგნების სიმცირისა, სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების ბრუნვა წლითი-წლამდე იზრდება. 1926—27 წელში სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოებათა ბრუნვა უდრიდა 585 მილიონ მანეთს, ხოლო 1927—28 წელში 777 მილიონ მანეთს. 1927—28 წელში სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოებების მიერ უშუალოდ დამზადებულ იქნა მათ მიერ გასაღებული საქონლის მთელი რაოდენობის 58 პროცენტი.

მიმდინარე წლის გეგმით საზოგადოებებს უნდა შეექმნათ 330 მილ. მანეთის საქონელი. აქედან ნახევარი წლის განმავლობაში შექმნილია 150 მილიონ მანეთის საქონელი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მიუხედავად საზოგადოებათა სავაჭრო ოპერაციების ზრდისა, საზოგადოებებს ჯერ კიდევ საკმაოდ ვერა აქვთ დაპყრობილი რკინისგზელ მუშა-მოსამსახურეთა ბიუჯეტი.

საზოგადოებრივი კვების საქმე მიმდინარე წლამდე ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე წელს მიღებულია გადამჭრელი ზომები ამ საქმის მოსაგვარებლად. ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯები შემცირებულია 17 პროცენტით. ფასების შემცირება უფრო ინტენსიურად სწარმოებდა 1926—27 წელში ვიდრე 1927—28 წელს. 1927—28 წელი საზოგადოებებმა დაამთავრა 10.787 ათას მანეთის მოგებით.

მიმდინარე წელს სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებები კაპიტალურ მშენებლობაზე დახარჯავენ 6.867 ათას მანეთს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კოოპერატორთა ახალი კადრების მომზადებას და კოოპერატორთა არსებულ კადრების გადამზადებას.

მეორე სხდომა

ყრილობის მეორე სხდომაზე, 24 ივნისს, დილით, მოსმენილი იქნა „ზაკტიოუზ“-ს წარმომადგენელ ამხ. კურსელის საინფორმაციო მოხსენება „ზაკტიოუზ“-ის მუშაობის შესახებ.

შემდეგ ა.-კ. სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზ. გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. აკიმოვმა გააკეთა საანგარიშო მოხსენება გამგეობის მუშაობის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის საზოგადოებაში შეკავშირებული იყო 33.966, ხოლო 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის—41.461 რკინისგზელი მუშა-მოსამსახურე, რაც შეადგენს რკინისგზელთა მთელი რაოდენობის 87,4 პროცენტს. გეგმის მიხედვით საანგარიშო პერიოდში—1927—28 წელში საზოგადოებას უნდა დაემზადებია 13.005.800 მანეთის საქონელი, ფაქტიურად კი დამზადებულია 15.092.600 მანეთის, ე. ი. გეგმა შესრულებულია 16 პროცენტის გადამეტებით. 1926—27 წელს ა.-კ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზ. საქონლის ბრუნვა უდრიდა 12.031.255 მანეთს, 1927—28 წელს კი 18.075.866 მანეთს, ე. ი. ბრუნვა გადიდებულია 50 პროცენტით. 1926—27 წელს საზოგადოებას განაწილებული ქონდა წევრთა შორის 1.227.827 მანეთის პური. 1927—28 წელს კი გაანაწილა 2.856.612 მანეთის პური. საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებმა წლის განმავლობაში საზოგადოებას მისცეს 30878 მან. ზარალი. საანგარიშო პერიოდში საზოგადოების სავაჭრო ხარჯები უდრის 2.027.477 მანეთს. საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ადმინისტრატიულ სამმართველო ხარჯები შემცირებულია 33.478 მანეთით, ე. ი. 11,44 პროცენტით. საზოგადოების საპაიო თანხა უდრის 143.800 მანეთს, საბრუნავი თანხა 4.209.500 მანეთს. საზოგადოების განკარგულებაში იმყოფებოდა მოკლევადიანი სესხი 2.864.400 და გრძელვადიანი—318.500 მანეთი. საზოგადოების ნასესხები თანხები უდრიდა სულ 3.182.900 მანეთს, საკუთარი თანხები 1.471.200 მანეთს. (აქედან ბრუნვაში 1.026.500 მანეთი). ცოცხალ ბრუნვაში საზოგადოებას ქონდა მთელი თანხების 90,44 პროცენტი.

1928 წლის 1 ოქტომბრისათვის საზოგადოების თვითეულ საკუთარ მანეთზე მოდიოდა 2 მან. 17 კაპ. ნასესხები, 1929 წლის 1 აპრილს კი საკუთარ მანეთზე მოდიოდა 1 მან. 90 კაპ. ნასესხები თანხა. საანგარიშო პერიოდში საზოგადოების მოგება უდრის 524.619 მანეთს. 1927—28 წელში საზოგადოებამ ნაგებობათა შეკეთებაზე დახარჯა სულ 127.000 მან.

ამხ. აკიმოვის მოხსენების შემდეგ მოსმენილი იქნა მთავარი ბუღალტერის ტარბეევის ფინანსიური ანგარიში.

ოთხშაბათს, 26 ივნისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა სასახლის დიდ დარბაზში მოწვეულია

საქ. პროფკავშირთა საბჭოს

საერთო საქალაქო პლენუმი

კავშირების ცენტრალურ გამგეობის და საფაბრიკო საქარხნო კომიტეტების წევრთა მონაწილეობით

დღის წესრიგში სდგას ამიერ - კავკასიის პროფსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. კუზნეცოვის მოხსენება საკავშირო ცენტრალურ პროფ საბჭოს მე-2 პლენუმის შედეგების შესახებ.

სავალდებულოა საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმის, კავშირების ცენტრალურ გამგეობების და საფაბრიკო საქარხნო კომიტეტების წევრთა დასწრება.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი.

ქრონიკა

მისალმება ამხ. მამია ორახელაშვილს

ამხ. მამია ორახელაშვილის სახელზე სიღნაღიდან მიღებულია შემდეგი მისალმებელი დეპეშა:

თქვენი სახელობის კახეთის კოოპერატიული ტეხნიკუმის მიერ კოოპერაციის ტეხნიკოსთა პირველი გამოშვების გამო ტეხნიკუმის პედაგოგიური საბჭო და კურსდამთავრებული მსმენელები, თქვენი სახით მხურვალედ ვესალმებით კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას. კურსდამთავრებული მშრომელი ახალგაზრდობა შეიარაღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნით ფიცს ვსდებთ, რომ მთელი ჩვენი ახალგაზრდული ენერგიით ჩავებმებით სოციალისტურ მშენებლობაში.

ამხ. ელიავა ფოთში

24 ივნისს ფოთში ჩავიდა ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ელიავა. მისი ჩამოსვლის მიზანია სამუშაოების დათვალიერება კოლხეთის დაბლობში.

ბაქო-ბათომის ნავთსადენის სამუშაოები

თბილისში ჩამოვიდა პროფ. ვასილიევ-ლოგინოვი, რომელიც მოწვეულია „აზნევტის" მიერ ბაქო-ბათომის ნავთსადენის შესამოწმებლად. პროფ. ვასილიევ-ლოგინოვს დავალებული აქვს გამოიკვლიოს ნავთსადენის მდგომარეობა მთელ მანძილზე და გამოარკვიოს, თუ რომელ რაიონებში იქნება საჭირო ნავთსადენის მილების ისე დაწყობა, რომ არ დაიჟანგონ და ან რა საშუალებით უნდა მოეწყოს მილების იზოლიაცია.

პროფ. ვასილიევ-ლოგინოვმა მუშაობა უკვე ჩაატარა ბაქოდან ევლახამდე და ამ დღეებში შეუდგება ნავთსადენის ხაზის შესწავლას თბილისიდან ბათომამდე.

უცხოეთის ფირმის წარმომადგენელის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა უცხოეთის საკონცესიო საზოგადოების „ლეონდრეზდენის" დირექტორი ბ. რაცი. მას განზრახვა აქვს მოაგვაროს საკითხი დასახლებული საზოგადოების განყოფილების გასახსნელად ამიერ-კავკასიაში.

პროფ. ვალდენის მოხსენება

25 ივნისს საღ. სრულ 8 საათზე ხელოვანთა სასახლეში საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის საჯარო სხდომაზე ცნობილი გერმანელი პროფესორი, მწერალი, საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების თავმჯდომარე **გერმან ვალდენი** გააკეთებს მოხსენებას თანამედროვე გერმანული რევოლუციონური პროლეტარული ხელოვნების შესახებ. მოხსენების შემდეგ მოხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა. შესვლა თავისუფალია.

დანიშვნები

ამხ. კ. ოდილავაძე დაინიშნა თბილისის აღმასკომის თავმჯდომარის მეორე მოადგილედ და კომუნალურ განყოფილების გამგედ. საფინანსო განყოფილების გამგედ დაინიშნა სატრანსპორტო - სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. აკიმოვი.

მელითონეთა კლუბი ზაჰესში

29 ივნისს ზაჰესში მელითონეთა კავშირი ხსნის თავის წევრებისათვის ახლად მოწყობილ კლუბს. კლუბს აქვს სათეატრო დარბაზი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო და სხვა.

საქ. პროფსაბჭოს პლენუმი

10 ივლისისათვის მოწვეულია საქართველოს პროფსაბჭოს რესპუბლიკანური პლენუმი შემდეგი დღის წესრიგით:

განათლების სახ. კომისარიატის 55 წლიანი გეგმა, ახალი კადრების შესახებ, პროფკავშირების მუშაობა სოფლად, სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობის შესახებ და ხუთწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრები 1929—30 წლისათვის.

ჟურნალისტების კუთხე მუშათა ახალ კლუბში

მბეჭდავთა კავშირი მუშათა ახალ კლუბში აწყობს ჟურნალისტების კუთხეს. ოთხშაბათს, 26 ივნისს, კუთხეში შესდგება ინფორმაციის მუშაკთა პირველი კრება. განსახილველია ჰონორარის საკითხი.

ა.-კ. კოლმეურნეობათა ბიურო

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპ. კავშირთან ჩამოყალიბდა კოლმეურნეობათა ბიურო, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს კოლმეურნეობათა მშენებლობას ამიერ-კავკასიაში.

შემოდგომის მატყლის დამზადება

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილებით შემოდგომის მატყლის დამზადება დაევალა ა.-კ. სას. სამ. კოოპ. კავშირს, რომელიც ამ ოპერაციას ჩაატარებს რესპუბლიკანურ სას.- სამ. კოოპერაციების საშუალებით.

სამკურნალო მცენარეულობის დამზადება - რეალიზაცია

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა მიზანშეწონილად სცნო მოწყობილ იქნას საკავშირო სააქციო საზოგადოება, რომელსაც დაევალება სამკურნალო მცენარეულობის დამზადება - რეალიზაციის წარმოება.

სამინდე გადასახადი

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა 1929—30 წლისთვის შეიმუშავა სამინდე გადასახადის აკრეფის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით მთელ ამიერ-კავკასიაში სამინდე გადასახადი აკრეფილი უნდა იქნას 2.200 ათასი ფუთის რაოდენობით. აქედან აზერბეიჯანში აიკრიფება 850 ათასი, სომხეთში 500.000 და საქართველოში 650.000 ფუთი ხორბლეული (195.000 ფუთი ხორბალი, 51.000 ფუთი ქერი და 400.000 ფუთი სიმინდი).

თბილისის აღმასკომში

— **ახალი სახლები.** თბილისის აღმასკომი ჟორესის ქუჩაზე აგებს 2 ახალ სამსართულიან სახლს.

— **ქართულ მე-2 დივიზიის** საზაფხულო ბანაკის საჭიროებისათვის თბ. აღმასკომმა გადასდო 18.777 მ.

— **ნადიროვკას დაგეგმვა.** თბ. აღმასკომმა დაადგინა მოახდინოს ნადიროვკას დაგეგმვა. ამავე დადგენილებით ნადიროვკაში აკრძალულია სახლების უგეგმოდ აშენება.

— **სახლების აღრიცხვა.** აღმასკომის დადგენილებით ახლო ხანში ჩატარებული იქნება სახლების ხელახალი აღრიცხვა და მათი შეფასება.

სხვადასხვა

◆ **არტელის დაშლა.** მ.-გ. ინსპექციის დადგენილებით დაიშალა დამკრძალავი ბიურო „დაფნა".

◆ **დღეს, 25 ივნისს, საღამოს 6 საათზე** საქ. სას.-სამეურნეო მუზეუმის შენობაში (ჯორჯიაშვილის ქ. № 5) სას. და ტყის მეურნ. მუშაკთა კავშირთან არსებული აგრონომიული სექცია აწყობს საქ. საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-ს მიერ მოწვეულ სრულიად საკავშირო გამოყენებითი ბოტანიკის და ახალი კულტურების ინსტიტუტის პროფ. **ფ. მაკაროვიჩის** მოხსენებას შემდეგ თემაზე: **„ექსპედიცია შორეულ აღმოსავლეთში"** (კუნძული იავა, ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი, ცეილონი და პალესტინა).

◆ **ქირურგთა კონფერენცია.** ქირურგიული კლინიკების დოსტაქართა კონფერენციის სხდომა, რომელიც უნდა შემდგარიყო კვირას, 23 ივნისს, შესდგება ოთხშაბათს, 26 ივნისს, შუადღის 12 საათზე ჰოსპიტალურ ქირურგიულ კლინიკაში (ყოფ. მიხეილის საავადმყოფო). დღის წესრიგი რჩება იგივე.

◆ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები: მ. ი. კალინინი— „სასოფლო მეურნეობის განვითარების გზები და საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება საშუალო გლეხისათვის", გამოცემა სახელგამის. —„საქართველოს სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ელემენტები"—გამოცემა საქ. საგეგმო კომისიის.

სასამართლო

დახვრეტა ყაჩაღს

ნიკო ივანეს ძე სვიმონიშვილს, რომელმაც ა.-წ. აპრილში სოფ. საყდრიონში დაარბია ღარიბ-ღატაკი ცოლ-ქმარი **ვანო და ნინო დელიძეები** და წაართვა მათ ერთი უღელი ხარის ფასად აღებული ფული, თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოს სესიამ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი დახვრეტა.

მსჯავრდადებულმა განაჩენი გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. უკანასკნელმა გუშინ განიხილა სვიმონიშვილის საქმე. სვიმონიშვილის საჩივარი დატოვებულ იქნა უშედეგოდ.

უზენაეს სასამართლომ მაზრა-ქალაქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

მსჯავრდადებულმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე შეწყნარების შესახებ.

მიწის გულისთვის

ამბავი მოხდა ა.-წ. 12 მაისს სოფელ ნადოკრაში (თბილისის მაზრა).

კომკავშირელი **ლადო იობის ძე ბუჯიაშვილი** და მისი მამა წაეკიდნენ თავიანთ ნათესავებს **პეტრე და ნიკო ბუჯიაშვილებს** მიწის გულისთვის.

ლადოს მამამ ბუჯიაშვილების წინააღმდეგ საჩივარი აღძრა სასამართლოში სადავო ადგილის შესახებ, მაგრამ იობის პრეტენზიები უკანონოდ სცნო სასამართლომ.

სასამართლოში საქმის წაგებამ ძალიან ცუდ გუნებაზე დააყენა როგორც იობი, ისე მისი შვილი ლადო. ისინი მუქარას უთვლიან პეტრეს და ნიკოს: „თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებიათ, ფეხი არ დადგათ სადავო ადგილზეო".

მამა და შვილმა პეტრე და ნიკო ბუჯიაშვილებმა სასამართლოს განაჩენის თანახმად ჩაიბარეს სადავო მიწა.

12 მაისს პეტრე, ნიკო და უკანასკნელის შვილი ვასო სადავო ადგილის საზღვართან წნორის ტოტებს სჭრიდნენ, რისი უფლებაც მათ ჰქონდათ სასამართლოს განაჩენის თანახმად.

ამ დროს იქვე ჩაიარა ლადო ბუჯიაშვილმა. ბუჯიაშვილი მათ დანახვაზე აენთო, მასში გაიღვიძა მხეცური შურისძიების გრძნობამ.

ლადო ბუჯიაშვილი სასწრაფოდ გაბრუნდა სახლში, აიღო ვინტოვკა, ამოიდო პალტოში და გამოსწია ვერაგული გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად. მიუახლოვდა თუ არა სამი-ოთხი საჟენით, ლადომ გადმოიღო თოფი, გამოუმიზნა ნიკო ბუჯიაშვილს და ესროლა. ნიკოს ტყვია მოხვდა ზურგიდან, დაჭრილმა ნიკომ შეიკივლა და გაიქცა. მხეცმა ლადო ბუჯიაშვილმა ეხლა მიზანში ამოიღო პეტრე ბუჯიაშვილი. ესროლა და ტყვია თავში გაარტყა. პეტრე უსულოდ დაეცა მიწაზე.

მესამე ტყვია ლადომ დააწია დაჭრილს და გაქცეულ ნიკო ბუჯიაშვილს, რომელიც მეორე ტყვიამ ძირს დასცა. მოსაკლავად ლადო დაედევნა ვასო ბუჯიაშვილსაც, მაგრამ უკანასკნელმა მოასწრო გაქცევა და შემთხვევით თავი გადაირჩინა.

ამრიგად, ერთი ციდა მიწის გულისთვის ლადო ბუჯიაშვილმა მოჰკლა მამა და შვილი პეტრე და ნიკო ბუჯიაშვილები.

ლადო ბუჯიაშვილი გაასამართლა თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოს სესიამ ამხ. **რ. კალანდაძის** თავმჯდომარეობით.

ბრალდებულს, როგორც სოციალურად საშიშ პიროვნებას, სასამართლომ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ათი წლით სასტიკი იზოლიაციით, ხუთი წლით სამოქალაქო უფლებების აყრა, ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ ბუჯიაშვილი განდევნილი უნდა იქნეს ერწო - თიონეთის რაიონიდან 5 წლის ვადით.

საქმე გაირჩა ადგილობრივ. გლეხობა კმაყოფილი დარჩა განაჩენით.

ზერ.

შემთხვევები

დაჭრა

დიმიტრი დიმიტრის ძე მათვეევმა სალიანის ქუჩაზე დანით მძიმედ დასჭრა თავის ყოფილი ცოლი ქსენია ალექსანდრეს ასული ლევინა, რომელიც გადაიყვანეს რკ. გზის საავადმყოფოში. დამნაშავე შეიპყრეს.

მტკვარში გადავარდნა

ოჯახურ უსიამოვნების გამო გუშინწინ მესამე რაიონის ფარგლებში მტკვარში გადავარდა ნინა ვასილის ასული ჯანიბეკოვა, რომელიც გადაარჩინეს დახრჩობას.

ჯიბგირობა

ტარასი გაბისონიას (მცხ. გრაფის ქ. № 9) ჯიბიდან ამოაცალეს 250 მანეთი სახაზინო ფული.

მეორე სართულიდან გადმოვარდნა

რკინის რიგი № 6, სახლის მეორე სართულის აივნიდან უცაბედად გადმოვარდა ხეჩიკ მანუკოვის 6 წლის ბავში და მძიმედ დაშავდა. ბავში საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა.

ქურდობა

გლეხთა სასახლეში გაქურდეს ოთახი, რომელშიაც ცხოვრობდნენ ისმაილ კანუკოვი და ანატოლ სოგოლოვი. წაღებულია 300 მანეთის ნივთები.—მორგებული გასაღების საშუალებით გუშინწინ წყნეთის აღმასკომის სალაროდან მოიპარეს 326 მანეთი. მიღებული ზომებით ბოროტმოქმედი ნიკოლოზ სეითის ძე ბოჭორიშვილი შეიპყრეს.

ხელოვნება

თათბირი თეატრების აბონემენტების გავრცელების შესახებ

გუშინ საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში შესდგა კავშირების ცენტრალურ გამგეობათა და თეატრების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც განიხილა მომავალ სეზონში თეატრების გარშემო მუშა-მაყურებლის დარაზმვის საკითხი.

თათბირმა საჭიროდ სცნო მიღებული იქნეს ზომები აბონემენტების ფართოდ გასავრცელებლად მუშა-მოსამსახურეთა შორის, რისთვისაც ამ თავითვე უნდა დაიწყოს კამპანია წარმოება-დაწესებულებებში. რათა აბონემენტები უფრო ხელმისაწვდომი იქნეს მუშებისათვის, თათბირმა აუცილებლად სცნო მრავალ წარმოდგენიან აბონემენტებთან ერთად გამოშვებული იქნეს ისეთი აბონემენტებიც, რომელშიაც იქნება სამი და ექვსი წარმოდგენა.

ამასთან ერთად თათბირმა საჭიროდ სცნო შემცირებული იქნეს მიზნობრივი წარმოდგენების რიცხვი თბილისის თეატრებში. ასე, მაგალითად, მიზნობრივი წარმოდგენების რაოდენობა რუსთაველის თეატრში განსაზღვრული იქნა 15-ით, თბილისის მუშათა თეატრში —15, ოპერაში—6 და სხვა. მიზნობრივი წარმოდგენების გარდა, გაიმართება რაიონული წარმოდგენები (მუშათა კლუბებში).

თათბირის მიერ გამომუშავებული ღონისძიებები დასამტკიცებლად წარედგინება საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმს.

მომღერალ გუნდების ოლიმპიადა

პარასკევს, 28 ივნისს, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში იწყება სრულიად საქართველოს მომღერალ გუნდების პირველი ოლიმპიადა.

ოლიმპიადაში მონაწილეობას იღებენ თბილისის აკადემიური გუნდი, აჭარისტანის აკადემიური გუნდი, აიარტუნის, უნივერსიტეტის, ი. კალანდაძის გუნდი, საინსტრუქციო-პედაგოგიური გუნდი, სუფსის გუნდი (გლეხთა), ზუგდიდის, აკეთის, მტვირთავთა, ოზურგეთის, ერქომაიშვილის, პაჭკორიას, მახარაძის, ორჯონიკიძის სახელობის კლუბის ქართული და რუსული გუნდები, მბეჭდავთა კავშირის, თბილისის რკინისგზელების, მთიელთა, ოსების, ქუთაისის რკინისგზელთა, მელითონეთა, მეტყევეთა და ჩოხატაურის გუნდი, სულ 29 გუნდი 910 კაცის შემადგენლობით.

ოლიმპიადა გაგრძელდება 28, 29 და 30 ივნისს. 28 და 29 ივნისს გუნდები გამოვლენ თავიანთი სიმღერებით, 30-ს გუნდები სიმფონიურ და ჩასაბერ ორკესტრების თანხლებით შეასრულებენ „ინტერნაციონალს" და „ოქტომბრის კანტატას" (მუსიკა ზ. ფალიაშვილისა). გუნდების გაერთიანებულ გამოსვლას ხელმძღვანელობას გაუწევს ზ. ფალიაშვილი.

ოლიმპიადაში მონაწილე გუნდებისათვის დანიშნულია შემდეგი პრემიები: ერთი 500 მანეთი, ერთი 300 მან., ორი—თითო 200 მან. და სამი—თითო 150 მანეთი, სულ 7 პრემია 1.650 მანეთის რაოდენობით.

მთელი შემოსავალი (ხარჯების გარდა) გადაეცემა ოლიმპიადის მონაწილე გუნდებს თავიანთ შორის გასანაწილებლად.

ოლიმპიადის მსაჯებად გამოყოფილია სპეციალური კომისია.

ახალი საშუალება

ადვილად გასაფუჭებელი პროდუქტების შესანახად

ლენინგრადის სახვაჭრობასთან გაიხსნა და მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირში პირველმა ლაბორატორიამ, რომელიც შეისწავლის საშუალებას ადვილად გასაფუჭებელი საექსპორტო პროდუქტების შესანახად.

ლაბორატორიამ პროფესორ **ლეონიძის** ხელმძღვანელობით მეტად თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია. ლაბორატორიამ აღმოაჩინა ისეთი საშუალება, რომლის მეოხებითაც ადვილად გასაფუჭებელი პროდუქტი — ერბო, კვერცხი, ხილი და სხ.—შეიძლება დიდ ხანს იქნას შენახული მაცივარის გამოუყენებლად. ეს ახალი საშუალება შემდეგში მდგომარეობს: პროდუქტებით სავსე ყუთს უნდა გადაეფაროს ახლად აღმოჩენილი ჰაერშერეული ნივთიერება, რომლის მოპოვებაც ადვილად შეიძლება ზოგიერთი ფაბრიკის ნარჩენებისაგან. შემდეგ ყუთი უნდა აივსოს განსაკუთრებული, აგრეთვე ადვილად მოსაპოვებელი გაზით, რომელიც სავსებით იცავს პროდუქტებს გაფუჭებისაგან. დიდი ხნის განმავლობაში წარმოებულმა ცდებმა დაამტკიცეს, რომ ასეთი საშუალებით შეიძლება შენახულ იქნას ადვილად გასაფუჭებელი პროდუქტები.

ადვილად გასაფუჭებელი პროდუქტების გატანა საზღვარ-გარედ დღემდე შეუძლებელი იყო, რადგან იგი დიდ ხარჯს იწვევდა. ლაბორატორიის მიღწევა კი სულ ახალ პერსპექტივებს გვისახავს ადვილად გასაფუჭებელი პროდუქტების გამოყენების საქმეში. ამ ცოტა ხანში ლაბორატორიის მუშაობას პრაქტიკულად გამოცდიან. ტაშკენტიდან და კავშირის სხვა სამხრეთ რაიონებიდან გატანილი იქნება რამდენიმე ვაგონი ხილი, რისთვისაც გამოყენებული იქნება პროფესორ ლეონიძის ახალი მეთოდი.

შემნახველ სალაროების ქსელის გაფართოება

შემნახველ სალაროების ფართე მოსახლეობასთან დაახლოვების მიზნით და საფონდო ოპერაციების განვითარებით, რაც გამოიხატება იმ კამპანიის ჩატარებით, რომელიც მიზნად ისახავს მე-2 ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების კოლექტიურად ხელის მომწერლებისაგან შემნახველ სალაროებში შენახვას, საქართველოს შრომის შემნახველი სალარო, თანახმად ზემდგომ ორგანოების დირექტივებისა მოკლე დროში გაატარებს ღონისძიებებს:

ეკონომიურათ უფრო მძლავრ სასოფლო პუნქტებში დაარსდება საქართველოს შრომ. შემნახველ სალაროს დამოუკიდებელი განყოფილებები იმ ვარაუდით, რომ შემდეგში აღნიშნული განყოფილებები გადაიქცეს ერთ მილიან სასოფლო ცენტრებათ. მთელი საქართველოში ასეთი განყოფილებები იქნება დაარსებული ექვს მძლავრ პუნქტებში. საქართველოს შრომის შემნახველი სალარო საქართველოს ფინსახკომთან შეთანხმებით დაარსებს თავისი განყოფილებებს შემდეგ პუნქტებში: სამტრედიაში, ხონში, ჩაქვში, ლაგოდეხში, ველისციხეში და შაუმიანში.

აგრეთვე მთავარ მძლავრ სოფლის ფ.-ტელეგრაფებში, სადაც არ არის საშტატო ერთეული, რომელიც უნდა მუშაობდეს განსაკუთრებით შრომის სალაროს ხაზით, არსდება აოი საშტატო ერთეული. ა.-კ. კავშირ-გაბმულობის სამმართველოსთან შეთანხმებით, საქართველოს შემდეგ პუნქტებში: ჯვარში, ტყვიავში, მუხრანში, თეთრ-წყაროში, წითელ-ქალაქში, მანგლისში, წითელ-წყაროში, ბაღდათში, ჩოხატაურში და ტყიბულში.

შემნახველი სალაროები დაარსდება აგრეთვე 7 ადგილას: ა.-კ. სახვაჭრობის კომისარიატში, მაუდის ქარხანაში, ტყავტრესტში, ოზურგეთის აბრეშუმის ქარხანაში და 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში, რაც შეეხება დანარჩენ ორ ერთეულს, ესენი იქნება გამოყენებული ადგილობრივად საფონდო ოპერაციების ზრდის გამო ერთი საქ. ცენტრალურ სალაროში და მეორე კი მის მესამე განყოფილებაში.

ბრძოლა სოფლის მეურნეობის მავნებლებთან

საქ. თავდაცვა-ავიაქიმი ატარებს სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ერთთვიურს

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმის დადგენილებით, ავიაქიმის ადგილობრივი ორგანიზაციები მოკლე ხანში შეუდგებიან სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ერთთვიურის ჩატარებას.

ერთთვიურის მიზანია გლეხობაში სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის საშუალებების გავრცელება და გლეხობის გაცნობა ამ საშუალებების პრაქტიკულად გამოყენებასთან.

ამ მიზნით ერთთვიურის დროს ავიაქიმის ორგანიზაციები სოფლად ჩაატარებენ საუბრებს და მოხსენებებს მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ირგვლივ, გააცნობენ გლეხობას, თუ როგორი სარგებლობა მოაქვს მეურნეობისათვის ქიმიური საშუალებების გამოყენებას.

იმ ადგილებში, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, მოეწყობა საცდელ-საჩვენებელი მოედნები პრაქტიკული ცდების ჩასატარებლად. ამ მოედნებზე იწარმოებს სხვადასხვა ქიმიური საშუალებების გამოყენება ამა თუ იმ მავნებლის წინააღმდეგ. გლეხობას აუხსნიან ქიმიური საწამლავების თვისებებს, გლეხობა გაეცნობა სხვადასხვა მანქანებს, ხელსაწყოებს და სხვ.

ერთთვიურის დროს ყურადღება მიექცევა გლეხობის გაცნობას ხელოვნურ სასუქებს გამოყენების საქმესთან. ამ მიზნით მოხდება მინდვრების განოყიერება ხელოვნური სასუქით.

ერთთვიურის დროს სოფლად გაიგზავნება ავიაქიმის ქიმიური რაზმები, ინსტრუქტორები, რომლებიც ადგილობრივ გაუწევენ ხელმძღვანელობას ერთთვიურის ჩატარებას.

ერთთვიურის წარმატებით ჩასატარებლად, ავიაქიმის ადგილობრივ ორგანიზაციებს მიეცათ წინადადება დაამყარონ მჭიდრო კავშირი სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ფართოდ მიიზიდონ კამპანიისათვის სოფლის კულტურული ძალები (ექიმები, აგრონომები, მასწავლებლები და სხვ.).

ბოსტნეულის ბაზრის პერსპექტივები

გასული ზამთრის დამლევიდან თბილისის ბაზარზე შესამჩნევი გახდა ბოსტნეულის ნაკლებობა, რაც გამოწვეული იყო ნაწილობრივ გასული წლის მცირე მოსავლით, უმთავრესად კი ამ საგნების დამზადება-რეალიზაციის საქმის მოუგვარებლობით.

ამ საკითხის შესახებ ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობეს:

მშრომელი მოსახლეობის ბოსტნეულით უზრუნველყოფის მიზნით, მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებული იყო ბოსტნეულის დამზადების მაქსიმალურად გაფართოება და ამ პროდუქტებზე კონტრაქტაციის ჩატარება.

გეგმის თანახმად სასოფლო-სამ. კოოპერაციას კონტრაქტაცია უნდა ჩაეტარებინა 1380 ჰექტარ კარტოფილის ნათესზე. ფაქტიურად კონტრაქტაცია ჩატარებულია 1160 ჰექტარზე, ხოლო ივნისის დამლევამდე ჩატარებული იქნება კიდევ 100 ჰექტარზე. სოფლის კავშირს წინადადება მიეცა მიიღოს გადამჭრელი ზომები გეგმის მთლიანად შესასრულებლად (ჩაატაროს კონტრაქტაცია 1380 ჰექტარზე, აქედან 80 პროც. ახალქალაქის მაზრაში, ხოლო 20 პროც. თბილისისა და გორის მაზრებში). ზემონაჩვენებ სივრცის მოსავალი ნავარაუდევია (ჰექტარზე 400 ფუთი)—სულ არა ნაკლებ 552.000 ფუთისა. აქედან სამომხმარებლო კოოპერაციას უნდა გადაეცეს 376.000 ფუთი და ახალციხის სამრეწველო ტრესტს (კარტოფილის ფქვილის დასამზადებლად) 176.000 ფუთი კარტოფილი. თუ კონტრაქტაციის გეგმა მთლიანად ვერ იქნა შესრულებული, განსხვავება უნდა დააკლდეს ახალციხის სამრეწველო ტრესტს, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციას უნდა გადაეცეს გეგმით გათვალისწინებული კარტოფილის მთელი რაოდენობა (376.000 ფუთი).

„სოფლის კავშირს" უკვე დაბევებული აქვს 50.000 ფუთი ხახვი. ხოლო ბორჩალოს სამაზრო აღმასკომს დაბევებული აქვს 10.000 ფუთი ხახვი.

„სოფლის კავშირს" ჩატარებული აქვს კონტრაქტაცია 150.000 ფუთ კომბოსტოზე, რომელიც მთლიანად გადაეცემა სამომხმარებლო კოოპერაციას. გარდა ამისა შესაძლოა 45.000 ფუთ კომბოსტოს წნილის დამზადება. კომბოსტოს წნილის დასამზადებლად საჭირო მანქანები მოეპოვება მხოლოდ სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოებას, რომელსაც წინადადება მიეცა მანქანები გადასცეს „სოფლის კავშირს". სოფლის კავშირს წინადადება მიეცა მაქსიმალურად გააფართოოს კომბოსტოს დამზადება.

მთელი დამზადებული ბოსტნეული თბილისის ბაზარზე გასანაწილებლად გადაეცემა სამომხმარებლო კოოპ. ორგანიზაციებს. მუშკოოპს გადაეცემა 70 პროცენტი, სატრანსპორტო სამომხმარებლო კოოპერაციას 20 პროცენტი და სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოებას —10 პროცენტი.

კინო

„საკანი № 79". რეჟისორ შაქრო ბერიშვილს მიეცა დასადგმელათ ახალი კინო-სურათი — „საკანი № 79". — სცენარი შალვა ალხაზიშვილის და ს. დოლიძის, ოპერატორი დიღმელოვი. მთავარ როლში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი **ნინო ჩხეიძე.**

„კავკასიელი ყაჩაღი" — რეჟისორი მიხეილ გელოვანი შეუდგა სურათ „კავკასიელი ყაჩაღი"-ს გადაღებას. სცენარი აკაკი ბელიაშვილის. ოპერატორი ვ. ენგელსი. სურათში მთავარ როლის შესასრულებლად მოწვეულია ცნობილი კინო - მსახიობი **იგორ ილინსკი.**

„საქართველოს კურორტები". სახკინმრეწვს განზრახული აქვს მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში გადაიღოს კულტფილმა „საქართველოს კურორტები". (მთისა და ზღვის კურორტები).

„სვანეთის მარილი" — რეჟისორი კალატოზიშვილი სვანეთში გამგზავრებისას სურათ „ბრმა ქალი"-ს გადაღებასთან ერთად გადაიღებს კულტ - ფილმას „სვანეთის მარილი".

თბილისის პოლიტგანში

პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის გასაუმჯობესებლად

საქ. პოლიტგანის დადგენილებით, თბილისის პოლიტგანს მაზრაში პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის გასაუმჯობესებლად მიეცემა 3.500 მანეთი. აღნიშნული თანხა თბილისის პოლიტგანს განზრახული აქვს განაწილოს შემდეგნაირად: გახსნას ხევსურეთში ერთი ახალი სამკითხველო, რომელზედაც 1929 წ. 1 ოქტომბრამდე დაიხარჯება 773 მანეთი; მოაწყოს სამი ახალი რადიო-სადგური სოფ. დაგეთხაჩინში, ჰოპორტში და კოჯორში და მოუწყობელ სამკითხველოებისათვის შეიძინოს 900 მანეთის ლიტერატურა.

პოლიტგანის მუშაკთა გადასამზადებელი კურსები

1 ივლისიდან თბილისის პოლიტგანი ეროვნულ უმცირესობათა შორის მომუშავე სამკითხველოს გამგეთათვის ხსნის ერთთვიან გადასამზადებელ კურსებს. კურსებზე იმეცადინებს 25 კაცი. კურსების მოსაწყობად გადადებულია 2.100 მანეთი.

კინო ხევსურეთში

თბილისის პოლიტგანმა ამ დღეებში ხევსურეთის დაშორებულ ადგილებში გაგზავნა მოძრავი კინო. კინო-სურათები სოფლებში ნაჩვენები იქნება უფასოდ.

„სოფლის კავშირში"

სამანქანო-სატრაქტორო სადგურები

„სოფლის კავშირმა" გადასწყვიტა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მოაწყოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურები. ამ დღეებში ეს საკითხი შეთანხმებული იქნება მიწადმოქმედების სახ. კომისარიატთან, კოლმეურნეობათა ცენტრთან და სხვა ორგანიზაციებთან, რის შემდეგ ზემო ქედში, ბორჩალოს და გორის მაზრებში გაიგზავნება ექსპედიციები რაიონების გამოსაკვლევად.

სას.-სამ. კოოპერაციის სისტემის მთლიანი გამოკვლევა

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეუდგა საქართველოს სას.-სამეურნეო კოოპერაციის სისტემის მთლიან გამოკვლევას, რომელიც გასტანს ორ თვემდე. გამოკვლევაში მონაწილეობას ღებულობენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ინსტრუქტორები და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ინსპექტორები.

რკინის გზეზე

ებრძვიან სიმულიანტებს

რკინისგზელთა კავშირის ბაქოს საუბნო კომიტეტმა რკ. გზელთა შორის აღმოაჩინა მთელი რიგი სიმულიანტები და ხულიგნები. ზოგ მათგანს ბრალი ედებათ ბოროტმოქმედებაში, საექიმო ბიულეტენში განთავისუფლებულ დღეების გადასწორების შესახებ, ხოლო ზოგს ექიმებისადმი შეურაცხყოფის მიყენება.

ესენი არიან—რომანოვი ანდრია, ადმედოვი მამედ, ნარიმანოვი კუდრატ, ფარსეგოვი ყაზარი, კუზნეცოვი თევდორე, კუზმინი, (აჯიკაბულის დეპოს უფროსი, რომელმაც იმ მიზნით, რომ შეერთო ცოლი, მიიღო განთავისუფლება ექიმისაგან 5 დღით), იბრაჰიმოღლი ასად, გასანოვი ხაშიმ, ზაგაევსკი ვლადიმერი, ვასტიუკოვი ანდრია, ფეიზულა იბადულა, კასიმოვი, გუსევი და გამანიანი.

ბაქოს საუბნო პროფკავშირმა დაადგინა მისცეს ხსენებული პირები პასუხისგებაში და მოხდეს მათი გაკიცხვა საჯაროთ მუშათა საერთო კრებებზე.

შპალების დამზადება

ა.-კ. რკინის გზის გამგეობამ ხელშეკრულება დასდო სხვადასხვა ტრესტებთან შპალების დამზადების შესახებ. მიმდინარე წელს უნდა დამზადდეს სულ 135.000 ცალი შპალი. მათ შორის აზერბეიჯანის სატყეო ტრესტმა უნდა დაამზადოს 75.000 ცალი, რუსეთის მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატმა 45.000 ცალი, ხოლო რკ. გზ. სატყეო დარგმა—15.000 ცალი შპალი. გამგეობის ცნობით შპალები უნდა დამზადდეს 1-ლ სექტემბრამდე.

მატარებლის ქვეშ

23 ივნისს ძირულა-შორაპნის გადასარბენზე საბარგო მატარებელი დაეჯახა ლიანდაგზე გადამსვლელს ეფ. თურმანიძისას, რასაც შედეგად მოჰყვა უკანასკნელის მძიმე დაშავება. დაშავებული პირველ საექიმო დახმარების შემდეგ უგრძნობლად გადაიგზავნა ზესტაფონის ქალაქის საავადმყოფოში.

— 22 ივნისს, ღამის 10 საათზე სად. კოვლიანარში საბარგო მატარებლის შემოსვლის დროს მატარებლის ქვეშ ჩავარდა დუშეთის მაზრის გლეხი ვარდო ფიკაკაური, რომელსაც მატარებელმა გადასჭრა მარცხენა ფეხი. პირველ საექიმო დახმარების შემდეგ დაშავებული გადაიგზავნა განჯის საავადმყოფოში.

ხანძარი

23 ივნისს, საღამოს 4 საათზე და 40 წუთზე სადგ. გორში ცეცხლი გაუჩნდა წყალსაქაჩის შენობის სახურავს. ხანძარი ჩაქრობილ იქნა ადგილობრივი სახანძრო რაზმის ენერგიული ღონისძიებებით საღ. 6 საათზე და 5 წუთზე. ხანძრის ჩაქრობის დროს მსუბუქად დაიჭრა მეხანძრე მელიქიშვილი.

ველო-გადარბენა

თბილისი — კოჯორი — თბილისი

კვირას, 23 ივნისს, თბილისის მოტო-ველო საზოგადოებამ მოაწყო ველო-გადარბენა მარშრუტით თბილისი - კოჯორი - თბილისი. ეს იყო პირველი საცდელი ველო-გადარბენა სისწრაფეზე. გადარბენის მიზანი იყო გამორკვევა იმისა, თუ რამდენათ მომზადებული არიან ჩვენი ველო-ფიზკულტუროსნები მთიან ადგილებში სამოგზაუროდ.

გადარბენის მანძილი უდრიდა 34 კილომეტრს, აქედან პირველი 17 კილომეტრი აღმართია. მიუხედავად იმისა, რომ საკაძე თბილისიდან მესამე გავიდა, ის ტაბახმელასთან დაეწია თავის მოპირდაპირეთ, გაუსწრო მათ და პირველი მივიდა კოჯორში; საკაძე პირველი მოვიდა თბილისშიაც. დისტანცია დაფარა 2 საათ. 12 წ.

მეორეთ მოვიდა **ესაიანი,** რომელიც ორი წუთით ჩამორჩა საკაძეს (დისტანცია გაირბინა 2 საათ. 14 წ.), ხოლო მესამეთ **ტატინიანი.** რომელმაც 34 კილომეტრი დაფარა 2 საათ. 41 წუთში.

ფეხბურთი

თბილისი—ფოთი

კვირას, 23 ივნისს, „დინამო"-ს სტადიონზე გაიმართა ფოთის და თბილისის „დინამო"-ს პირველი გუნდების შეჯიბრება.

ფოთელები საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგე აღმოჩნდნენ თბილისის „დინამო"-სათვის, რომელმაც საქართველოს საუკეთესო მოთამაშეებს მოუყარა თავი, თავის რიგებში (გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ მარჯვენა გარე-მარბი, რომელიც არც ტემპით, არც თამაშის ტეხნიკით არ შეეფერება დანარჩენ მოთამაშეებს).

თუმცა თამაშის პირველ განყოფილებაში თბილისელებმა სწრაფად თამაშით ხელთ იგდეს ინიციატივა და შეავიწროვეს ფოთელები, მაგრამ ეს უკანასკნელები არ დაიბნენ და თითქმის მთელი შემადგენლობით თავდაცვაზე გადავიდნენ. ამან საშუალება მისცა მათ წარმატებით მოეგერიებათ თბილისელების იერიშები.

შუა ტაიმში, მიუხედავათ სტუმრების ძლიერი წინააღმდეგობისა, ვაჩნაძისაგან დარტყმული ბურთი მაინც მოხვდა ფოთის ბადეში. შემდეგში თბილისელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს შეტევა, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს.

ტაიმის ბოლოს ფოთელებმაც სცადეს შეტევაზე გადასვლა. რამდენიმეჯერ მეტად საინტერესო მომენტი შექმნეს თბილისის კარებთან, მაგრამ ვერ ისარგებლეს შექმნილი მდგომარეობით. თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 1:0 თბილისის „დინამო"-ს სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში თამაშმა თანაბარი ხასიათი მიიღო. ფოთელებმა სწრაფი ტემპი განავითარეს და მძლავრად შეუტიეს თბილისს, მაგრამ ამ უკანასკნელის მცველების მოხდენილი თამაშის წყალობით სტუმრების ყოველი ცდა უშედეგოთ თავდებოდა.

თავის მხრივ თბილისელებიც ხშირად უახლოვდებოდნენ ფოთის კარებს და მრავალ საინტერესო მომენტს ქმნიდნენ. ერთ-ერთი შეტევის დროს ვაჩნაძემ მეორე ბურთი მოაქცია ფოთის ბადეში. ჩქარა მეორეს მესამე მოჰყვა. ამან იმოქმედა ფოთელების წინააღმდეგობის სიმტკიცეზე და შემდეგში უკვე ბურთი თითქმის სულ მათ პიშკართან ტრიალებდა. თბილისელების იერიშებს ტაიმის ბოლომდე რეალური შედეგი აღარ მოყოლია და შეჯიბრება დამთავრდა 3:0 თბილისის სასარგებლოდ.

თბილისის მხრიდან თამაშობდნენ: ბალდოევი, ფსაროსი, ფოჩხუა, პარამანოვი, ანიკინი, კასპარიანი, ქორავა, ფაჩულია, აბაშიძე, ვაჩნაძე და რ. მდივანი.

ტრანსპორტელები—მელითონეები

იმავე დღეს ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა ადგილობრივ ტრანსპორტის მუშაკთა და მელითონეების პირველი გუნდიბი ამხანაგური შეჯიბრება. აღნიშნული გუნდები პროფკავშირების ხაზით საუკეთესო გუნდებათ ითვლება თბილისში და ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ „ბრძოლა" მათ შორის მწვავე ხასიათს მიიღებდა, მით უმეტეს, რომ ისინი თითქმის თანაბარ ძალას წარმოადგენენ.

მოლოდინი გამართლდა. შეჯიბრება მეტად საინტერესო გამოდგა, მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტელები საგრძნობლად შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდნენ (არ თამაშობდნენ ორლოვი და დოლგოლევი). მწვავე ბრძოლის შემდეგ შეჯიბრება დამთავრდა 2:2.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: კარგი გუნდების სიმცირის გამო თბილისში იშვიათად იმართება საინტერესო შეჯიბრება. ფეხბურთის მაყურებელთა რიცხვიც მეტად განსაზღვრულია. ამ დროს საუკეთესო გუნდების ორი შეჯიბრების ერთდაიმავე დროს გამართვა ჩვენ ყოვლად შეუწყნარებლად მიგვაჩნია. ეს საშუალებას ართმევს მოთამაშეს ნახოს სხვა გუნდის თამაში და ამით რამე ისწავლოს.

ასეთი შეუთანხმებელი მოქმედების შედეგი იყო ის, რომ კვირას ორივე სტადიონი თითქმის ცარიელი იყო.

ავიაქიმში

დასაფრენი მოედნის მოწყობა

სოფ. ბრეთში (გორის მაზრა) შეუწყო დასაფრენი მოედანი აეროპლანებისათვის.

დასაფრენ მოედანს გაკეთებული აქვს ნიშნები, რომლების საშუალებით აეროპლანი შეამჩნევს მოედანს.

შეჯიბრება სროლაში

ივლისის პირველ რიცხვებში თბილისში ჩატარებული იქნება სრულიად საქართველოს შეჯიბრება სროლაში.

ახალი ტირი

ავიაქიმის თბილისის საბჭომ მოაწყო დიდი ტირი ტრამვაელთა საზაფხულო კლუბში.

ტირის საზეიმო გახსნა შესდგება 27 ივნისს.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 25 ივნისი

დღეს, თბილისის რადიო-ცენტრი გადასცემს შემდეგ პროგრამას:

საღამოს 6 საათიდან საუბარი—„მეაბრეშუმეობა საბჭოთა კავშირში და მისი ხვედრითი წონა საქართველოში", ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; გაზეთი „პროლეტარი" რადიოთი, სომხურ ენაზე; ლექცია ბუნებისმეტყველებიდან „გონებრივი შრომის შედეგები", ქართულ ენაზე: დროს შემოწმება და ამინდის ბიულეტენი.

საღამოს 8 საათიდან—კომკავშირელების რადიო-გაზეთი, რუსულ ენაზე; რადიოს მეგობართა საათი (ტეხნიკური კონსულტაცია); რადიო-გადაცემათა კვირეული პროგრამის გადაცემა ესპერანტოს ენაზე; სიმფონიური კონცერტის ტრანსლაცია მედსანშრომის მუშაკთა საზაფხულო ბაღიდან; უკანასკნელი ამბები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 25 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟაში სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

მშენებელ მუშაკთა სექციიდან: ენოქი დავიდიანცი, მკრტიჩ ტონოიანცი, გიორგი გაბაძე, გრიგოლ მელანაშვილი, სამსონ სარქისიანი, არტაშეს სარქისიანი, ესტატე ნაცვლიშვილი, ალექსანდრე იმერლიშვილი, სამსონ გასპაროვი, მიხეილ ტერ-გეორქოვი, მანუკ ოვანესიანცი, ბარსეგ ბარსეგიანი, ვარლამ ცომაია, ივანე არველაძე, ავთანდილ ცაბაძე, მიხეილ შელტუხინი, პავლენკო, ევტიხი კუსტუმბეროვი, ნიკოლოზ ბახტაძე, სანაკოევ და შურაშვილი.

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან: მანუკ პოლოსოვი, ნაზაპეტ მკრტიჩევი, ეფემა ტრიტიკო, ივანე პოლაკოვი, მათე იარავოი, ბორის ბურდიგინი, ალექსანდრე გულაშვილი, კონსტანტინე ტვარაშელიძე, ოლია კაციტაძე, გუსტა გერშოვიჩი, ბარბალე ბერბერიანი, კლარა შმულკოვსკაია, ლევან შალეგოვი, ლაზარე ავსავანიშვილი, ნიკოლოზ კოვრებინოვი, დიმიტრი ტრიაშვილი, ვასილი ბიჩკოვი, არტამ ოლაგოვი, სამსონ ბროიანი, მარიამ კიკნაძე, კომაროვა, ალექსანდრე კუჩუკი, რახილ ფრენკელი, მიხეილ ელბაქიძე, ბაგრატ ავაქოვი, თუმან თუმანოვი, ვალენტინა გრაფი, მარიამ ჩეჩელაშვილი, ივანე კიკალიშვილი, ანა ტერენიკოვი, ანა ელერაიშვილი, ალექსანდრე კლემენტიევა, რეზერ აბაზოვა, ფირუზ ბრეგაძე, გიორგი მირიმანოვი, ზაქარია სოსელია, სურენ აბაზოვი, იოსებ ოსეფიანი, ლეონიდ იანუშკევსკი, [illegible] გოზალოვა, ლუკა ზარამიძე, [illegible], არსენ აფხაზავა, ივანე ისაკოვი.

შავ მუშათა სექციიდან: [illegible] ივანე ზუდავერძოვა, ზაქარია მაზმიაშვილი, აკაკი შვანგირაძე, სულიკო პაპუაშვილი, ნიკოლოზ ქარუმიძე, გიორგი მჭედლიშვილი, ზაქარია არუთინოვი, მიხეილ ედაბერაშვილი, სოლომონ არაქელაშვილი, თედორე ნონიკაშვილი, შურა ბრეგვაძე, ვალენტინ ზარნიცკი, ელენა პაპავა, პავლე პეტრიაშვილი, მიხეილ ტატიშვილი, შალვა ბაგრატიონი, გიორგი დარბაზოვი, ქ. ბალდასაროვა, მარგარიტა ერმიშევი, ალექსი იკონიევა, ვიქტორ შმიდტი, ივანე ოდიშარია, ალექსანდრე შვარდინ, ვასილ სომხიშვილი, ალექ. კაზაროვი, პარმენ დომენიძე, ნიკოლოზ კაზაროვა, გიორგი სარქისოვი, ნიკოლოზ შუბაშვილი, ალექსი მაისურაძე, სერგო არაქელოვი, თედორე ნონიკაშვილი, არამ მელიქ-პაშაევი, კარაპეტ სარიბეგოვი, აბგარ კაშიანცი, არმენაკ გურჯიანი, მიხეილ ალიბეგაშვილი, ვასილ მესტვირიშვილი, ივანე გაზაევი, თედორე დუნდუა, მიხეილ მურადოვი, გიორგი ნუზუბლაშვილი, ნიკოლოზ ჩიტაშვილი.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ანტონინა ტინდიკ, ვასილ ვასაძე, ოლღა ვატერი, პანიევა-კალანტაროვა, თამარ კალანდაძე, ვასილ მეგრელიშვილი, ნიკოლოზ ჩხაიძე, გიორგი კეცერაძე, გაიკ ხარაზიანი ნიკოლოზ თარხანიშვილი, კლდიაშვილი ვასილ, პარმენ ლორთქიფანიძე, არტემ ღარიბოვი, რუბენ მარკოზოვი, მიხეილ ბერიშვილი, თამარ მგალობლიშვილი, კლარა სიმონიანცი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციის მე-6 მუხლის „კ" პუნქტის შეცვლის შესახებ

მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1928 წლ. ნოემბრის 21-ს დამტკიცებული ინსტრუქციის მე-6 მუხლის „კ" პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

პუნქტი „კ". იმ პირს, ვინც განსაკუთრებული პირობების გამო ეწევა წვრილ ვაჭრობას, როგორც არის შრომისა და ომის ინვალიდი და უმუშევარი მუშა და მოსამსახურე და რომელიც დაბეგრილია სასარეწაო გადასახადით, სასარეწაო გადასახადის დებულებისათვის დართული პირადი სარეწავების ნუსხის მე-2 და მე-7 მუხლების მიხედვით; ამასთანავე აღნიშნულ მუშასა და მოსამსახურეს საარჩევნო უფლება არ ჩამოერთმევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მისთვის ეს მოსაქმეობა დროებითია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ს. თოდრია.

1929 წლ. მაისის 10
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 25 ივნისს, დილის 8 საათზე, საქ. კომპარტიის (ბ) ცკა-ში (ოთახი № 6) უნდა გამოცხადდნენ თბილისის ორგანიზაციის ყველა შემმოწმებელი კომისიების მდივნები.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. გაერთიანებული უჯრედთა ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 25 ივნისს, დღის 12 საათზე შესდგება ახლად ჩამოყალიბებული ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა.

წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

დღეს, 25 ივნისს, დილის 10 საათზე დანიშნულია ამხ. მ. კახიანის სახელობის ქართული მუშფაკის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის სხდომა, რომელსაც დაუგვიანებლივ უნდა დაესწრონ უჯრედის მდივნები და ბიუროს წევრები.

საქ. სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის საამშენებლო ფაკულტეტის კომკავშირის ბიურო აცხადებს, რომ უჯრედის წევრები და კანდიდატები, რომლებიც მაზრებში ან პრაქტიკაზე მიდიან, დღეს, 25 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათისათვის უნდა გამოცხადდნენ ბიურო-კოლექტივში.

დამწუხრებულნი: მამა მიხეილ, დედა მაშო, ძმები: შალვა და ვასო, რძალი ქსენია, დები: სონია და მარგალიტა გოგოლაძეები, დეიდაშვილები: ლიდა და გიორგი ბერძენიშვილი ცოლით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს საყვარელ

ბენია გოგოლაძის

ტრაგიკულად დაღუპვას. გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან 25 ივნისს, საღ. 4 ნ ხ. საათზე. დაკრძალვა 27 ივნისს სოფ. ამაღლებაში გურია) (ნ

ჯოგუა კონდრატე, ქაჯაია ალ-დრე, სიხარულიძე ვალოდია და რუხაძე შალვა ვიზიარებთ ჩვენი მეგობრის ამხ. ვასო გოგოლაძის ღრმა მწუხარებას მისი საყვარელი ძმის

ბენია გოგოლაძის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო ნ. 2897

საბჭოთა მეურნეობის ტრესტის თბილისის სარდაფის მუშა-მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ამა წლის 24 ივნისს ტრაგიკულად დაიღუპა სამაგალითო მუშაკი და საყვარელი ამხანაგი

ბენიამინ მიხეილის ძე გოგოლაძე

გამოსვენება რესპ. მთავარ საავადმყოფოდან 25 ივნისს ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე 2357

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა ეკატერინე, ცოლი ვასასი, შვილი თამარი, პატარა ვაჟით, ძმები ვიქტორ, შალვა, გიორგი; დები—ვერა, მიხა, კუკლა; რძლები ლიდა და ნინო; სიძეები გიორგი ლეჟავა, ვარლამ ხაბეიშვილი, ბიძაშვილი თედორე ცოლ-შვილით—აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და მუდამ დაუვიწყარი

დიომიდე (დიმიტრი) ანტონის ძე ნუცუბიძე

დაკრძალვა 27 ივნისს დიდ-ჯიხაიშში (დეპ).

დამწუხრებული დედა ალათი, ძმა სამუელ, რძალი სონია, შვილით თინათი კოპლატაძეები; ძმისშვილები: საშა, ლოლა—ქმრებით და დისწული ქეთო ცხომელიძე აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარ

მაშიკო კოპლატაძის

უდროოდ გარდაცვალებას დაკრძალვა 26 ივნისს ნაგომარში 2357

მეუღლე ანნა, შვილი ეთერი, ძმები: ვასო, კოტე, დაი ლიზა, ბიძაშვილი სარდო გულიკაშვილები, სიმამრი შვილები: ნესტორი, საშა, კორინთელები, ძმისწული ქეთინე ქმრით ვახო თოთაძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 23 ივნისს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

მიხეილ ზურაბის ძე გულიკაშვილი

გამოსვენება 26 ივლისს, ნაშუადღევის 3 საათზე თუმანოვის შესახვევი № 18 პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (ზ)

სოფ. ვანში ა/წ. ივნისის 22-ს ღამით ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა

გიორგი სოლომონის ძე თვალავაძე

რასაც აუწყებენ მეგობართა და ნაცნობთ უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ელენე (ფაცია) პორფილეს ასული, შვილები, ჟორჟიკი, თამარი და ნინა, ძმები მიხეილი შვილებით, კრისტეფორე, პავლე და იონა სოლომონის ძე თვალავაძეები. დაკრძალვა მოხდება სოფ ვანში (ქუთ. მაზ.) ხუთშაბათს, ივნისის 27-ს (შ)

სია

იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში) ა.-კ. ვაჭსახკომის რწმუნებულის სამმართველოში

გაგრძელება № 46

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოოს დასახელება	ვის მიერ არის დამტკიცებული წესდება და რა დროს	მისამართი	წარმოების მიზანი	მოქმედების რაიონი
1133	4/6—29 წ.	კვების კომბინატი	აღმასკომის მიერ 13/5—29 წ.	ქ. თბილისი. ლ. დუმბაძის ქ № 2	სასურსათო საგნების დამზად. და მათი რეალიზ.	ქ. თბილისი.
1134	12/6 29 წ.	საქ. მთიელთა კულტურული საზ-ბა	ს.ს.ს.რ. შინაგან საქმ. სახ. კომისარ მიერ 28/3—29 წ.	ქ. თბილისი რუსთაველის პრ. № 41.	კულტურული მუშაობა—მთიულების შორის და ვაჭრობა	საქართველო
1135	12/6—29 წ.	კოოპერატიული საწარმოო შრომის ნადი „კახ. იმერი"	კოოპ საქმეთა სამ. კოლეგიის მიერ 19/4—1927 წ.	ქ. თბილისი აღმასკომის ქ. 5	ღვინის საწარმოო	ქ. თბილისი
1136	12/6 – 29 წ.	საქართველოს წითელი ჯვრის საზ-ბა	სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის ყრილობის მიერ 17/2—29 წ.	ქ. თბილისი კრილოვის ქ. № 15	მედიკამენტებით და სხვადასხვა საგნებით ვაჭრობა	საქართველო
1137	21/6—29 წ.	თბილისის ბავშთა მეგობრების საზოგადოება	საქართველოს ც. ა. კ-ს მიერ 25/4- 28 წ.	კომინტერნის ქ. № 4	მატერიალური დახმარება უმწეო ბავშვებს და ვაჭრობა	ქ. თბილისი

ა.-კ. ვაჭსახკომის რწმუნებულის მოადგილე საქ-ში **კობახიძე**
სავაჭრო რეგისტრაციის განყ. გამგე **ბუჩკიანი** ნ. 2896

სახკინმრეწვის კინოები
საზაფხულო აპოლო — დიდი ქალაქის სიმფონია (ბერლინი)
საზაფხულო ეთერი — ანა სტენი, კუტუზოვი სურათში მისი კარიერა
საზაფხულო პალასი — განწირულნი ვიქტორ ჰიუგოს რომანის მიხედვით 1 და 2 სერია ერთად
აპოლო — მხატვრული ფილმი ღვიძლი ძმა
სოლეი — უცხოეთის მხატვრული ფილმი მეორე ქორწინება
მინიონი — სეზონის საუკეთესო სურათი 2 ჯავშნოსანი
მალე კლოუნი ჟორჟის ბენეფისი

კახეთის სამაზრო აღმასკომის განათლების განყოფილება აცხადებს, რომ მეორე საფეხურის ბუნება, საზ-მეცნიერება მასწავლებელთა კონფერენცია რომელიც მოწვეული იყო ქ. სიღნაღში 1—5 ივლისამდე, **გადადებულია** შემოდგომისათვის.
2348 განათლების განყ. გამგე ქ. გეგელიძე

იყიდება
სახლი
ნაძალადევში, ბრიგადირის ქ. № 26, ახლო წყლის კრანტთან
ნახვა 3—6 საათ. საღამ.
2346

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12-67. ნ. 20 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
სიფილისი, სუსუნატი (მის გართულებანი), და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ. საღამ. 6—7 საათ. ქალები 7—9 საათ. კაცები
მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან).

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914" შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასეროს ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

ექიმი
პ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—1

ექიმი
ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან.

ექიმი
დ. ლ. თევზაძე
(სპეციალისტი ყელის და ყურის სნეულებათა)
წასულია თბილისიდან და განაახლებს ავადმყოფების მიღებას ოქტომბრის პირველიდან
2334 13—1

დაკარგვა: მეტრიკული ამონაწერი № 115 ალექსი თომაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2347

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 2601. —

დაკარგვა საწევრო წიგნაკი № 11707, გაცემული ქუთაისის სამხედრო კოოპერაციისაგან (ბოეცი) მიხეილ სიმონის ძე ბაქრაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2895

დაკარგვა: რკ. გზის პროფ. კავშირის საწევრო წიგნაკი № 24445. და რკინის გზის დამზღვევ სალაროს მიერ მიცემული უმუშევრობის წიგნაკი № 5223 ალექსანდრე ვახტანგის ძე სიხარულიძის სახელზე, ჩ. გ 2358

დაკარგვა: საბჭ. და სავაჭრო მუშაკ. კავშირის წიგნაკი № 32837 სერგო გერსამიას სახელზე, ჩ. გ. 2350

დაკარგვა: უმუშევრობის დაზღვეული წიგნაკი ლუბა ეფრემის ასული გოგოძის სახელზე, ჩ. გ. 2348

დაკარგვა: სიმწიფის მოწმობა გაცემული ქ. ფოთის 9 წლიანი შრომის სკოლის მიერ ტატიანა ფალავას სახელზე, ჩ. გ. 2351

დაკარგვა: კრებალოს რაიონის სამხედრო მაგიდისაგან მოცემული სამხედრო წიგნაკი ალექსანდრე ნიკოს ძე ლომთაძის სახელზე, ჩ. გ. 2359

დაკარგვა: მეტრიკული ამონაწერი გაცემული თბილისის მმაჩის მიერ ცისანა ნიკოლოზის ასული აბესაძის სახელზე, ჩ. გ. 2355

დაკარგვა დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 1670 გაცემული შალვა აზაროვის სახელზე, ჩ. გ. 2352

დაკარგვა: დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 163 გაცემული ნესტორ ივანეს ძე იზორიას სახელზე, ჩ. გ. 235

ტირაჟი—39.224
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68
მთავლიტი № 904.